დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის 3 - 9 აპრილი
N 15 1479
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## ლაზარეს აღტყინება

საკუთარი მშობლის უკანალში დამჭრელი ლაზარე და მისნაირები, სულ რომ ერთიან „მოლოტოვის კოქტეილად“ გადაიქცნენ, ჩვენს სამშობლოს ვერ ააფეთქებენ და სახელმწიფოს ვერ გადააატრიალებენ!



2

## ლიბერალთა ფაშისტური საბართალი





მამუკა ხაზარაძის უბორნიაში ლიტერა–ტურული რეპრესიები დაიწყო!

12

## ღალატელთა შესახებ

8



სააკაშვილი და გახარია „თეთრხალათიანების რევოლუციას“ აწყობენ!

პრემიერმა ღარიბაშვილმა ეს უნდა იცოდეს!

10



უკრაინელი აფერისტი მიხეილ გიულის ძე სააკაშვილი და ნორვეგიელი ტერორისტი ანდერს ბერინგ ბრეივიკი

5



ნორვეგიაში სააკაშვილს ბრეივიკ–დანსი უცეკვეს!

## МГИМОრჯობა, ლყაკა!

6

### იგორ კვესელავა:

ზვიადი საქართველოს არცერთ ხელისუფლებას არ უყვარდა!



22

### მანანა არჩვაძე–გამსახურდია:



ისინი არიან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერები,

რომლებიც ფულზე გაიყიდნენ!



20

### ბესო მიქავა:

ამ საქმის სხვა დეტალებს არ გავასაჯაროებ და არ ვიტყვი, თუ რა ხდებოდა კოლხურ კოშკში!


ДЕЛО № 510
НАЧАТО 6/I 1924 г.
ОКОНЧЕНО 29/III 1924 г.
НА 60 ЛИСТАХ



29

ზვიადმა შევარდნაძეს ოცი ბრალდება წაუყენა, კოკომ კი ხუთი პლუსით დაუწერა!

## მკვლელის დედა

3



# გენერალ-სალომეუში

თუ ზურაბიშვილი ჭკუით არ იქნება...

*წმინდა წერილის თანახმად, ლაზარეს აღდგინება იესო ქრისტეს ერთ-ერთი უდიდესი სასწაულია, რომელიც მან ჯვარცმამდე ცოტა ხნით ადრე მოახდინა,*

# ლაზარეს აღტყინება

***როცა ოთხი დღის მკვდარი ბეთანიელი ჭაბუკი გააცოცხლა. რაც შეეხება ლაზარეს აღტყინებას, ამის თაობაზე წინამდებარე წერილში მოგითხრობთ.***






საქმე ის არის, რომ გასულ კვირას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა დააკავეს თბილისში მცხოვრები 21 წლის ჭაბუკი ლაზარე გრიგორიადისი, რომელმაც, გამოძიების ინფორმაციით, ამა წლის 7-9 მარტს რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო აქციებში მონაწილეობისას კანონი დაარღვია და სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. აი, რა წერია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში: **„გამოძიებით დადგინდა, რომ ლ.გ.-მ (ლაზარე გრიგორიადისმა. რედ.) მიმდინარე წლის 7, 8, 9 მარტს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო აქციაზე პოლიციის თანამშრომლებს ესროლა ქვები და ე.წ. მოლოტოვის კოქტეილები, რის შედეგადაც დაზიანება მიიღეს სამართალდამცველებმა. ასევე ცეცხლი წაუკიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილ ავტომობილს“.**

ე.ი. **ლაზარე გრიგორიადისი,** რომლის ფოტოებსაც წინამდებარე გვერდზე ხედავთ, რევოლუციურად აღტყინებული ახალგაზრდა ყოფილა, რომელმაც გადაწყვიტა, საქართველოს „ევროპული მომავალი“ ქართველი პოლიციელებისათვის ქვებისა და ბენზინის ხელნაკეთი ბომბების სროლით დაეცვა.

**აღტყინებულ ლაზარეს,** რომელიც სხვა **თავისნაირ აღტყინებულებთან ერთად** ქვებსა და „მოლოტოვის კოქტეილებს“ ისროდა, ეტყობა, იმედი ჰქონდა, რომ საქართველოს ხელისუფლება იმავე ღამეს დაემხობოდა და დანაშაულისათვის პასუხს აღარავინ მოჰკითხავდა.

ან იქნებ **აღტყინებულ ლაზარესა და სხვა მისნაირად აღტყინებულებს** ნაცოპოზიციის ლიდერთაგან გარანტიაც ჰქონდათ მიღებული — **მიდით, პოლიციელებს თავები დაუხეთქეთ და მათი მანქანები ცეცხლს მიეცით, იძალადეთ და კანონი ფეხებზე დაიკიდეთ, პასუხს ვერავინ მოგთხოვთ, ჩვენ აგერ ვართო!**

თუმცა, ამაო აღმოჩნდა **ლაზარეს აღტყინება!**

**აღტყინებული ლაზარე** დააკავეს და სასამართლოს წინაშე წარადგინეს!

**აღტყინებულ ლაზარეს** თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები, რომლებითაც მას ბრალი აქვს წარდგენილი — **პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფა მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით და სხვისი ნივთის განადგურება ცეცხლის წაკიდებით — 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

აღსანიშნავია, რომ **აღტყინებულმა ლაზარემ** სასამართლო პროცესზე დანაშაული აღიარა — **„მოლოტოვის კოქტეილიც“ ვისროლე და ავტომანქანაც დავწვი, ოღონდ მიზანში არ ვისროდი და სამართალდამცველთა დაზიანება წინასწარ არ მქონდა განზრახულიო.** თუმცა, ვიდეოჩანაწერი, რომელიც გამოძიებას მტკიცებულების სახით გააჩნია, საპირისპიროს მეტყველებს — **კადრებში კარგად ჩანს, რომ აღტყინებული ლაზარე „მოლოტოვის კოქტეილსა“ და ქვებს პოლიციელთა მისამართით სწორედაც დამიზნებით ისვრის.**

ისიც სათქმელია, რომ **ლაზარეს ძალადობრივ-დანაშაულებრივი აღტყინებანი** მანამდეც ჰქონია, ვიდრე „დასავლური დემოკრატიისა“ და „ევროპული მომავლის“ გადასარჩენად რუსთაველის გამზირზე ქვებისა და ბენზინის ბომბების სროლას ატეხდა — **2002 წელს დაბადებული გრიგორიადისი ერთხელ ადმინისტრაციულად იყო გასამართლებული პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის გამო, ხოლო მეორედ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ოჯახური ძალადობის მუხლით. კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღტყინებულმა ლაზარემ საკუთარი მამა ცივი იარაღით უკანალში დაჭრა.**

თუმცა, საკუთარი მშობლის უკანალში დაჭრაც კი არაფერია იმასთან შედარებით, რასაც **აღტყინებული ლაზარე, თავისნაირ აღტყინებულებთან ერთად** საკუთარ სამშობლოს უპირებდა, როცა რუსთაველის გამზირზე „მოლოტოვის კოქტეილებს“ ისროდა.

**„აღტყინებულმა ლაზარეებმა“ უნდა იცოდნენ, რომ ქართული სახელმწიფოსათვის სასროლად გამზადებული „მოლოტოვის კოქტეილები“ მათი სხეულის იმ ნაწილში აღმოჩნდება, სადაც ლაზარე გრიგორიადისმა საკუთარი მამა დაჭრა!**




## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**მჩაგვრელი, მკვლელი სისტემის შემოქმედი სააკაშვილის დაჯილდოება ადამიანის უფლებების დარგში ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა.** ნორვეგიაში გახსოვთ, რომ **ბრეივიკმა** ძალიან ბევრი ადამიანი დახოცა, დაახლოებით იგივეა, **რომელიმე ქვეყანამ რომ ბრეივიკს მისცეს ჯილდო.** სააკაშვილმა ასობით ადამიანი, ახალგაზრდა ჩახოცა, **მიხეილ სააკაშვილი** გასამართლებულია **გირგვლიანის საქმეში მონაწილეობისთვის.** მისი რეჟიმი იყო მკვლელი რეჟიმი.

„რეზონანსი“

**კახა კალაძე**
*პარტია „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი, თბილისის მერი*



მე ვარ ერთ-ერთი ის ადამიანი, რომელსაც ევროპაში ცხოვრების და კარიერის შექმნის ისტორია გააჩნია. **კარგად ვიცი, რა არის ევროპა და ევროპული ღირებულებები და სწორედ ამიტომ მინდა, რომ ჩემი ქვეყანა გახდეს ამ დიდი ოჯახის წევრი,** თუმცა, ეს არ უნდა მოხდეს კრიმინალის გათავისუფლების მოთხოვნის სანაცვლოდ, ქვეყანაში არეულობისა და ქაოსის დათესვის სანაცვლოდ.

„იმედინიუსი“

**ანზორ კუდბა**
*აფხაზი მწერალი*



ცხოვრებაში რამდენი ბედნიერი დღე მქონია, მაგრამ **იმ დღესთან, როდესაც დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოვაწერე, ვერცერთი ვერ მივა.** ერთადერთი აფხაზი ვარ, რომელმაც ამ ისტორიულ დოკუმენტს ხელი მოაწერა — **ამას აფხაზების სახელით ვაკეთებდი.** დადგება დრო, როდესაც აფხაზები სიამაყით იტყვიან, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელი აფხაზსაც აქვს მოწერილი.

„კვირის პალიტრა“

# საკუთარი მშობლის უკანალში დამჭრელი ალტყინებული ლაზარე და მისნაირები, სულ რომ ერთიან „მოლოტოვის კოქტეილად“ გადაიქცნენ, ჩვენს სამშობლოს ვერ ააფეთქებენ და სახელმწიფოს ვერ გადაატრიალებენ!


ლაზარე გრიგორიადისის მამა შვილის მხარდასაჭერი პლაკატით ხელში

ველის გამზირზე ბენზინის ბომბებს ისროდა და ავტომანქანებს ცეცხლს უკიდებდა!

ახლა ნაცოპოზიციის წარმომადგენლები, განსაკუთრებით **გიორგი ვაშაძე, ელენე ხოშტარია და ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე,** ლამის ფეხსაცმლებიდან ხტებიან — **თუ ხელისუფლებას ლაზარე გრიგორიადისის გასამართლების საშუალება მივეცით, ჩათვალეთ, რომ უკვე რუსეთის გუბერნია ვართ, რადგან ახალგაზრდები პროტესტის გამოხატვას ველარ გაბედავენო!**

**ხოშტარია-ვაშაძე-ჯაფარიძეებს** გულ-მუცელი, დიახაც, სწორად და საფუძვლიანად ეწვით, რადგან კარგად იციან, რომ, თუ **ალტყინებულმა ლაზარემ** პოლიციელებისათვის ქვებისა და „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლის გამო კანონის წინაშე პასუხი აგო, ნაცოპოზიციას მომავალში ძალიან გაუჭირდება, ახალგაზრდები, რაგინდარა დაპირებისა და დივიდენდის სანაცვლოდ, პოლიციასთან ფიზიკური შეტაკებისათვის დარაზმოს.

დიახ, თუ **ალტყინებული ლაზარე** კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯა, **მისნაირი ალტყინებული და თავგახურებული ჭეელები** ნაცოპოზიციას პასუხს მოსთხოვენ — **„მოლოტოვის კოქტეილების“ სასროლად და პოლიციელების დასასახიჩრებლად რომ გვაქეზებდით, ხელშეუხებლობას რომ გვპირდებოდით და გვარწმუნებდით, თითქოს ხელისუფლებას ჩვენი დასჯის საშუალებას არ მისცემდით, მოცემულ სიტყვას რატომ ვერ ასრულებთო?!**

მოკლედ, **ალტყინებული ლაზარეს** პასუხისგებაში მიცემა გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი მოძალადისა და დამნაშავის სამართლებრივი დასჯა — **ეს არის პრეცედენტული საქმე, რომლის შედეგზეც დიდწილად იქნება დამოკიდებული, შეძლებს თუ არა ექსტრემისტული ნაცოპოზიცია დაგეგმილი „მაიდნის“ მოწყობასა და ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობას!**

თუ ნაცოპოზიციამ, თავის უცხოელ პატრონებთან ერთად, იმდენი მოახერხა, რომ ხელისუფლებას უკან დაახევინა და **ალტყინებული ლაზარე** პატიმრობიდან გაათავისუფლებინა, მაშინ ხვალ რუსთაველის გამზირზე „მოლოტოვის კოქტეილებით“ შეიარაღებული ასობით **„ალტყინებული ლაზარე“** დადგება და ქართულ სახელმწიფოს ააფეთქებს! ხოლო, თუ ხელისუფლებამ უკან არ დაიხია და **ალტყინებულ ლაზარესთან** მიმართებაში კანონის უზენაესობა აღასრულა, სხვა **„ალტყინებული ლაზარეები“** ხელის გატოკებას ველარ გაბედავენ, რადგან ეცოდინებათ, რომ ქართული სახელმწიფოსათვის სასროლად გამზადებული **„მოლოტოვის კოქტეილები“** მათი სხეულის იმ ნაწილში აღმოჩნდება, სადაც **ლაზარე გრიგორიადისმა** საკუთარი მამა დაჭრა!

**საკუთარი მშობლის უკანალში დამჭრელი ალტყინებული ლაზარე და მისნაირები, სულ რომ ერთიან „მოლოტოვის კოქტეილად“ გადაიქცნენ, ჩვენს სამშობლოს ვერ ააფეთქებენ და სახელმწიფოს ვერ გადაატრიალებენ!**

**ალტყინებული ლაზარესა და მისნაირთა** დასამხობი ხელისუფლება ქართველ ხალხს არასოდეს აურჩევია და არც არასდროს აირჩევს!

***ჯაბა ხუბუა***

**ეს არის პრეცედენტული საქმე, რომლის შედეგზეც დიდწილად იქნება დამოკიდებული, შეძლებს თუ არა ექსტრემისტული ნაცოპოზიცია დაგეგმილი „მაიდნის“ მოწყობასა და ხელისუფლების დამხობას!**



# გველის წიწილი



***დიდმა ქართველმა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა თავის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნამუშევარს, რომელიც თითქმის 100 წლის წინათ, 1929 წელს არის შექმნილი, „ბოროტი ოჯახი“ დაარქვა. ძნელი სათქმელია, სულში ჩაბუდებული ბოროტებისაგან სახედაღრეჯილ და მზერაჩამქრალ ადამიანებს, რომლებიც გენიალური მხატვრის ტილოზე არიან გამოსახული, იმ დროისათვის ჰყავდათ თუ არა კონკრეტული პროტოტიპები, მაგრამ შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ასეთი ბოროტი ოჯახი ახლანდელ საქართველოში ნამდვილად მოიძებნება.***

**სააკაშვილის ოჯახი ბოროტი ოჯახია!**

სახელდობრ, **მიხეილ სააკაშვილი და მისი დედა გიული ალასანია ბოროტების განსხეულებას წარმოადგენენ!**

**ეს დედა-შვილი ბოროტებას გამოხატავს, ბოროტებას განასახიერებს და ბოროტებას აფრქვევს გარდიგარდმო!**

**ამ დედა-შვილში არ არის ფეტვის მარცვლისოდენა სიკეთეც კი!**

**ამ დედა-შვილს** არ გააჩნია ჰუმანიზმის, მორალისა და სინდისის მისხალიც კი!

**ეს დედა-შვილი** არ გრძნობს არავითარ უხერხულობას, სირცხვილსა და სინანულს იმის გამო, რაც საქართველოს 9 წლის განმავლობაში დამართეს და დაუშავეს!

ჰო, ორივემ დამართეს და დაუშავეს, რადგან **გიული ალასანია იყო სააკაშვილის თანამზრახველი ყველა ბოროტმოქმედებაში, რაც მან ხელისუფლებაში ყოფნისას ჩაიდინა და სააკაშვილის დედა ამას დღეს თავისი ყოველი განცხადებითა და საქციელით ადასტურებს.**

**— მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტობისას არათუ დანაშაული არ ჩაუდენია, არამედ შეცდომაც კი არ დაუშვია!** — გიული ალასანიას ეს განცხადება პირდაპირი და უტყუარი მტკიცებულებაა, რომ საკუთარ შვილში სწორედ მან აღზარდა და აღაზევა განდიდების მანიითა და ძალაუფლების მანიაკალური ჟინით შეპყრობილი **სოციოპათი,** რომლის ერთპიროვნული მმართველობაც ქვეყანას სისხლის მდინარეებად და პენიტენციურ საკონცენტრაციო ბანაკებად დაუჯდა.

**გიული ალასანიამ** რამდენიმე დღის წინათ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მან და მისმა შვილმა ვერც ვერაფერი ისწავლეს და ვერც ვერაფერი დაივიწყეს, რადგან უკიდეგანო ბოროტებას მათ ტვინში, გულსა

***გაგრძელება მე-4 გვერდზე***


„ბოროტი ოჯახი“. ლადო გუდიაშვილის ნახატი

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



**მიხეილ სააკაშვილი და ნიკა გვარამია** მძიმე დანაშაულებში არიან მხილებულნი. გვარამია **არ არის დაჭერილი** ავტომობილის მოხმარებისთვის, **ის არის დაჭერილი** საკუთარი ყოფილი ტელეკომპანიის 7 მილიონით გაძარცვისთვის.

„ახალი თაობა“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილი 24-საათიან „ლაივში“ ცხოვრობს მშობლებთან, ოჯახთან, გულშემატკივრებთან ერთად,** სრული პოლიტიკური ჩართულობით ყველა პროცესში. **აქ ადამიანის უფლება** კი არა, **პოლიტიკოსის უფლებაც** კი არ არის დარღვეული.

„ახალი თაობა“

**ალეკო ელისაშვილი**
*პარლამენტარი*



პოლიტიკურ ჯგუფებს უნდათ, **არეულობის და ომის ხარჯზე** მოვიდნენ ხელისუფლებაში — ამას ვერავინ ეღირსება.

„აიპრესი“

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



ყველაფერს ითმენდა ქართველი კაცი, მაგრამ **საკუთარი რწმენისა და ეკლესიის შეურაცხყოფას არ ითმენდა** და ცეცხლს ნუ ეთამაშებიან. ძალიან ცუდად დაამთავრებენ.

„აიპრესი“

**პაატა დავითაია**
*პარტია „ევროპული დემოკრატების“ თავმჯდომარე*



**სალომე ზურაბიშვილი** რომ პრეზიდენტად აირჩიეს, **მართლაც ახია „ქართულ ოცნებაზე“.**

„ახალი თაობა“

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

დასაწყისი მე-3 გვერდზე

და გონებაში ერთი ფიორი ადგილიც არ დაუტოვებია საღი აზრისა და ზნეობრივი ფიქრისათვის.

დიახ, **გიული ალასანიამ,** რომელიც ნაცმოძრაობის პარტიული ტელეკანალიზაციის — „მთავარი არხის" ეთერში სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ საუბრობდა, ასეთი რამ თქვა:

> **„როგორ გავუშვათო, როცა გირგვლიანი ჰყავს მოკლულიო. საინტერესოა ერთი, რომელ დონეზე, სად მოკლა, როგორ მოკლა, რა ფორმით, „კალაშნიკოვი" აიღო ხელში და ისე ესროლა თუ რა ჩაიდინა ამისთანა, როგორ მოკლა გირგვლიანი?"**

**ვითომ არ იცის გიული ალასანიამ,** რომ მისი შვილი უდანაშაულო სანდრო გირგვლიანის მკვლელია!

**ვითომ ვერ ხვდება გიული ალასანია,** რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში სააკაშვილი იმათზე უფრო დიდი დამნაშავეა, ვინც უდანაშაულო ახალგაზრდა კაცი შარდენის ქუჩიდან გაიტაცა, ოქროყანის ტყეში წაიყვანა და წამებით ამოხადა სული!

**სააკაშვილი სანდრო გირგვლიანის მკვლელია იმიტომ, რომ შექმნა სისტემა, რომლის ძალოვან მაღალჩინოსნებსაც, მინისტრის ცოლის ბრძანებით, თვალის დაუხამხამებლად შეეძლოთ ადამიანის მოტაცება და მოკვლა!**

**სააკაშვილი სანდრო გირგვლიანის მკვლელია იმიტომ,** რომ შექმნა რეჟიმი, რომელსაც ერთი მინისტრისა და მისი ცოლის გადასარჩენად შეეძლო, კანონი, სამართალი და სასამართლო სისტემა გადაეჭქვა!

**სააკაშვილი სანდრო გირგვლიანის მკვლელია იმიტომ,** რომ უსასტიკესი დანაშაულის ჩამდენებს პირადად მისცა შეწყალების პირობა, თუ ისინი ცოტა ხნით ციხეში ჩასხდებოდნენ და მკვლელობის დამკვეთთა შესახებ კრინტს არ დაძრავდნენ!

სააკაშვილმა გირგვლიანის მკვლელობის შემსრულებლებს ეს პირობა შეუსრულა და შეიწყალა, რის გამოც დღეს სასჯელს იხდის!

**სანდრო გირგვლიანის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია — მთელი სახელისუფლო ვერტიკალი, პრეზიდენტის თაოსნობით, ყველაფერს აკეთებდა, რათა ჭეშმარიტება არ დადგენილიყო და სამართლიანი სასამართლო არ შემდგარიყოო, პირდაპირი და ყველაზე წონადი მტკიცებულებაა იმისა, რომ სააკაშვილი სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ერთ-ერთი მთავარი თანამონაწილეა!**

ეს გიული ალასანიამაც მშვენივრად უწყის!

კი, **ძალიან კარგად იცის გიული ალასანიამ, რომ მკვლელის დედაა** — ცივსისხლიანი და სერიული მკვლელის



# მკვლელის დედა

დედა, რომელმაც არამარტო სანდრო გირგვლიანი, არამედ კიდევ ათობით უდანაშაულო ადამიანი ჩააწვინა მიწაში!

მაგალითად, სააკაშვილმა, აფხაზეთის კუდ-ის უფროსის **რომან შამათავას** ხელით, შუა ზღვაში კატერზე დახვრიტა **დათო ცინდელიანი და პაატა ქარდავა,** შემდეგ კი მათ გვამებს ბეტონის ნატეხი მოაბა და წყალში ჩაძირა, რათა დანაშაულის კვალი გაექრო!

გიული ალასანიას რომ ჰკითხო, ამაზეც იტყვის:

**„საინტერესოა ერთი, რომელ დონეზე, სად მოკლა, როგორ მოკლა, რა ფორმით,**

**სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე დღეს ცოცხალი რომ იყოს, ვფიქრობთ, სააკაშვილის დედა ამდენს ვერ გაბედავდა და თუ გაბედავდა, მისგან ისეთ პასუხს მიიღებდა, გიორგი ჩალაძის გვამიდან ველარ გამოყოფდა თავს!**



*გიორგი ჩალაძე და გიული ალასანია*



**„კალაშნიკოვი" აიღო ხელში და ისე ესროლა თუ რა ჩაიდინა ამისთანა, როგორ მოკლა ცინდელიანი და ქარდავა?"**

მართალია, **ცინდელიანისა და ქარდავასათვის** სააკაშვილს საკუთარი ხელით არ გაუხვრეტია შუბლი, მაგრამ **ისინი სწორედ სააკაშვილმა მოკლა, რადგან ხელისუფლებაში ისეთი ცივსისხლიანი მკვლელები და ჯალათები ჰყავდა აღზევებული, როგორიც რომან შამათავაა.** ის კი არა, კატერზე დახვრეტის შემდეგაც არაერთხელ მოკლა სააკაშვილმა **დათო ცინდელიანი და პაატა ქარდავა,** როცა მათი **მკვლელობის შემსრულებელ შამათავას** გმირი და პოლიტპატიმარი უწოდა.

**ცინდელიანისა და ქარდავას, შავაძისა და თეთრაძის, კრიალაშვილისა და შარაძის, ვაზაგაშვილისა და რობაქიძის, კვინტრაძისა და ასათიანის** მკვლელები მარტო სააკაშვილისათვის კი არა, დედამისისთვისაც გმირები არიან, რადგან გიული ალასანია თვლის, რომ მის შვილს არათუ დანაშაული არ ჩაუდენია, არამედ შეცდომაც კი არ დაუშვია!

გიული ალასანია არამხოლოდ მკვლელის დედაა, არამედ მკვლელის თანამზრახველიც არის და ამიტომ ლაპარაკობს ისე, როგორც ლაპარაკობს!

**გიული ალასანიას შემხედვარე, ძნელია, დაიჯერო, რომ ეს ის ქვეყანაა, რომლის ხალხურმა ეპოსმაც ვეფხვთან ბრძოლაში დაღუპული მოყმის დედა მოყმესთან ბრძოლაში დაღუპული ვეფხვის დედასთან სამძიმრის სათქმელად გაუშვა – ისიც ხომ დედაა და იმანაც ხომ შვილი დაკარგაო!**

მიხეილ სააკაშვილისა და გიული ალასანიას ბოროტ ოჯახს საქართველოსთან, ქართველ ხალხთან, ქართულ ზნეობასთან და ქართულ დიდსულოვნებასთან არავითარი კავშირი, არანაირი სულიერი და ემოციური ბმა არ გააჩნია!

**ეს ბოროტი ოჯახი თითქოს ლადო გუდიაშვილის მიერ თითქმის 100 წლის წინათ დახატული ტილოდან გადმოვიდა და საქართველოს მოუშორებელ ჭირად ექცა!**

და კიდევ: **სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე დღეს ცოცხალი რომ იყოს, ვფიქრობთ, სააკაშვილის დედა ამდენს ვერ გაბედავდა და თუ გაბედავდა, მისგან ისეთ პასუხს მიიღებდა, გიორგი ჩალაძის გვამიდან ველარ გამოყოფდა თავს!**

საუბედუროდ, ირინა ენუქიძე ცოცხალი აღარ არის, გიული ალასანია კი არსებობას აგრძელებს!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



ნორვეგიის ერთ-ერთი პარტია აჯილდოებს **სადისტს, ადამიანის უფლებების დამრღვევ სააკაშვილს,** სამარცხვინოა, როდესაც კრიმინალს აჯილდოებენ, როგორც მშვიდობის მტრედს. „პირველი არხი"

**ია მეჟრეველი**
*ბუტა რობაქიძის დედა*



გაგვანადგურეს, ოჯახები ამოგვიწყვიტეს, **165 ბიჭი ქუჩაში ჰყავს დახვრეტილი სააკაშვილს,** ვითომ უფლებების დამცველს და **მისთვის ჯილდოს გადაცემა არის ჩვენი შეურაცხყოფა.** „პირველი არხი"

**თორნიკე მოლაშვილი**
*სულხან მოლაშვილის ძმა*



მინდა, ხალხს ვთხოვო, **გავახსენოთ ნორვეგიის ელჩს, ვინ იყო მიხეილ სააკაშვილი და როგორი დემოკრატი იყო** — ქართველებს სულში რატომ გვაფურთხებენ?! „TV იმედი"

**ნანა კაკაბაძე**
*ყოფილი პატიმარი*



შეურაცხყოფა მოგვაყენეს ნორვეგიელებმა, **სააკაშვილმა ოჯახის ორი წევრი მომიკლა, მე ციხეში მამყოფა, ქონება ჩამომართვა, ქუჩაში დამტოვა** და ის არის დემოკრატიის შუქურა? „პირველი არხი"

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილისთვის** ჯილდოს გადაცემა იგივეა, რომ შუა საუკუნეებში **თემურ ლენგისთვის** გადაეცათ პრიზი მსოფლიოში მშვიდობის დარგში. „პირველი არხი"

**ლუიზა შენგელია**
*სააკაშვილის ყოფილი მკურნალი ექიმი*



ერთი კვირაა, სააკაშვილთან დედამისს სადილზე **სუში მოაქვს,** მეგონა, **თევზის სუშია** და გამიხარდა, თურმე, **ბოსტნეულის სუში** ყოფილა. „TV იმედი"

# ნორვეგიაში სააკაშვილს ბრეივიკ-დანსი უცეკვეს!

***ბრეიკ-დანსი, მოგეხსენებათ, აფრიკული წარმომავლობის ცეკვაა, რომელიც დროთა განმავლობაში მთელ მსოფლიოში გავრცელდა და მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა ქვეყნის კულტურაში მოიკიდა ფეხი. ცოტა ხნის წინათ ბრეიკ-დანსი ქორეოგრაფიის ფარგლებსაც გასცდა და, არც მეტი, არც ნაკლები, ოლიმპიური სპორტის სახეობად იქნა აღიარებული. შესაბამისად, პირველად ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში, 2024 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე, რომელიც პარიზში გაიმართება, მედლების კომპლექტი ბრეიკ-დანსშიც გათამაშდება.***






ასე და ამრიგად, **ბრეიკ-დანსი** ერთდროულად არის ცეკვისა და სპორტის სახეობა, ხოლო **ბრეივიკ-დანსი,** რომელიც 77 ადამიანის დამხოცავი ტერორისტის **ანდერს ბერინგ ბრეივიკის** სამშობლოში — **ნორვეგიაში სააკაშვილს უცეკვეს,** პოლიტიკური აბსურდისა და უტიფრობის ნაირსახეობა გახლავთ.

**ბრეივიკის სამშობლოში ბრეივიკ-დანსი** სააკაშვილისათვის **ნორვეგიის კონსერვატიულმა პარტიამ** იცეკვა, რომელმაც მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი, სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულებისათვის მსჯავრდებული ნაცბელადი ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვა.

**— მოხარული ვართ, შეგატყობინოთ, რომ კომიტეტის გადაწყვეტილებით შურ ლინდერბრექეს პრიზი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის 2023 წელს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს გადაეცემა. კონსერვატიული პარტია პრიზს სააკაშვილს ადამიანის უფლებების, პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებების და დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობისთვის მუშაობისთვის გადასცემს.** — ნათქვამია ჯილდოს გამცემი ორგანიზაციის განცხადებაში.

პატიმარ სააკაშვილისათვის განკუთვნილი პრიზი მის **დედას — გიული ალასანიასა** და **უმცროს ვაჟს — ნიკოლოზ სააკაშვილს** გადასცეს, რომლებიც ნორვეგიაში, კონსერვატიული პარტიის კონგრესზე საგანგებოდ იყვნენ მიწვეული.

ცხადია, მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი სააკაშვილისათვის ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებული ჯილდოს მინიჭებამ უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია ქართველი საზოგადოების უდიდეს ნაწილში, რომელმაც ნორვეგიის კონსერვატიული პარტიის საქციელი თავზე ქაქის გადასხმად და სულში ჩაფურთხებად მიიღო!

უფრო მეტიც: **ნორვეგიის კონსერვატიულმა პარტიამ, რომელმაც სააკაშვილის საამებლად ბრეივიკ-დანსი ჩამოუარა, უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენა არამხოლოდ ცოცხალი ქართველების უმრავლესობას, არამედ სააკაშვილის რეჟიმის მიერ ქუჩაში დახვრეტილ და საპატიმროებში წამებით მოკლულ ადამიანებს.**

სხვანაირად რომ ვთქვათ,

## ნორვეგიის კონსერვატიულმა პარტიამ სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, სერგო თეთრაძის, რონინ შავაძისა და სააკაშვილის ყველა მსხვერპლის საფლავზე ბრეივიკ-დანსი იცეკვა!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ნორვეგიული პარტიის მიერ სააკაშვილის დაჯილდოებასთან დაკავშირებით სრულიად მართებულად განაცხადა — **ეს იგივეა, ადამიანის უფლებების დაცვისათვის ტერორისტი ბრეივიკი რომ დააჯილდოონო!**

პრემიერ ღარიბაშვილის ეს განცხადება ძლიერ არ ეპიტნავა საქართველოში **ნორვეგიის ელჩს, ქალბატონ ჰელენ სანდ ანდერსენს,** რომელმაც განაცხადა: **„გაოგნებული ვარ ტერორისტ ბრეივიკთან შედარებით, რაც მე უაღრესად უადგილოდ მიმაჩნია“.**

სხვათაშორის, ნორვეგიის ელჩის ეს განცხადება ორაზროვანია და კითხვას ბადებს, რატომ მიაჩნია მას უადგილოდ სააკაშვილის შედარება ტერორისტ ბრეივიკთან — **იმიტომ, რომ სააკაშვილი ბრეივიკის კალიბრის დამნაშავე არ არის თუ, პირიქით, ბრეივიკი არ არის ისეთი მძიმე და სასტიკი დამნაშავე, როგორიც სააკაშვილია?**

ცხადია, ადამიანების სიცოცხლე და სიკვდილი მათემატიკური და ეთნიკური ნიშნებით არ უნდა გაიზომოს, მაგრამ, თუ სააკაშვილისა და ბრეივიკის დამნაშავეობის ხარისხი ერთმანეთს რამენაირად უნდა შევუფარდოთ, მაშინ ასე გამოდის: **ტერორისტმა ბრეივიკმა 77 ადამიანი, მათ შორის, ქართველი გოგონა თამთა ლიპარტელიანი მოკლა, სააკაშვილის მიერ შექმნილმა რეჟიმმა კი, მინიმუმ, ორჯერ მეტი ადამიანი იმსხვერპლა; ამასთან, ბრეივიკმა არა საკუთარი თანამემამულეები, არამედ დასასვენებელ ბანაკში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული ადამიანები დახოცა, სააკაშვილის რეჟიმი კი საკუთარ თანამემამულეებს ხოცავდა...**

ამდენად, ნორვეგიის ელჩის სიტყვები — **სააკაშვილის ბრეივიკთან შედარება უადგილოაო,** შესაძლოა, ისე გავიგოთ, რომ ქალბატონმა ანდერსენმა სააკაშვილი კი არა, საკუთარი თანამემამულე დაიცვა.

ისე, სააკაშვილის ბრეივიკთან შედარება სრულიად რელევანტურია იმ კუთხითაც, რომ

## ნორვეგიელი ტერორისტი და ნაცების ბელადი ერთნაირად ჭირვეული და კაპრიზიანი პატიმრები არიან, რომლებიც მუდმივად უკმაყოფილებას გამოთქვამენ ციხის პირობებით, არადა, ორივე ისეთ პირობებში იხდის სასჯელს, სხვა ნებისმიერი პატიმარი ვერც იოცნებებს.

მაგალითად, სააკაშვილის მსგავსად ბრეივიკიც აცხადებს, რომ საპატიმროში მას აწამებენ, რადგან გარე სამყაროსთან კომუნიკაცია და სუფთა ჰაერზე სეირნობის დრო ლიმიტირებული აქვს. გარდა ამისა, ბრეივიკი შიმშილობის დაწყებით იმუქრება, თუ ახალ-ახალი ვიდეოთამაშებით არ მოამარაგებენ და „ფლეისთეიშენის“ მოძველებულ მოდელს უახლესი მოდელით არ შეუცვლიან...

**მოკლედ, ბრეივიკისა და სააკაშვილის ფსიქოტიპები ღვიძლი ძმებივით არიან!**

აღსანიშნავია, რომ ნორვეგიის კონსერვატიული პარტიის მიერ პატიმარი ნაცბელადის დაჯილდოების კვალდაკვალ, ნორვეგიის ელჩი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს და განმარტება მოსთხოვეს — **სააკაშვილისათვის ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებული პრიზის გადაცემა ნორვეგიის მთავრობის პოზიციაა თუ მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტიის ინიციატივა?**

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, მინისტრის მოადგილესთან შეხვედრაზე **ნორვეგიის ელჩმა განაცხადა, რომ ნორვეგიის კონსერვატიული პარტიის მიერ სააკაშვილის დაჯილდოება ნორვეგიის მთავრობის პოზიციას არ გამოხატავს. ელჩისვე თქმით, საქართველოში ნორვეგიის საელჩო სააკაშვილის დაჯილდოების თაობაზე ინფორმირებული არ იყო და ამის შესახებ მედიიდან შეიტყვეს.**

მიუხედავად ამისა,

## ნორვეგიის მთავრობა ნორვეგიის კონსერვატიული პარტიის მიერ სააკაშვილის სასარგებლოდ და ქართველი ხალხის საწინააღმდეგოდ ნაცეკვ ბრეივიკ-დანსს საჯაროდ და ოფიციალურად ჯერაც არ გამიჯვნია!

**დიდ ნორვეგიელ მწერალს, ნობელიის პრემიის ლაურეატ კნუტ ჰამსუნს,** რომელიც მე-19 საუკუნის მიწურულს საქართველოს ინკოგნიტოდ ესტუმრა და ჩვენი ქვეყნით აღფრთოვანებულმა ნარკვევი **„ზღაპრული ქვეყანა“,** ასევე პიესა **„დედოფალი თამარი“** დაწერა, მიაჩნდა, რომ დროს ყველაფრის განსაკურნავად ოთხი წამალი აქვს — **ფურთხი, ტალახი, ჭამა და ძილი!**

თუმცა, იმ უდიდეს ტკივილსა და ულრმეს ჭრილობებს, რომელიც მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის ბელადმა სააკაშვილმა საქართველოსა და ქართველ ხალხს მიაყენა, დრო ვერც ფურთხითა და ტალახით განკურნავს და, მითუმეტეს, ვერც ჭამითა და ძილით!

რაც შეეხება ნორვეგიის კონსერვატიული პარტიის მიერ სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთა გვამებზე **ბრეივიკ-დანსის** ცეკვას, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ევროპაში პოლიტიკური კლასი მორალური ლპობის შეუქცევად პროცესშია შესული და პრინციპებსა და ფასეულობებს ფულზე ყიდის!

**ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნორვეგიის კონსერვატიულმა პარტიამ ბრეივიკ-დანსი იმ მილიონდოლარიანი კონტრაქტის ეგიდით იცეკვა, რომელიც სააკაშვილის დედამ ამერიკულ ლობისტურ კომპანიას გაუფორმა!**

ასეა — ვინც ფულს იხდის, **ბრეივიკ-დანსსაც** ის უკვეთს!

***ჯაბა ხუბუა***

ცეკვა ბრეიკ-დანსი



**ნორვეგიის კონსერვატიულმა პარტიამ ბრეივიკ-დანსი იმ მილიონდოლარიანი კონტრაქტის ეგიდით იცეკვა, რომელიც სააკაშვილის დედამ ამერიკულ ლობისტურ კომპანიას გაუფორმა!**




ნორვეგიის კონსერვატიული პარტიის კონგრესზე სააკაშვილისათვის განკუთვნილი პრიზი გიული ალასანიასა და ნიკოლოზ სააკაშვილს გადასცეს

***„ასავალ-დასავალი“ წარმოგიდგენთ ტელეკომპანია „ობიექტივის“ გამომძიებელ-ჟურნალისტთა ჯგუფის მიერ მომზადებული სკანდალური დოკუმენტური ფილმის საგაზეთო ჩვენებას, რაც, ელენე ხოშტარიას მხილების მაგალითზე, კიდევ ერთხელ ახდის ფარდას, რეალურად რა ძალა იმალება პროდასავლური და ანტირუსული შირმის უკან ნაცოპოზიციის სახით.***

# МГИМОრჯობა,

## მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტი

ორ წელიწადში 80 წელი შეუსრულდება იოსებ სტალინის მიერ დაარსებულ მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტს, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის **МГИМО**-ს სახელწოდებითაა ცნობილი.

ეს ინსტიტუტი დასავლეთის ქვეყნების სპეცსამსახურების საგანგებო ყურადღების ქვეშაა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რუსეთის დიპლომატიური კორპუსის სამი მეოთხედი სწორედ ამ ინსტიტუტის კურსდამთავრებულია და მეორეც: **იმავე სპეცსამსახურების მტკიცებით, ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა უმეტესობა რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას სტუდენტობის წლებშივე იწყებს.**

ცნობისათვის: **МГИМО**-ში 53 უცხო ენა ისწავლება და ამ თვალსაზრისით, გინესის რეკორდების წიგნშიც არის შეტანილი.

## МГИМО-ს პროფესორ-მასწავლებლები

ამერიკელი და ევროპელი ექსპერტების აზრით, **МГИМО**-ს არცერთ პედაგოგს მაიორზე ნაკლები წოდება არა აქვს. **МГИМО**-ს პროფესორ-მასწავლებლებს შორის არიან:



1. გენერალ-პოლკოვნიკი **იგორ სერგის ძე ივანოვი,** რუსეთის უშიშროების საბჭოს ექს-მდივანი;



2. გენერალ-პოლკოვნიკი **ლეონიდ გრიგორის ძე ივაშოვი,** დსთ-ს თავდაცვის მინისტრთა საბჭოს ექს-მდივანი;



3. გენერალ-ლეიტენანტი **ვიაჩესლავ ალექსანდრეს ძე მიხაილოვი,** რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ექს-მოადგილე;



4. გენერალ-ლეიტენანტი **ვლადიმერ პავლეს ძე ნაზაროვი,** რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ექს-მოადგილე;



5. გენერალ-ლეიტენანტი **ნიკოლოზ პეტრეს ძე გრიბინი,** კოპენჰაგენში რუსეთის ექს-რეზიდენტი და რუსეთის საგარეო დაზვერვის აკადემიის ექს-ხელმძღვანელი;



6. გენერალ-მაიორი **ნიკოლოზ სერგის ძე ლეონოვი,** კგბ-ს ანალიტიკური განყოფილების ექს-ხელმძღვანელი;



7. გენერალ-მაიორი **ლევ სერგის ძე ვორონკოვი,** კარიბის კრიზისის პერიოდში სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო დივიზიის ექს-პოლიტმდივანი;



8. გენერალ-მაიორი **იური გიორგის ძე კობალაძე,** რუსეთის საგარეო დაზვერვის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ექს-ხელმძღვანელი;



9. გენერალ-მაიორი **ევგენი გრიგორის ძე ნიკიტენკო,** ავღანეთში საბჭოთა არმიის ოპერატიული სამმართველოს უფროსის ექს-მოადგილე;



10. გენერალ-მაიორი **ანდრეი ოლეგის ძე ბეზრუკოვი,** აშშ-ში რუსეთის ექს-რეზიდენტი.

**МГИМО-ში ასზე მეტი გენერალი კითხულობს ლექციებს და ცხადია, პროფესორ-მასწავლებლების სრულ ნუსხას ეს ფილმი ვერ დაიტევს, თუმცა, ჩვენს მიერ ჩამოთვლილი პედაგოგები მკაფიო წარმოდგენას შეუქმნიან მაყურებელს МГИМО-ზე, როგორც უმაღლეს სასწავლებელზე.**

## МГИМО-ს კურსდამთავრებულთა ნაამბობი

პროდასავლურმა და **სააკაშვილ-ბოკერიების** თანამოაზრე ინტერნეტ გამოცემა **„პროექტ მედიამ“,** რომელიც ლატვიაშია რეგისტრირებული და ამერიკული ფონდებიდან ფინანსდება, ვრცელი ჟურნალისტური გამოძიება მიუძღვნა **МГИМО**-ს.

ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში **МГИМО**-ს რამდენიმე კურსდამთავრებული ინტერვიუსაც კი დათანხმდა, თუმცა, ვინაობის გამჟღავნებისგან თავი შეიკავა. **აღნიშნული ინტერვიუები გვამცნობს, რომ МГИМО-ს თითქმის ყველა სტუდენტი გასაუბრებას გადიოდა 2018-ა ოთახში, სადაც მას ფედერალური უშიშროების ან საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურებთან თანამშრობლობას სთავაზობენ.**



მაგალითად, **ვინმე ანდრეი** ყვება, რომ სპეცსამსახურები დაინტერესდნენ ანდრეის სერბულის ცოდნით, კერძოდ ჩერნოგორიული აქცენტით და აღნიშნეს, რომ ენის ასეთი მცოდნენი ცოტანი არიან, ამიტომ ანდრეის შეუძლია, ერთდროულად რუსეთსაც და ჩერნოგორიასაც დაეხმაროს. ამასთან, იმოგზაუროს კიდეც და ანაზღაურებაც მიიღოს.



**ვინმე მაქსიმი** ყვება, რომ მას დაუკავშირდა დაზვერვის წარმომადგენელი და შპიონაჟი და ინფორმატორობა შესთავაზა.

გენერალ-მაიორი **იური კობალაძე** აღნიშნავს, რომ დაზვერვისთვის **МГИМО,** რა თქმა უნდა, ძალიან მიმზიდველი უმაღლესი სასწავლებელია, თუნდაც ენების ცოდნის და ჰუ-




მანიტარული განათლების გამო. **გენერალ-მაიორ კობალაძის აზრით, ამგვარი პრაქტიკა დღესაც არსებობს.**

1968 წელს საბჭოთა მაყურებელმა იხილა ფილმი **„მკვდარი სეზონი“,** რომელიც საგარეო დაზვერვის მუშაობას მიეძღვნა. ფილმზე მუშაობა თითქმის ორ წელიწადს მიმდინარეობდა, მთავარი კონსულტანტი **ვინმე პანფილოვი** იყო. მოგვიანებით გაირკვა, რომ **პანფილოვი** სინამდვილეში საბჭოთა მზვერავი **კონონ მოლოდი** გახლდათ, რომელიც ინგლისში საბჭოთა რეზიდენტურას ხელმძღვანელობდა, სადაც დააპა-



ტიმრეს და სამ წელიწადში რუსეთში დაპატიმრებულ ინგლისის მზვერავზე გაცვალეს. საინტერესოა, რომ **კონან მოლოდიც МГИМО**-ს კურსდამთავრებულია.

რუსეთის საგარეო დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელი, არმიის გენერალი **ვიაჩესლავ ტრუბნიკოვიც МГИМО**-ს კურსდამთავრებული გახ-




ლდათ და, როგორც თავად ყვება, კგბ-სთან თანამშრომლობა სტუდენტობის დროს დაიწყო: **„არავინ მეუბნებოდა, რა უნდა მეკეთებინა. ამბობდნენ, რომ ძალიან სერიოზული, საპასუხისმგებლო სამუშაოა. სახელმწიფო სამსახურია. მითხრეს, რომ ოფიცერი ვიქნები. ასე აღმოვჩნდი კგბ-ს პირველ მთავარ სამმართველოში, ანუ საგარეო დაზვერვაში“.**

## შტეფან ფიულე

**შტეფან ფიულე** გამორჩეულად საინტერესო ფიგურაა ჩეხურ და ევროპულ პოლიტიკაში. იგი **МГИМО**-ს კურსდამთავრებულია, იყო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის აქტივისტი და ჩეხეთის სპეცსამსახურების შტატგარეშე თანამშრომელი.

**ფიულეს** საოცარი პოლიტიკური ალღო აღმოაჩნდა. იგი დროულად მიხვდა, რომ საბჭოთა



კავშირი და სოციალისტური ბანაკი იმსხვრევა. ფიულეს **МГИМО**-ში მიღებული ცოდნა და უნარჩვევებიც გამოადგა. ყოფილი კომუნისტების მტკიცებით, იგი საიდუმლოდ გაურიგდა ჩეხ დისიდენტს — **ვაცლავ ჰაველს** და დასავლეთის ბანაკში გადაბარგდა.

**ვაცლავ ჰაველის** გაპრეზიდენტებისთანავე **შტეფან ფიულეს** პროდასავლური კარიერა დაიწყო. **მიუხედავად იმისა, რომ თავად ჩეხი დისიდენტები ფიულეს კაგებეს აგენტად აცხადებდნენ, მან მაინც მოახერხა კარიერული წინსვლა და 2010 წელს ევროკომისრის, ანუ ევრომინისტრის თანამდებობაც კი დაიკავა.**

საინტერესოა, რომ დღეს **ფიულე** რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლთა ავანგარდშია!

## პოლონეთი და МГИМО

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ პოლონეთი სრულიად სხვაგვარად უდგება **МГИМО**-ს კურსდამთავრებულებს. 20-წლიან პერმანენტულ დებატებს თან ახლდა **პოლონეთის სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე МГИМО-ს კურსდამთავრებულების მხილება რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში.**







საბოლოო ჯამში, 2018 წელს პოლონეთის ხელისუფლებამ მიიღო ძალზე ხისტი და რადიკალური გადაწყვეტილება: **სახელმწიფო სტრუქტურებიდან გაათავისუფლეს МГИМО-ს ყველა კურსდამთავრებული.** ამ ქმედების მასშტაბის წარმოსადგენად საკმარისია, აღვნიშნოთ, რომ **პოლონეთმა 101 ქვეყნიდან 86 ელჩი გაიწვია, რომლებსაც МГИМО ჰქონდათ დამთავრებული,** გარდა ამისა, სამსახურიდან გაათავისუფლეს 111 სამთავრობო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე, რომლებიც, ასევე **МГИМО**-ს კურსდამთავრებულები იყვნენ.

## МГИМО-ს კურსდამთავრებულები ქართულ პოლიტიკაში

სანამ ქართველ პოლიტიკოსებზე ვიტყოდეთ ორიოდე სიტყვას, გვინდა გაგაცნოთ **МГИМО**-ს კურსდამთავრებულის, **ვინმე ლეონიდის,** ალბათ, სუბიექტური, მოსაზრება:



**„უშიშროებისა თუ დაზვერვის თანამშრომლები, როგორც წესი, ყველა სტუდენტს ესაუბრებიან, განსაკუთრებული სფეროა საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. ცხადია, სპეცსამსახურებს აინტერესებთ ანალიტიკური აზროვნების უნარი, კრიტიკულ სიტუაციაში არაორდინარული მოქმედების უნარი და მსგავსი თვისებები. ზუსტ მონაცემებს არავინ ფლობს და ვერავინ გეტყვით, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტთა 70, შესაძლოა, 75%-იც კი, ან ჯაშუშობას თანხმდება, ან გავლენის აგენტი ხდება“.**

ცხადია, **МГИМО**-ს ყველა კურსდამთავრებული რუსეთის სპეცსამსახურებთან არ ითანამშრომლებდა და ვერც ითანამშრომლებდა. ნათელია, რომ ვიღაცა უარს იტყოდა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე.

მაყურებელმა შესაძლოა, იცის, რომ **МГИМО**-ს კურსდამთავრებულნი არიან **ბატონი გრიგოლ ვაშაძე** და **ქალბატონი ელენე ხოშტარია.**



ამასთან, ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ არც **ბატონი გრიგოლი** და არც **ქალბატონი ელენე** არ დათანხმდებოდნენ რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას.

**მაგრამ გავეცანით რა ქალბატონი ელენეს საჯაროდ გამოქვეყნებულ ბიოგრაფიას და თავად ქალბატონი ელენეს განცხადებებს, დაგვება-**



# „ასავალ-დასავალი“ წარმოგიდგენთ „ობიექტივის“

# ლЯКА!




**და სრულიად ლეგიტიმური კითხვა: თუ ადამიანმა МГИМО-ს ერთი ფაკულტეტი დაამთავრა და კონკრეტული სპეციალობა მიიღო, ამასთან, სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა, მიეცემა კი ასეთ ადამიანს საშუალება, რომ МГИМО-ს კიდევ ერთი, სხვა ფაკულტეტი დაამთავროს და კიდევ ერთი დამატებითი სპეციალობა შეიძინოს?!**

## ელენე ხოშტარია, მეტსახელად ЛЯКА

ელენე ხოშტარიას ინტერვიუ: **„როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის შვილს, მაშინ მქონდა კვოტირებით საშუალება, რომ უფასოდ მესწავლა МГИМО-ში და ეს იყო ის ერთადერთი შესაძლებლობა, რომელზეც, სხვათაშორის, მე და მამას გვისაუბრია თავის დროზე, რომ მტრის ბანაკში უნდა შეხვიდე და სწორედაც რომ კარგად უნდა ისწავლო და პრინციპში ეს იყო მთავარი მოტივატორი“.**

ქალბატონი ელენეს მამა — **ბატონი გოგი ხოშტარია** 1990-1991 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ, მისი მინისტრობა სულ



ცხრა თვეს გაგრძელდა.

**ბატონ გოგის, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, თურმე, ლიმიტი ეკუთვნოდა МГИМО-ში, ანუ რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ხარჯზე ერთი სტუდენტის ჩარიცხვის უფლება ჰქონია МГИМО-ში.** ამის შესახებ ბატონი გოგის მეუღლემ, **ქალბატონმა ირინამ** საჯაროდ განაცხადა:

**„იმ პერიოდში „ესენგე“-ში ვიყავით და სხვა არჩევანი არ გვქონდა, რუსეთში სასწავლებლად უნდა გაგვეშვა, თან იქ კარგი განათლების მიღება შესაძლებელი იყო. რადგანაც პოლიტიკა აინტერესებდა, МГИМО-ში მოხვდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ფინანსები არ გვქონდა, სხვა ქვეყანაში გაგვეშვა სასწავლებლად და რადგან ჩემი მეუღლე საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ეკუთვნოდა ლიმიტი და ელენეს შეეძლო, უფასოდ ესწავლა. ეს შესაძლებლობა გამოვიყენეთ“...**

რუსეთის განათლების სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდიდან ვიგებთ, რომ ლიმიტი, ანუ კვოტა, რაზეც **ქალბატონი ირინა** საუბრობს, ერთწლიანია და გამოუყენებლობის შემთხვევაში ის ავტომატურად უქმდება.

თუმცა, **ბატონმა გოგიმ,** სრულიად ჯადოსნურად, თავისი პერსონალური ლიმიტის შენარჩუნება **მთელი 7 წლის განმავლობაში** მოახერხა. **ამ 7 წლის განმავლობაში,** თავად **ქალბატონი ელენეს განცხადებით,** რუსეთი ოკუპანტად და დაუძინებელ მტრად გადაგვექცა და მიუხედავად ამ მოცემულობისა, **ქალბატონი ელენე მამის პროტექციით МГИМО-ს სტუდენტი მაინც ხდება და ოკუპანტი რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ხარჯზე ოკუპანტის დედაქალაქში სწავლასა და პროფესიულ ზრდას იწყებს.**

მოგეხსენებათ, **ЛЯКА** რუსული მეტსახელია, ასობგერა **Я** ქართულ ენაში უბრალოდ არ არსებობს. რუსული ლექსიკონები გვიხსნიან, რომ **ЛЯКА — მრუდს, ჩაზნექილს ან ამოზნექილს** ნიშნავს, ჰოდა, ქალბატონი **ЛЯКА** გვიყვება, რომ რუსეთში ძალზედ **„მრუდი“** ცხოვრება ჰქონია, თუმცა, არსად და არაფერს აცხადებს იმის თაობაზე, გაესაუბრნენ თუ არა მას რუსეთის უშიშროებისა თუ დაზვერვის თანამშრომლები სტუდენტობის დროს და ცხადია, **ЛЯКА**-ს არც ის უთქვამს, გადაიბირეს თუ არა.

**ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მამულიშვილ ЛЯКА-ს ოკუპანტი ვერ გადაიბირებდა, მაგრამ აი, აქ ვაწყდებით უცნაურ გარემოებას. ქალბატონმა ЛЯКА-მ МГИМО-ს ერთი ფაკულტეტი, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი წარმატებით დაასრულა, რუსეთის სპეცსამსახურებს თანამშრომლობაზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ უარიც უთხრა და ამ დროს, კვლავ სრულიად ჯადოსნურად, როგორც თავად უწოდებს, ოკუპანტმა რუსეთმა იგი МГИМО-ს კიდევ ერთ, სტრატეგიულ ფაკულტეტზე, კერძოდ, საერთაშორისო უსაფრთხოების ფაკულტეტზე ჩარიცხა და მისი სწავლა ოკუპანტმა კვლავ, ანუ ხელმეორედ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დააფინანსა.**

ზოგადად გასაკვირია, რომ ქალბატონმა **ЛЯКА**-მ **МГИМО**-ს მეორე ფაკულტეტის დამთავრებაც ისურვა. როგორც თავად ქალბატონი **ЛЯКА** აცხადებს, მესამე კურსზე საშინელ დეპრესიაში ჩავარდნილა, თურმე, ეუბნებოდნენ: ცუდი აქცენტი გაქვსო. არადა, ქალბატონი **ЛЯКА** რუს ძიძას აღუზრდია და თუ ტელევიზიით მისი რუსული მოგისმენიათ, ძალზედ კარგად მეტყველებს და არც აქცენტი აქვს შესამჩნევი.

**(ერთვის ლიაკას რუსული ინტერვიუ. რედ.)**

ეტყობა, იმდენს ჰყვედრიდნენ: აქცენტი გაქვსო, რომ მთელი ნებისყოფა დაძაბა და აქცენტს სძლია! ქალბატონი **ЛЯКА**-სვე განცხადებით, მას ხშირად ეუბნებოდნენ: კავკასიური იერ-სახე გაქვსო. არადა, ქალბატონ **ЛЯКА**-ს ცალსახად ევროპული გარეგნობა აქვს. ეტყობა, ამ შემთხვევაშიც ძალები მოიკრიბა და კავკასიური გარეგნობაც ევროპულად გარდაიქმნა.

ქალბატონი **ЛЯКА**-ს მოგონებებიდან ვიგებთ, რომ მას გაუნათლებლობასაც აბრალებდნენ, ამიტომ ქალბატონმა **ЛЯКА**-მ წარმოუდგენელი სიბეჯითე გამოიჩინა და **МГИМО** წითელ დიპლომზე დაამთავრა.

**ალბათ, უნდა ვენდოთ ლЯკა ხოშტარიას და დავუჯეროთ, რომ მისი მთავარი მიზანი — მტრის, ანუ რუსეთის, შუაგულში ჩანერგვა იყო. შესაბამისად, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ იგი МГИМО-ს ჰიმნსაც გულმხურვალედ შეასრულებდა, რა თქმა უნდა, მტრის დასანახად.**

სხვათაშორის, **МГИМО**-ს ჰიმნი რუსეთის ამჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის **სერგეი ლავროვის** დაწერილია და კვლავ ვვარაუდობთ, რომ, მტრის დასანახად, ქალბატონი ლ**Я**კა განსა-



კუთრებული თავგამოდებით, აი, ამ სიტყვებს მღეროდა: „**Это наш институт, это наше клеймо, и другого вовеки не нужно**“!

**ლЯკა-ჰელენას** იმ თანამებრძოლების საყურადღებოდ, რომლებსაც ყოველივე რუსული სძულთ და ოკუპანტის ენას პრინციპულად არ ეუფლებიან, ეს სიტყვები ქართულადაც მოგვყავს:

**„ეს ჩვენი ინსტიტუტია, ეს ჩვენი დამღაა და საუკუნოდ სხვა არ გვჭირდება“!**

მაყურებელს გვინდა შევახსენოთ, რომ ამ ფილმის დასაწყისში ჩვენ **МГИМО**-ს პროფესორ-მასწავლებლებს შორის **გენერალ-მაიორი ანდრეი ოლეგის ძე ბეზრუკოვი** გამოვყავით. ეს სწორედ ის **ბეზრუკოვია,** რომელიც **დონალდ ჰიტფილდის** სახელით ჯაშუშობდა შეერთებულ შტატებში მეუღლესთან — **ელენა ვავილოვასთან,**



იგივე **ტრეისი ენ ფოლთან** ერთად.

მაშინ თავად **ბეზრუკოვიც** და მისი მეუღლეც, ორივენი დაზვერვის პოლკოვნიკები გახლდნენ.

2010 წელს ამერიკის ფედერალური გამოძიების ბიურომ დააკავა **ცოლ-ქმარი დონალდ ჰიტფილდი,** იგივე **ბეზრუკოვი,** და მისი მეუღლე **ტრეისი ენ ფოლი,** იგივე **ვავილოვა.** მოგვიანებით ისინი რუსეთში დაკავებულ ამერიკელ ჯაშუშებზე გაცვალეს.

**ანდრეი ბეზრუკოვი** და **ელენა ვავილოვა** რუსეთის სპეცსამსახურებში ძალზედ გამოცდილ და ავტორიტეტულ მზვერავებად არიან აღიარებული, რაზეც თავად ამერიკელებმაც კი გადაიღეს სპეციალური ფილმი.

ამ ამბავში ჩვენ განსაკუთრებით დაგვაინტერესა **ელენა ვავილოვას** ინტერვიუმ, სადაც ის ყვება, როგორ ხდება აგენტების გარდასახვა.

**ელენა ვავილოვა** — რუსეთის საგარეო დაზვერვის თადარიგის პოლკოვნიკი:

*„მზვერავის სამუშაო მრავალმხრივია. ის არ შეიძლება განისაზღვროს, როგორც ერთი კონკრეტული დავალება. ბევრი ადამიანი მუშაობს კავშირის შენარჩუნებაზე... მათ ამზადებენ და აგზავნიან, მაგალითად, ზოგიერთ ღირებულ აგენტთან კავშირის შესანარჩუნებლად. ეს სამუშაოს ნაწილია. სხვა შემთხვევაში არის გარკვეული კონკრეტული დავალება,* ***რათა ჩაინერგოს რომელიმე ორგანიზაციაში გარკვეული ინფორმაციის მისაღებად.*** *როდესაც მზვერავი საზღვარგარეთ იწყებს მუშაობას, ის ტოვებს საკუთარ მე-ს, ყოფილ მე-ს, ტოვებს ყველაფერს და სხვა ადამიანი ხდება.* ***ანუ შენ ივიწყებ საკუთარ ფესვებს, ბავშვობას და იწყებ ფიქრს საკუთარ თავზე, როგორც იმ ადამიანზე, ვინც უნდა განასახიერო.*** *ასეთი ტრანსფორმაცია ხდება და მე მიყვარს მაგალითად მსახიობების მოყვანა, რომლებიც ასევე თამაშობენ სცენაზე ვიღაცის ცხოვრებას, ვიღაცის როლს, ოღონდ მზვერავის შემთხვევაში ეს ადამიანი ამ როლს დიდხანს თამაშობს და წლების განმავლობაში თანდათანობით ერწყმის ამ მეორე გმირს. ანუ დიახაც — ორი ცხოვრება, მაგრამ ორივე ცალ-ცალკე. ჯერ ერთი ცხოვრება გქონდა, მერე ტოვებ მას და სხვა ადამიანად გარდაიქმნები, სხვა ცხოვრებით ცხოვრობ. ფაქტობრივად, რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ შენ თვითონ გჯერა, რომ ის ადამიანი ხარ, ვისაც განასახიერებ.*

**პარალელებს მაყურებელი, ალბათ, თავად გაავლებს.**

## ЛЯКА-ს მოსკოვური საგა, ანუ МОСКВА СЛЕЗАМ НЕ ВЕРИТ

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალბატონი **ЛЯКА,** სრულიად ჯადოსნურად, **МГИМО**-ს მეორე ფაკულტეტზე — **საერთაშორისო უსაფრთხოების ფაკულტეტზე** ჩაირიცხა. თანაც, კვლავ რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ხარჯზე. ამავდროულად, კვლავ ჯადოსნურად, **ქალბატონი ЛЯКА მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფში აჰყავთ სტაჟიორად.** ჩვენ გვახსოვს, რომ ქალბატონი **ЛЯКА**-ს მამა, ბატონი **გოგი ხოშტარია** საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის წევრი იყო და, სავარაუდოდ, კვლავ მამამ გაუკვალა გზა თავის






ქალიშვილს მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფში. **საინტერესოა, რომ ამის პარალელურად, ქალბატონი ЛЯКА სტაჟიორად აჰყავთ მოსკოვში, საქართველოს საელჩოშიც.**

მოკლედ, ჯადოსნური წრეა. ქალბატონი **ЛЯКА რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ხარჯზე МГИМО-ს ჯერ ერთ ფაკულტეტს ამთავრებს, შემდეგ კვლავ ოკუპანტი ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯზე მეორე ფაკულტეტზე ირიცხება!** ამავდროულად, რუსეთის ხელისუფლებისადმი ძალზედ კრიტიკულად განწყობილ დისიდენტურ ორგანიზაციაში — **მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფში** სტაჟიორად იწყებს მუშაობას და, ამის პარალელურად, **რუსეთში საქართველოს საელჩოს** სტაჟიორიც ხდება.

ანუ ქალბატონი **ЛЯКА** ერთდროულად **რუსეთის ორ არამეგობარ ორგანიზაციაშია** სტაჟიორი, და ამავდროულად, რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტი ხელმეორედ აფინანსებს ქალბატონი ლ**Я**კას სწავლა-განათლებას **МГИМО**-ში.

**ყოველივე ეს, ცხადია, ჯადოსნურად ხდება და, ცხადია, რუსეთის სპეცსამსახურები აქ არაფერ შუაში არიან, პირიქით, ქალბატონი ЛЯКА მტრის შუაგულშია, ოკუპანტი ქვეყნის განადგურების სურვილითაა განმსჭვალული და დაუღალავად ებრძვის მოსისხლე მტერს.** ებრძვის **МГИМО**-ს ლექციებზეც, ებრძვის ჰელსინკის ჯგუფის სხდომებზეც და ებრძვის საქართველოს საელჩოს ღონისძიებებზეც! **ამავდროულად, ЛЯКА ისევე, როგორც ყველა გმირი, ბედის უკუღმართობის ქარცეცხლშია, მას ფინანსურად ძალზედ უჭირს და, როგორც თავად გვარწმუნებს, ოკუპანტების ბინების დალაგებითა და რუსი პენსიონერების ძაღლების გასეირნებით ირჩენს თავს.** თანაც, თურმე, ამ ძაღლების ეშინია, ანუ მამაცი **ЛЯКА,** როგორც თავად უწოდებს, ოკუპანტ სპეცსამსახურებთან ბრძოლას არ შეუშინდა, რუსი პენსიონერების ძაღლებმა კი შეაშინეს.

## МГИМО-ს ფრიადოსანი სამშობლოს სამსახურში!

2004 წელს **ЛЯКА** ხოშტარია „რეფორმატორი“ სააკაშვილის გუნდის წევრი ხდება და, პრაქტიკულად, რამდენიმე თვეში ჯერ პოლიციაში,

გაგრძელება 26-ე გვერდზე

**სკანდალური ფილმის საგაზეთო ჩვენება!**

*ᲙᲘᲔᲕ-ᲞᲔᲩᲝᲠᲘᲡ ᲚᲐᲕᲠᲘᲡ გუმბათებზე ოქროს ჯვრები მას შემდეგ გაშავდა, რაც იქ ე.წ. „ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ“ რასკოლნიკებმა ცრუ წირვა ჩაატარეს, რომელშიც, კანონიკური უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესიისა და სხვა სამოციქულო ეკლესიებისაგან განსხვავებით, არ არის პირველ მოციქულთაგან გადმოცემული სამღვდელოების მემკვიდრეობითობა.*



# «ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮ-ᲰᲧᲝᲤᲗ!»

## ᲕᲘᲜ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲒᲘᲜᲔᲑᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ

ᲐᲠᲜᲝ ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

# ᲦᲐᲚᲐᲢᲔᲚᲗᲐ

დევნილი ბერების, მღვდელმსახურებისა და სამწყსოს, ასევე ამ მკრეხელობის ჩამდენ ღვთისმგმობელთა ბედით ღრმად შეწუხებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი წერილს სწერს მსოფლიო პატრიარქს, რადგან იცის — **„ღმერთს ვერ შეურაცხჰყოფ“** (პავლე მოციქული, „ეპისტოლე გალატელთა მიმართ“, ახალი აღთქმა, 6:7). **ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ** სთხოვს **ᲑᲐᲠᲗᲚᲝᲛᲔᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡ,** იტვირთოს სამშვიდობო მისია — განმუხტოს დაძაბულობა და შემთხვევით როდი ასრულებს წერილს ციტატით წმინდა წერილიდან: **„ისწრაფდით დამარხვად ერთობისა მის სულისასა საკვრელითა მით მშვიდობისაითა“** (პავლე მოციქული, „ეპისტოლე ეფესელთა მიმართ“, ახალი აღთქმა 4:3).

პატრიარქის წერილი კიდევ ერთი საბაბი ხდება ეკლესიის მაგინებელი ჯაშუშებისა — და დასავლური გავლენის აგენტებისთვის, რათა ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და მისი წინამძღვარი **„ბნელეთის პრორუს მოციქულებად“** შერაცხონ. უსამშობლო მოღალატეებს არა აქვთ წაკითხული ბიბლია და ამიტომაც არ იციან, ვინ არის **ᲞᲐᲕᲚᲔ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲘ** და რას ნიშნავს მისი სიტყვები. **დასავლური სპეცსამსახურების ჯაშუშებს არც უცხოეთის აგენტების შესახებ კანონპროექტი წაუკითხავთ, რომლის გაწვევაც საქართველოს პარლამენტს ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ** ძლიერი ზეწოლით აიძულეს. ამ გამყიდველი **მოღალატეებისთვის** საგანგებოდ ვიტყობინები, რომ **ᲒᲐᲚᲐᲢᲐ** არის ისტორიული ოლქი მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში **(თანამედროვე თურქეთი),** სადაც ძვ.წ. მესამე საუკუნიდან ცხოვრობდნენ მათი მოღალატე წინაპრები — **გალატელები.** ერთხელ **ᲒᲐᲚᲐᲢᲐᲡ** ეკლესიაში უცხოელი ერეტიკოსები შეიჭრნენ, რომლებმაც შთააგონეს **გალატელებს,** რომ თითქოსდა ხსნისთვის წინადაცვეთა და იუდეველთა სხვა რელიგიური წესების დაცვა იყო საჭირო. რწმენაში არამყარი **ᲒᲐᲚᲐᲢᲔᲚᲔᲑᲘ** დაჰყვნენ ცრუ სწავლებას და უღალატეს **ᲞᲐᲕᲚᲔ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲡ** — როგორც თანამედროვე **ᲒᲐᲚᲐᲢᲔᲚᲔᲑᲛᲐ,** ანუ **ᲒᲣᲑᲝᲖᲔᲑᲛᲐ,** რომლებიც საძაკაშვილს **„30 ვერცხლად“ (ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ 100 ᲐᲗᲐᲡ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲓ) მიეყიდნენ!** უცხოელი ერეტიკოსები, ვინც გალატელებს ღალატისკენ უბიძგა, **ᲞᲐᲕᲚᲔ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲘᲡ** გავლენის შესარყევად, ლანძღავდნენ და აგინებდნენ მას — როგორც დღეს საქართველოში ეკლესიის მაგინებელი ჯაშუშები — დასავლური გავლენის აგენტები ლანძღავენ **ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ,** „რუსეთუმედ“ აცხადებენ, ცდილობენ, ძირი გამოუთხარონ უწმინდესისა და უნეტარესის უზარმაზარ გავლენას! **სწორედ მაშინ მიმართა ᲞᲐᲕ-**




ყოველსა შინა კეთილსა.
7ნუ სცთებით, ღმერთი არა შეურაცხ-იქმნების. რამეთუ რაჲ-ცა-იგი სთესოს კაცმან, იგიცა მო-




გალატელთა 6

7 ნუ მოტყუვდებით: ღმერთი არ შეურაცხყოფს, ვ[...]
რასაც დათესავს კაცი, იმას მოიმკის.
8 ვინც თავის ხორცისთვის თესავს, ხორცისგან [...]
ხრწნილებას. ხოლო ვინც სულისთვის თესავს, სულისგან [...]

# ᲕᲘᲜ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲡ

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲒᲐᲙᲝ ᲙᲣᲭᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*სამოქალაქო აქტივისტი*



ექსპრეზიდენტს, რომელიც **ბიზნესმენის ცემაში, მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევაში, გირგვლიანის მკვლელების მფარველობაში და ჩვენი ქვეყნის საზღვრის უკანონო გადმოკვეთისთვის,** შესაბამისად, ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევისთვის, პასუხისგებაშია მიცემული — **აძლევენ ჯილდოს ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის დარგში.** ეს არის შეტევა დემოკრატიაზე და სიტყვა დემოკრატიის გაუფასურება, **მსოფლიო გაგიჟდა და ფაშიზმს დემოკრატიას ეძახის.**

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ**
*დამოუკიდებელი უფლებადამცველი*



**ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** კოსტიუმების კი არა, **სამშობლოს ღალატის მუხლით უნდა სამართლდებოდეს.** თუმცა, 2006 წელს ეს მუხლი სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღეს. დადგება დრო, როდესაც **ᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲘᲚᲘᲩᲝᲕᲐᲡᲗᲐᲜ** ერთად, **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲪ** დაჯდება განსასჯელის სკამზე.

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“

**ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲫᲐᲑᲘᲠᲐᲫᲔ**
*ექსპერტი*



ერთადერთ შანსს, რომ **მიიღონ 50 პროცენტზე მეტი მხარდაჭერა,** „ქართული ოცნება“ ხედავს იმაში, რომ **დარჩეს ერთი-ერთზე ნაციონალურ მოძრაობასთან,** მით უფრო ასეთთან, რომელშიც **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ** ანაცვლებენ **ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚ-ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“



# რატომ უმალავენ ილია მეორეს თვალშისაცემ ფაქტს, რომ ბიბლიის ყველა თანამედროვე ქართულ გამოცემაში პავლე მოციქულის სიტყვები განზრახ დამახინჯებულია?!

# შესახებ




7. ნუ შეცდებით: ღმერთი არ შერცხვება. ვინაიდან რასაც დათესს კაცი, მასვე მოიმკის.

8. ხორცში მთესველი ხორცისაგან მოიმკის ხრწნილებას, ხოლო სულში მთესველი სულისაგან მოიმკის საუკუნო სიცოცხლეს.

ლე მოციქულმა **გალატელებს** შემდეგი სიტყვებით: **„ნუ მოტყუვდებით: ღმერთს ვერ შეურაცხჰყოფთ. კაცი რასაც დასთესს, იმას მოიმკის“.**

მიზეზი უბრალოა: ქართველი ერის სულიერი მამა **ილია მეორე** უნიკალური ხიდია **აფხაზებთან, ოსებსა და რუსებთან: ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური-შიოლაშვილი** დაიბადა ვლადიკავკაზში, დაამთავრა მოსკოვის სასულიერო სემინარია და 10 წელი ემსახურებოდა სამწყსოს აფხაზეთში მიტროპოლიტის რანგში! საქართველო კი სამუდამოდ დარჩება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის პირველ მთავარ წილხვედრად და არასოდეს გადაიქცევა **გალატად,** სადაც ცხოვრობდნენ მოღალატეებად ქცეული **გალატელები** — ქრისტიანები, რომლებიც დაჰყვნენ **უცხოტომელი ერეტიკოსების,** თანამედროვე ენით — **უცხოური გავლენის აგენტების** — ცრუ პროპაგანდას!

მაგრამ რატომ უმალავენ კათოლიკოს-პატრიარქ **ილია მეორეს** თვალშისაცემ ფაქტს, რომ ბიბლიის ყველა თანამედროვე ქართულ გამოცემაში პავლე მოციქულის სიტყვები განზრახ დამახინჯებულია?! ნაცვლად **„ღმერთს ვერ შეურაცხჰყოფთ“** (ანუ შეურაცხყოფილი ღმერთი არ არსებობს!), ვკითხულობთ საპირისპიროს: **„ღმერთი არ შეურაცხყოფს“,** ან უფრო უარესი: **„ღმერთი არ შერცხვება“**... როგორ შეიძლება, ღმერთმა ან **შეურაცხყოფა** მოგაყენოს, ან თვითონ შერცხვეს, განა ღმერთი პოლიტიკოსია ან სააკაშვილი?! ვინ არიან ახალი აღთქმის მთარგმნელები — საქართველოს საპატრიარქო ან ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი თუ **„ანტიდისკრიმინაციული კანონის“** ავტორი, რომელიც არღვევს საქართველოში ჰეტეროსექსუალური უმრავლესობის უფლებებს — **„ცერეუს“ აგენტი უსუფაშვილი** — იგივე ბანკირ **ხაზარაძის** მარიონეტული პარტიის კურატორი. **იქნებ ამაში მეორე „რესპუბლიკელი მწიგნობარის“, გამცემისა და დამსმენის ბერძენიშვილის ხელი ურევია,** რომელმაც ღვიძლი ძმა „ჩაუშვა“, ანტისაბჭოთა ძირგამომთხრელი საქმიანობა მოინანია და „კაგებესთან“ თანამშრომლობაზე ხელი მოაწერა?! ან როგორ გაეპარა გამომცემელ რედაქტორს **„ღმერთი არ შეურაცხყოფს“** და **„ღმერთი არ შერცხვება“** ნაცვლად **„ღმერთს ვერ შეურაცხჰყოფ“,** თუ რედაქტორი, რა თქმა უნდა, არ არის **ამერიკელი ბაიდენი** — მარაზმატიკი და პედოფილი, რომელმაც საკუთარი შვილიშვილი გარყვნა?!

და მხოლოდ ბიბლიის ძველ ქართულ ტექსტში წერია ზედმიწევნით ზუსტად: **„ნუ სცთებით, ღმერთი არა შეურაცხიქმნების. რამეთუ რაიცა-იგი სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს“.**

ასე რომ, შეუძლებელია ღმერთის, მისი ეკლესიისა და მისი მსახურების დაცინვა, შეურაცხყოფა, მოტყუება, ღმერთი თითოეულს მისი სიტყვისა და საქმის მიხედვით მიაგებს ადრე თუ გვიან!

**ბიძინა ივანიშვილმა** გაათავისუფლა საქართველო **მიხეილ სააკაშვილისგან, ივანიშვილის წყალობით,** დღეს საქართველო ბახმუტი არ არის, **ივანიშვილმა აღადგინა** სატრანსპორტო კავშირები და სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთან და 3 მილიარდი დოლარი დაახარჯა საქართველოს, ამიტომაც გააკოტრა ღმერთმა უმსხვილესი შვეიცარიული ბანკი, რომელმაც ივანიშვილს 600 მილიონი დოლარი მოჰპარა! **ივანიშვილმა ააგო სამების საკათედრო ტაძარი, ივანიშვილის წყალობით, მსოფლიოს სამი ზესახელმწიფოდან ორი — რუსეთი და ჩინეთი — საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები გახდნენ!** სიმბოლურია, რომ სწორედ ჩინეთი აშენებს ახალ გზას — **თბილისის რუსეთთან დამაკავშირებელ ხიდს!** აი, რატომ **აგინებენ ივანიშვილს დასავლეთის აგენტები — ათასი ჯურის ღალატელები: სამშობლოს მოღალატეები რადიკალური ოპოზიციიდან და გამყიდველები პარტიული ტელეკომპანიები, ეკლესიის მაგინებელი არასამთავრობო ორგანიზაციები, უსამშობლო პრეზიდენტ-რეზიდენტი და ასიათას ვერცხლად შეფასებული გუბოზები — თეოლოგები, ლიბერასტები და სხვა პარაზიტი სექტანტები!**

# ეპისტოლეს გალატელთა მიმართ

## კვირგვინოსნები

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



ჩვენ **ე.წ. აგენტების კანონის მიღება** სწორედ ევროპული მომავლის დასაცავად გვინდოდა. ეს კანონი, უპირველესად, **რუსული საფრთხეებისგან გვიცავდა,** მაგრამ გავიწვიეთ იმიტომ, რომ საკუთარ ხალხთან დაპირისპირებად არ გვიღირდა. **გამჭვირვალე დაფინანსება, პირველ რიგში, სწორედ რუსეთს არ აძლევდა ხელს.** ახლა თქვენ მითხარით, დღეს რომ ეს კანონი ოპოზიციის დიდი მეცადინეობის შედეგად ჩავარდა, ვინ ისარგებლა ამით?

„კვირის პალიტრა“

**თენგიზ ფხალაძე**
*პოლიტოლოგი*



ოპოზიცია იმდენად სუსტია, რომ **„ქართულ ოცნებას“ სრული კარტ-ბლანში აქვს.** დაზუსტებით ვიცი, რომ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს მართლაც ძალიან სურთ, საქართველომ მიიღოს კანდიდატის სტატუსი.

„კვირის პალიტრა“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**საქართველოს უკრაინიზაცია დაუშვებელია,** ჩვენი ერი არ უნდა გადაშენდეს! დიახ, სამწუხაროდ, **უკრაინა გაწირეს და გაანადგურეს.**

„აიპრესი“

**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*



საქართველოს ისტორიაში **სალომე ზურაბიშვილი** ერთადერთი პრეზიდენტია, რომლის **არცერთი ნათესავი საქართველოში არ ცხოვრობს,** მათ შორის არც შვილები.

„აიპრესი“

**შალვა ხაჭაპურიძე**
*მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი*



**სააკაშვილის** მსგავს მდგომარეობაში მყოფი პატიმარი დამერწმუნეთ, დღეს მსოფლიოში მეორე არ არსებობს — **ნებისმიერ დროს შეიძლება გვითხრან, რომ გარდაიცვალა.**

„პალიტრანიუსი“

# ჯანდაცვისა და თავდაცვის სამინისტროებში ჩანერგილები საქართველოს ხელისუფლების გადატრიალებას რესპუბლიკური საავადმყოფოდან გეგმავენ!

***საქართველოს ხელისუფლებისა და პირადად ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ ნაცჴროვა და გიორგი გახარიას პარტია რესპუბლიკურ საავადმყოფოში ბუნტს ამზადებენ!***

უბედურება ის გახლავთ, რომ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ ბინძური შეთქმულების უკან **საქართველოს ჯანდაცვისა და თავდაცვის სამინისტროების მაღალჩინოსნები** დგანან!

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ **ჯერ კიდევ სააკაშვილის დროს, როცა რაიხსფიურერმა რესპუბლიკური საავადმყოფოს გენერალურ დირექტორად ცნობილი ლოთი ნიკოლოზ ყიფშიძე დანიშნა და გადაწყდა, რომ დაწესებულებაში ქვეყნის ჯანდაცვის მთავარი ჰაბი მოეწყოთ, როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა ექსპერტებმა დადეს დასკვნა, რომლის თანახმადაც რესპუბლიკური საავადმყოფო რეაბილიტაციას არ ექვემდებარებოდა, რადგან შენობის საძირკველში გროვდებოდა დიდი რაოდენობით ჩამონადენი წყალი, რომლის სისტემატური ამოტუმბვა ძალიან დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.** ამდენად, დარჩა ერთადერთი გამოსავალი — რესპუბლიკური საავადმყოფოს დანგრევა და მის ნაცვლად ახალი, ულტრათანამედროვე სამკურნალო დაწესებულების აშენება!

ნიკოლოზ ყიფშიძის **დირექტორობის დროს ეს ვერ მოხერხდა, რადგან სააკაშვილის პირადი ექიმი დიდ სკანდალში გაეხვია და პროფესორი ანზორ მელია საციხედ გაწირა, როცა სააკაშვილს ყურში უჩურჩულა** — მამაშენს — **ნიკა სააკაშვილს** ანზორ მელიამ სტენტირება რომ გაუკეთა, ადამიანისთვის განკუთვნილი სტენტის ნაცვლად ძაღლის სტენტი ჩაუყენაო! **სწორედ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოეწყო პროფესორ ანზორ მელიას განკითხვის დღე, სადაც ოპერაციის მსვლელობის ამსახველ დისკს „კუდის“ კბილებდაკრეჭილი ღორ-ძაღლებიც უყურებდნენ, რათა მელია ადგილზე დაეღეჭათ, მაგრამ პროფესორი გამართლდა, ხოლო პროვოკატორი და ცრუდამსმენი ნიკოლოზ ყიფშიძე ისევ ამერიკაში გადაიხვეწა.**

კორონაპანდემიის დროს დღის წესრიგში მთელი სიცხადით დადგა დიდი მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულების შექმნა, რომელიც არამარტო საქართველოს, არამედ მთელი რეგიონის მასშტაბით ჯანდაცვის ჰაბის ფუნქციას იტვირთავდა. **გიორგი გახარიამ ამის გაკეთება ვერ შეძლო, რადგან ამერიკელ გეი-ფაშისტებს მიყიდული, პოლიტიკურად აძაღლდა, სამაგიეროდ, ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობამ ამ საშვილთაშვილო საქმეს ხელი ჩაავლო და რჩევისათვის ისევ უცხოელ ექსპერტებს უხმო.** უცხოელი ექსპერტებიც ჩამოვიდნენ, რესპუბლიკური საავადმყოფოს შენობა ყურადღებით შეისწავლეს და ისევ დადეს ახალი, მაგრამ თითქმის ძველის იდენტური დასკვნა — **რესპუბლიკური საავადმყოფოს შენობა რეაბილიტაციას არ ექვემდებარება, რა ტიპის სარემონტო სამუშაოებიც გინდათ, ჩაატაროთ, შენობა ვერ უპასუხებს იმ სტანდარტებს, რომლებიც 2025 წლიდან საქართველოში უნდა დამკვიდრდეს და ამიტომ მძლავრი და მრავალპროფილური სამედიცინო ჰაბის შესაქმნელად გიჯობთ, ახალი შენობა ააშენოთ!**

როგორც კი ხელისუფლებამ რესპუბლიკური საავადმყოფოს ადგილზე ახალი, ულტრათანამედროვე სამედიცინო ცენტრის აშენება გადაწყვიტა და სათანადო გეგმა გაასაჯაროვა, ჯანდაცვის მინისტრი **ზურაბ აზარაშვილი** მაშინვე ტელევიზიით გამოვიდა და რესპუბლიკური საავადმყოფოს მთელ პერსონალს გარკვევით განუცხადა —

**„რესპუბლიკური საავადმყოფოს მედპერსონალთან დაკავშირებით ვიტყვი იმას, რაც პრემიერმა განაცხადა — არცერთი მათგანი არ დარჩება სამსახურის გარეშე! არცერთ ექიმს, ექთანსა და სანიტარს დასაქმების ან ანაზღაურების პრობლემა არ შეექმნება.** გარდა ამისა, მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ტერიტორიის კომერციული მიზნებისთვის გაყიდვა არ იგეგმება და ახალი კლინიკა ზუსტად იმავე ადგილზე აშენდება, სადაც ახლა რესპუბლიკური საავადმყოფო მდებარეობს. **რეორგანიზაცია ავტომატურ რეჟიმში არ ნიშნავს სამსახურიდან ადამიანების გათავისუფლებას. ბრძანება არ ეხება სამედიცინო პერსონალს, ეს ეხება ადმინისტრაციას, კარგი იქნება, თუ ამ ორს ერთმანეთისგან გავარჩევთ. რაც შეეხება სამედიცინო პერსონალს, არანაირი პრობლემა დასაქმების და ანაზღაურების კუთხით მათ არ შეექმნებათ. ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეებისთვის ძალიან კარგ საქმეს ვაკეთებთ. გვექნება პრეზენტაცია და კლინიკის თანამშრომლებსა და საზოგადოებას დეტალურ ინფორმაციას მივაწოდებთ, რას ვაპირებთ რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან დაკავშირებით!“**

ვფიქრობთ, მინისტრის ამ განცხადების შემდეგ ყველასთვის ყველაფერი გასაგები უნდა ყოფილიყო, მაგრამ **ნაცჴროვა და მასთან სწორი ნაწლა-**



**თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს მედპერსონალი საგანგებო ბრიფინგზე**





## სააკაშვილი და გახარია „თეთრხალათიანების რევოლუციას“ აწყობენ!

**დავით მარგიშვილი**
8 Mar ·

საქართველოს მთავრობა
მე შეიძლება, სველი და გაყინული ვარ,
თვალები და ცხვირი მეწვის, მაგრამ თქვენ
საწყლები და მშიშრები ხართ.
ჩემგან დასაცავად რომ სპეცრაზმი
გჭირდებათ, უკვე, კი იცით, სადაც ხართ

**დავით მარგიშვილი**
9 Mar ·

ასე იქცნენ პოლიციელები
ივანიშვილის ეზოს
ძაღლებად და ვირთხებად.

**მირზა ფუტკარაძე**
18 Feb ·

2012ში მეც მივიღე მონაწილეობა
ცვლილებებისთვის ბრძოლაში, მაგრამ
ესეთ საქართველოზე არ მიოცნებია,
როცა „ერისკაცის" შვილს ბერას საკუთარ
ქვეყანაში არ სურდეს ცხოვრება და
სამხრეთ კორეაში იყოს გაქცეული! როცა
ემიგრაციაში გარბის ყველა თავის
გადასარჩენად, კი ბატონო, ბიძინას ფულის
ყურმოჭრილი მონების ქვეყანა კი თქვენ
ხართ!!!! ქართული ოცნება / Georgian Dream

# საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ეს უნდა იცოდეს!



## სახეზეა საბოტაჟი, დივერსია და ბუნტი საქართველოს ხელისუფლებისა და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ!

**ვით მიერთებული გახარიას პარტია** დაფაცურდნენ და საგაფიცვო კომიტეტი შექმნეს, რომელსაც სათავეში არაოფიციალურად ჩაუდგ ნენ **გიორგი დუნდუა, შორენა კიწმარიშვილი და ვლადიმერ პაპავა,** რომლებმაც კოლექტივის სახელით სამი მოთხოვნა წამოაყენეს:

1. დირექტორისა და ფინანსური დირექტორის დაუყოვნებლივ თანამდებობიდან განთავისუფლება;
2. შეხვედრა ჯანდაცვის მინისტრთან ან მის მოადგილესთან;
3. რესპუბლიკური საავადმყოფოს რეაბილიტაციის პირობებში მისი შეუფერხებელი ფუნქციონირების და უწყვეტი სამედიცინო საქმიანობის უზრუნველყოფა.

დავიწყოთ იმით, რომ მოთხოვნები სულელურია, რადგან რესპუბლიკურ კლინიკას არ ჰყავს გენერალური დირექტორი და ჰყავს მხოლოდ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. შესაბამისად, ასეთი სტატუსის პირს ვერ გაათავისუფლებენ. **ეს იმას ჰგავს, საქართველოში გენერალისიმუს ჩან კაიშის გათავისუფლება რომ მოვითხოვოთ...** მოგეხსენებათ, საქართველოს არც გენერალისიმუსი ჰყავს და **ჩან კაიშიც** დიდი ხნის წინათ მოკვდა. მეორე და მთავარი — **ირაკლი ღარიბაშვილმა გარკვევით განაცხადა — შენობის რეაბილიტაცია არ მოხდებაო!** აქედან გამომდინარე, რომელი „რეაბილიტაციის" პროცესში უნდა მოხდეს შეხვედრა, გაუგებარია!

ახლა კი ვნახოთ, ვინ არიან საბოტაჟის მთავარი გმირები, რომლებსაც სურთ, საქართველოს ხელისუფლების რღვევა და ჩამოშლა რესპუბლიკური საავადმყოფოდან დაიწყონ!

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, **რესპუბლიკურ საავადმყოფოში ათუხთუხებული ნაცბუნტის უკან საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს უფროსი ლიანა ჭუმბურიძე დგას,** რომელიც ჯანდაცვის მინისტრ **ზურაბ აზარაშვილის** შემდეგ სისტემაში გავლენით მეორე პირია. **ლიანა ჭუმბურიძე,** რომელიც რესპუბლიკური საავადმყოფოს ყოფილი დირექტორია, 1997-2003 წლებში მოსკოვის კომუნიკაციებისა და ინფორმატიკის ტექნიკურ უნივერსიტეტში („მტუსი") სწავლობდა. **„მგიმოს" მსგავსად, „მტუსი"-ც რუსი კაგებეშნიკების ბუდეა, სადაც იმპერიის ერთგულ აგენტებსა და დივერსანტებს წვრთნიან. ლიანა ჭუმბურიძის მეუღლე ზაზა ჭუმბურიძე, 2022 წელს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს უფროსია.** მას 2021 წელს, ამავე თანამდებობაზე ყოფნის დროს, **გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის"** შეწირული აქვს სიმბოლური თანხა, ხოლო მისი ტვიტერი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თითქმის ასი პროცენტით დაკავებული აქვს გახარიას განცხადებებს, გახარიას ფოტოებს, გახარიას პარტიის გენერალური მდივნის რეპლიკებსა და ა. შ. **ზაზა ჭუმბურიძე გახლდათ აქტიური მხარდამჭერი ე.წ. აგენტების წინააღმდეგ ინიცირებული კანონპროექტის გაწვევისა, ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ეჭვქვეშ აყენებს საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგებს და საშინლად არ მოსწონს მერიის მუშაობა.**

საგულისხმოა ისიც, რომ **თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი ზაზა ჭუმბურიძე** აზიარებს პროვოკატორი და ნაცმიდრეკილი **იან კელის** ტვიტერის პოსტებს, სადაც კელი ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას შემდეგი სიტყვებით ეხმაურება — **„არ არის სიმართლე!"**

აღარაფერს ვამბობთ **თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი ჭუმბურიძის** იმ დამცინავ ფეისბუქ-პოსტზე, რომელიც მან 2022 წლის 13 აპრილს გაავრცელა და დაწერა — **„სანქციები არ მუშაობს, ბიძი!"**

 აი, ასეთი კაცი გვიზის თავდაცვაში, რომელიც ზარბაზნის ლულას საითკენ მიუშვერს, ღმერთმა უწყის!

ჩვენი ინფორმაციით, სწორედ **ლიანა ჭუმბურიძისა** და მისი მეუღლის **ზაზა ჭუმბურიძის** უახლოესი მეგობარია რესპუბლიკური საავადმყოფოს ხარისხის სამსახურის ყოფილი დირექტორი **შორენა კიწმარიშვილი,** რომელიც ყოფილ კლინიკურ დირექტორ **ვლადიმერ პაპავასთან** და ექიმ **გიორგი დუნდუასთან** ერთად ექიმებს აბუნტებდა. **კიწმარიშვილის უკან რომ ლიანა ჭუმბურიძე იდგა და დგას, იმითაც დასტურდება, რომ ექიმთა ბუნტის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, შორენა კიწმარიშვილის** დაბადების დღეს, **ლიანა ჭუმბურიძე** რესპუბლიკურ საავადმყოფოში ბუშტებით, ტორტებით, მაშხალებით, შუშხუნებითა და შამპანურებით მივიდა და მთელი კოლექტივის დასანახად მეგობარს იუბილე პომპეზურად მიულოცა. **ამით ლიანა ჭუმბურიძემ ყველას აგრძნობინა, რომ ბუნტისთვის მწვანე შუქი ანთებული იყო!**

საინტერესოა, **ლიანა ჭუმბურიძის** ძმის **გოგა ფიფიას** მოღვაწეობაც, რომელიც ე.წ. „სუსის კრებსების" ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტია და სინოდისა და პატრიარქის მოსმენაშია მხილებული. **ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ცოლ-ქმარ ჭუმბურიძეებსა და მათი კლანის წევრებს არც პრემიერისა და არც ჯანდაცვის მინისტრის მოსმენა გაუჭირდებათ!**

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, **სწორედ ლიანა ჭუმბურიძის მიერ გაქეზებული და მხარდაჭერილი შორენა კიწმარიშვილი გახლდათ ის პერსონა, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ ექიმებს ჩაუდგა სათავეში, დადიოდა ყველგან და ყველას ეუბნებოდა — ახალი დირექტორი სამსახურიდან გაგყრით, შენობას დაანგრევენ და არ დავანგრევინოთ, ამ მტარვალებს წინ აღვუდგეთო!**

დაუცხრომელ და ამბოხებულ შორენას ჰოლდინგმა გაორმაგებული ხელფასი და სხვა კლინიკაში გადასვლა შესთავაზა, მაგრამ **ქალბატონმა კიწმარიშვილმა** ტლინკები ყარა და გაჯორდა — არსად წავალო! სულმნათი ვაჟა-ფშაველასი არ იყოს, სად იყო და სად არა, ჩამოიარა ამინმა და მოულოდნელად, შორენა კიწმარიშვილმა და ვლადიმერ პაპავამ სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერეს! დღემდე გაურკვეველია, რამ გააქცია ეს ხალხი საავადმყოფოდან მაშინ, როცა არსად წასვლას აპირებდნენ და ჯორივით უცილობლობდნენ!

მოდით, ახლა გაფიცული ექიმებისა და საბოტაჟის აქტივისტების ფეისბუქგანცხადებებს გადავხედოთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდეთ, რომ **ჩვენ წინაშეა კლასიკური ნაცხროვა, რომელიც ხელისუფლების დასამხობად უკადრებელს კადრულობს!** ჩვენ მხოლოდ რამდენიმე „ბუნტოვშჩიკი" ნაცის ე.წ. პოსტებს გაგაცნობთ, თორემ ყველა მათგანის გამოსამზეურებლად მთელი გაზეთი არ გვეყოფა!

აი, ისინიც!

**მირზა ფუტკარაძე:**

> ***„როგორ ბედავენ!!! რესპუბლიკური ყოველთვის იყო მისაბაძი მაგალითი! მეც მანდ გავიარე რეზიდენტურის კურსი და არავის მივცემ უფლებას, ესეთი მეთოდებით ჩირქი მოსცხონ და მოსპონ ძველი ტრადიციები! სოლიდაროба კოლეგებს! არავის გამოუვა რესპუბლიკურის გაჩერება! სჯობს, დროულად უსმინონ მედპერსონალს სამინისტროს წარმომადგენლებმა!"***

2023 წლის თებერვალში იგივე მირზა წერდა:

> ***„2012-ში მეც მივიღე მონაწილეობა ცვლილებებისთვის ბრძოლაში, მაგრამ ესეთ საქართველოზე არ მიოცნებია, როცა „ერისკაცის" შვილს ბერას საკუთარ ქვეყანაში არ სურდეს ცხოვრება და სამხრეთ კორეაში იყოს გაქცეული.... ბიძინას ფულის ყურმოჭრილი მონების ქვეყანა კი თქვენ ხართ, „ქართული ოცნება".***

შემდეგი აქტივისტი, რომელიც მოუწოდებს, რომ ექიმები შიგნით კი არა, გარეთ გამოვიდნენ, ქუჩები გადაკეტონ, ხელისუფლებას გადაადგილებაზე პრობლემა შეუქმნან და ხალხში არეულობა შეიტანონ, **დავით მარგიშვილია.** ნაცექიმი მარგიშვილი წერს:

> ***„საქართველოს მთავრობა... საწყლები და მშიშრები ხართ. ყველა ის მილიციელი, რომელიც გამეტებით გვასხამდა წყალს და გაზს, არაკაცი და ვირთხაა!"***

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, **სახეზეა საბოტაჟი, დივერსია და ბუნტი საქართველოს ხელისუფლებისა და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ!**

**ნაცსექტა და მისი დანამატი გიორგი გახარიას პარტია** „თეთრხალათიანების რევოლუციას" ამზადებენ, მაგრამ დარწმუნებული ვართ, უშედეგოდ!

ამ ბუნტის ერთადერთი შედეგი, სავარაუდოდ, ის იქნება, რომ **გაკოჭილ სააკაშვილს სწორედ თეთრხალათიანები გადაიყვანენ სპეციალიზებულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, სადაც მას რომელიმე „ნოშრევან კუჭუხიძე" აბი გლუკოზითა და ბროწეულის ოყნებით ბევრ სიურპრიზს მოუმზადებს!**

***დიტო ჩუბინიძე***



ცოლ-ქმარი ზაზა და ლიანა ჭუმბურიძეები

## აი, ასეთი კაცი გვიზის თავდაცვაში, რომელიც ზარბაზნის ლულას საითკენ მიუშვერს, ღმერთმა უწყის!


Zaza Chumburidze ретвитнул(а)
Ian Kelly @ikelly731 · 17 июл. 2021 г.
Not true. Look at the Human Rights Report — there was always criticism of the UNM-era judiciary. Take 2011: “false, politically motivated charges,” “Abuse of prisoners by govt officials,” “judicial authorities continued to act in favor of the ruling party”
civil.ge
Garibashvili ‘Never Heard’ Europe, U.S. Criticizing UNM-Era Judiciary


Zaza Chumburidze
4 Nov 2021
თბილისის მერია/ Tbilisi City Hall
ასე ძვირი დაჯდა არჩევნები, რომ პარკინგის
10 ლარიანი ჯარიმაში
140 ლარს გვახდევინებთ?!
დააბრუნეთ ებრაელების City Park , უფრო
" იაფად გამოვალ"
1000+ % საურავი " სიდაური წესია"?!
Zaza Chumburidze
13 Apr 2022
" სანქციები არ მუშაობს, ბიძი"
სერიიდან:
რუსეთის ენერგეტიკის მინისტრის
განცხადებით, რუსეთი მზადაა " მეგობრულ
ქვეყნებს" ნავთობი მიყიდოს " ნებისმიერ
ფასად"
საბაზრო ფასზე ბევრად იაფად

# ლიბერალთა ფაშისტური საბართალი

*ქართველი ლიბერალები, სინამდვილეში, ფაშისტურ-ბოლშევიკური ზნის ხალხია, რასაც, ბევრ სხვა რამესთან ერთად, „თიბისი ბანკის“ მიერ დაფინანსებული ლიტერატურული პრემიის — „საბას“ გარშემო უკანასკნელ ხანს აგორებული სკანდალიც მოწმობს.*



## მამუკა ხაზარაძის უბორნიაში ლიტერატურული რეპრესიები დაიწყო!



საქმე ის არის, რომ მიმდინარე წელს **პრემია „საბაზე“** წარსადგენი წიგნების გაფართოებული სიიდან — ე.წ. ლონგ ლისტიდან — უცერემონიოდ და ერთი ხელის მოსმით ამოშალეს მწერალ **ბექა ქურხულის** ესეებისა და დოკუმენტური მოთხრობების კრებული **„უკრაინული დღეები“**, რომელიც ავტორმა უკრაინის ომში დაღუპული 25 წლის ჯაბა ხოფერიასა და ყველა ქართველი გმირის ხსოვნას მიუძღვნა.

**მიზეზი, რის გამოც ქურხულის წიგნი „საბას“ კონკურსზე არ დაუშვეს, ნამდვილად გამაოგნებელია — თურმე, ავტორს პრემიის ჟიური და ორგანიზატორები 5 წლის წინათ „ფეისბუქში“ გაუკრიტიკებია და გამოულანძღავს!**

გესმით?

**ადამიანები, რომლებიც ლიბერალობაზე, პროდასავლურობაზე, ევროპული ფასეულობებისა და, ზოგადად, ჰუმანისტური პრინციპების ადეპტობაზე დებენ თავს, ლიტერატურულ ნაწარმოებს კონკურსიდან ხსნიან მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა ავტორმა ისინი ოდესღაც გააკრიტიკა და უსიამოვნო ეპითეტებით მოიხსენია!**

ადამიანები, რომლებსაც პრეტენზია აქვთ, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ობიექტური და პირუთვნელი შემფასებლები არიან, კონკრეტული წიგნის განხილვასა და შეფასებაზეც კი უარს ამბობენ, რადგან მისი ავტორი პიროვნულად არ ეპიტნავებათ და თავიანთი ყაიდის სუბიექტად არ მიაჩნიათ!

განცხადება, რომელიც **პრემია „საბას“** ორგანიზატორებმა **ბექა ქურხულის წიგნის** საკონკურსო სიიდან ამოშლის თაობაზე გაავრცელეს, გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლშევიკური პათოსით არის გაჟღენთილი და ძალიან ჰგავს ანონიმურ წერილს, თითქოს მწერალს „შესაბამის ორგანოში“ აბეზღებენო, ვითარცა „უღირს და საბჭოთა ადამიანისათვის შეუფერებელი საქციელის ჩამდენ“ პიროვნებას **(განცხადების სტილი და პუნქტუაცია სრულად არის დაცული. რედ)**:

*„ავტორმა არაერთხელ საჯაროდ, სრულიად უკადრისი ფორმით პიროვნული შეურაცხყოფა მიაყენა* ***ლიტერატურული პრემია „საბას“*** *ორგანიზატორებსა და ჟიურის წევრებს. „ქუჩური გარჩევების“ სულისკვეთებით, ლიტერატორების ღირსების შემლახველი სიტყვებითა და მუქარით, ადამიანების დედის გინებით იგი თავად გავიდა ლიტერატურული და, ზოგადად, ადამიანური ეთიკისა და ქცევის ჩარჩოდან, ლიტერატურული პოლემიკისა და დისკუსიების სივრციდან...* ***ჩვენ სრულიად სამართლიანად არ ვაპირებთ, ვიტვირთოთ იმ წიგნების მხატვრული შეფასება, რომელთა ავტორებიც წლების განმავლობაში პირდაპირი მნიშვნელობით დედას აგინებენ და ემუქრებიან პრემიის ორგანიზატორებსა და ჟიურის წევრებს“.***



ნახეთ: მწერალი არამხოლოდ ლიტერატურული, ადამიანური ქცევის ჩარჩოებიდანაც გავიდაო!

ე.ი. **პრემია „საბას“ მესვეურთა ხელიდან ბექა ქურხული გაუქმებულია არამხოლოდ როგორც მწერალი, არამედ — როგორც ადამიანი!** და რაკი ქურხულს, მის მიერ 5 წლის წინათ სოციალურ ქსელში განთავსებული პოსტის გამო, ადამიანად აღარ თვლიან, პრემია „საბას“ ორგანიზატორთათვის მისი წიგნიც, სულ რომ შედევრი იყოს, მიუღებელი და სანაგვეზე გადასაგდებია!

**ფაშისტები და ბოლშევიკები სხვას კი არაფერს აკეთებდნენ — ხალხისა და პარტიის მტრად შერაცხილ მწერალთა ნაწარმოებებს კრძალავდნენ, მათ წიგნებს აღარ გამოსცემდნენ, მათ ლექსებსა თუ მოთხრობებს პრესის ფურცლებზე არ აჭაჭანებდნენ...** განსხვავება მხოლოდ ერთია — **ქართული მართლმსაჯულების მიერ ჯგუფური თაღლითობისათვის გასამართლებული მამუკა ხაზარაძის** ლიტერატურულ სექტას — **პრემია „საბას“** კომიტეტს — საშუალება არა აქვს, მისთვის პიროვნულად მიუღებელი მწერლები ფიზიკურად დახვრიტოს ან კატორღაში გაუშვას!



**შესაძლოა, სულ მალე „საბაში“ მხოლოდ ლაშა ბუღაძე და რატი ამაღლობელიღა დარჩნენ, რომლებიც პრემიას წელგამოშვებით მიანიჭებენ ერთმანეთს ხაზარაძის უბორნიიდან გამოუსვლელად!**

თავად **მწერალი ქურხული** „საბას“ საკონკურსო ნუსხიდან მისი წიგნის ამოშლას ასე გამოეხმაურა **(სტილი და პუნქტუაცია აქაც და ყველა ციტატაში სრულად არის დაცული. რედ.)**:

*„ახლახან დამირეკეს გამომცემლობა „ინტელექტიდან“ და მითხრეს, ლიტერატურული პრემია „საბას“ საორგანიზაციო კომიტეტიდან თუ, რავი რა ჰქვიათ, დიდი არზა მივიღეთ, სადაც გვამცნობენ, რომ* ***ბექა ქურხულის*** *„უკრაინულ დღეებს“ კონკურსზე ვერ მივიღებთ, რადგან,* ***ბექა ქურხული*** *ცუდი ბიჭია, წარსული 90-იანი წლების გადმონაშთი, როცა რამე არ მოსწონს ან უსამართლოდ მიაჩნია, იგინება, ირტყმევინება და ჩხუბობსო“.*

**ბექა ქურხული,** რომელმაც 2016 წელს პრემია „საბა“ წლის საუკეთესო რომანის ნომინაციაში მიიღო, ხოლო 2018 წელს კონკურსის ორგანიზატორებსა და ჟიურის მწვავედ დაუპირის-

## კვირგვინოსნები

### ბექა ქურხული
*მწერალი*



ძალიან დიდი ხანია, ისე არაფერი გამხარებია, როგორც **7-8-9 მარტის აქციებიდან პოლიტიკოსების გაპანღურება.** ისე არიან ხელიდან წასული, როდესაც პარლამენტის უკან აქციაზე **ახალგაზრდებმა პირდაპირი მნიშვნელობით ჭიტლაყის კვრით ჩამოაგდეს ტრიბუნებიდან,** არც მაშინ გაიტეხეს იხტიბარი, ყველაფერი კარგად არის, ეს ჩვეულებრივი ამბავიაო და, ბრიუსელში გაფრინდნენ. **სად ბრიუსელში მიდიხარ, ბიჭო, საკუთარ ქვეყანასა და ქალაქში ხმის ჩახლეჩამდე გისტვენენ და გაგინებენ და მანდ ვის უნდიხარ?!** ტყუილად გგონივართ სულელები და ახალგაზრდობაც ტყუილად გგონიათ გულუბრყვილო ბავშვები, რომლებსაც კვლავ სათავისოდ, თქვენი გვერდების გასასუქებლად გამოიყენებთ.

„კვირის პალიტრა“

### ვასილ მაღლაფერიძე
*საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე*



ქვეყანაში **სიტყვის თავისუფლება კი არის,** მაგრამ **აზრის თავისუფლება არ არის,** რადგან მიდის აზრზე ტერორი.

„პირველი არხი“

### ეკა ბესელია
*პარტია „სამართლიანობის“ ლიდერი*



ვინც უკანონო, **დანაშაულებრივ ბრძანებებს ასრულებდა,** თითქმის ყველა შეიფარეს, ყველა მათიანია და ვიღას ახსენებენ იმ 9 წელს?

„ალია“

### მამუკა ხაზარაძე
*„ლელოს“ ლიდერი*



ვიღაცების პოზიციაა, რომ **„ქართული ოცნების“ პირობებში არ უნდა იქნეს მიღებული კანდიდატობა,** რასაც მე და ჩემი პარტია კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით.

„პირველი არხი“

### ბადრი ჯაფარიძე
*პარტია „ლელოს“ წევრი*



როგორც **ე.წ. აგენტების კანონი ჩავაგდებინეთ ხელისუფლებას,** იქნებ ასეთივე წარმატებით შევასრულებინოთ ევროკავშირის რეკომენდაციები.

„კვირის პალიტრა“



მწერალი ბექა ქურხული

# პრემია „საბას“ მესვეურთა ხელიდან

# ბექა ქურხული გაუქმებულია

## არამხოლოდ როგორც მწერალი, არამედ – როგორც ადამიანი!

პირდა, მათ მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას ამგვარად გამოხატავს:

***„მე მაგათ 2018 წლიდან არ ვცემ პატივს და რასაც ვფიქრობ მოკლედ და კონკრეტულად ჩემს გვერდზე დავწერე! მასხარები არიან ჟიურის წევრებიან ორგანიზატორებიანად და სადაც ვნახავ იქ მოვთხოვ ბოლომდე, როგორც მასხარებს სთხოვენ და მერე სადაც დიდი სუდი ნახონ, იქ მიჩივლონ! ჩვენ კი ღირსები ვართ, მთელი ეს წლები ამ ბოლო ჩეკისტების ნაბიჭვრებს რომ ვამართინებთ ქართულ ლიტერატურულ პროცესებს!“***

შესაძლოა, მკითხველი ცოტათი დაიბნეს კიდეც — კი მაგრამ, **თუ ქურხულმა 2018 წელს „საბას“ ორგანიზატორებს საჯაროდ აგინა, ახლა საკუთარი წიგნი იმავე კონკურსზე რატომღა წარადგინაო,** მაგრამ საქმე ის არის, რომ „საბას“ პრემიაზე წიგნებს ავტორები კი არა, გამომცემლობები წარადგენენ. **ამ შემთხვევაში ქურხულის წიგნი გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა და კონკურსზეც მან წარადგინა.**

„საბას“ ორგანიზატორთა მიერ საკონკურსო სიიდან **ბექა ქურხულის** წიგნის ამოშლამ პროტესტი გამოიწვია სხვა მწერლებშიც, რომლებმაც, კოლეგისადმი სოლიდარობის ნიშნად, თავიანთი წიგნები ნომინანტთა ნუსხიდან ამოიღეს და ლიტერატურულ რეპრესიებზე ალაპარაკდნენ.

მაგალითად, **პოეტმა გაგა ნახუცრიშვილმა,** რომელმაც „საბას“ 2023 წლის კონკურსიდან საკუთარი ლექსების კრებული მოხსნა, სოციალურ ქსელში დაწერა:

***„ამას იმიტომ არ ვაკეთებ, რომ ბექა ჩემი მეგობარია. ლიტერატურულ პრემიებზე ტექსტი განიხილება და არა ავტორის საქციელი. ბექას წიგნი არ უნდა დაებლოკათ. ამიტომაც გამომაქვს ჩემი პოეტური კრებული წლევანდელი კონკურსიდან. „საბას“ პირველი ლაურეატი და ქომაგი ვარ, მაგრამ ლიტერატურულ რეპრესიებს მხარს ვერ დავუჭერ. აი, ესღა გვაკლია“.***

მწერალმა **არჩილ ქიქოძემ** განაცხადა:

***„ბექა ქურხული მოუხსნიათ პრემია საბადან, ჰოდა, მოკლედ და დიდი წიაღსვლების გარეშე ვიტყვი, რომ ბექა თუ არ იქნება, ჩემთვისაც უინტერესოა ისეთ კონკურსში მონაწილეობა, სადაც ასეთი ძლიერი კონკურენტი არ მეყოლება*** *(მეგობრობას რომ თავი დავანებოთ).* ***არც ვიცი, როგორ ხდება პროცედურა, რადგან გამომცემლობა წარადგენს წიგნს და არა ავტორი, მაგრამ მივმართავ სულაკაურების გამომცემლობას, რომ მოხსნას კონკურსიდან ჩემი „მექსიკური დღიური“.***

კონკურსში მონაწილეობაზე უარს ამბობს მწერალი **რეზო თაბუკაშვილიც (უმცროსი):**

***„ჯერ კიდევ ვერ გავრკვეულვარ — ბექა ქურხულის წიგნი, მის მიერ ოდესღაც ვიღაცის მიმართ „ცუდად წარმოთქმული სიტყვებისთვის“ მოიხსნა ამ კონკურსიდან? და ეს ჩრდილავს მწერლის ნაშრომს?.. მინდა „საბამ“ დიდხანს და ძლიერად იაროს მრავალი წელი... ჩემი, წელს წარსადგენი წიგნით, „კარტი თამაშის ბოლომდე არ იყრება“, მეც ჩავეხსნები ამ კონკურსს“.***

მწერალმა **გურამ მეგრელიშვილმა** „საბას“ კონკურსიდან საკუთარი შვილის წიგნი მოხსნა:

***„ბექა ქურხული*** *პრემიიდან მოუხსნია საბას ორგკომიტეტს* ***(როგორ უხდება ხან სიტყვა შინაარსს).*** *სოლიდარობის ნიშნად ჩაეხსნა* ***არჩილ ქიქოძეც*** *და რომ ვნახე მიზეზი, გამიჩნდა სურვილი, მეც იგივე ვთხოვო ჩემს გამომცემლობას, აზროვნების აკადემიის გამომცემლობას.* ***ეს წიგნი ჩემმა შვილმა დაწერა ჩემი მენტორობით და ძალიან იმედი კი ჰქონდა, ინტერვიუს ჩამომართმევენ ფინალში რომ გავალო, მაგრამ ავუხსნი ამ გადაწყვეტილების სისწორეს. სანამ სხვა შემახსენებს, თავადვე ვიტყვი, რომ ვიცი, ჩემი ძალიან კარგი წიგნები არასოდეს მოსწონდათ ამ კონკურსზე და ამიტომაც, როდესაც გამომცემლობას შეჰქონდა, უარი არასოდეს მითქვამს. დამრჩენებს გამარჯვებას ვუსურვებ.*** *ჟიურის წევრებსაც, რადგან გინება ყოველ წელს ბლომად გაქვთ ხოლმე და უნდა აიტანო, ან პირადად გასცე პასუხი შეურაცხმყოფელს და არა მისი წიგნების იზოლაციით.* ***პ.ს. მე რომ ახლა ეპისკოპოსებს ვაგინო და რომელიმე მღვდელმა ზიარების უფლება არ მომცეს, ამ ამბავს ჰგავს ეს სიტუაცია“.***

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პოეტ **გაგა ნახუცრიშვილს** დავესესხებით ტერმინს — „ლიტერატურული რეპრესიები“ და ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ **მამუკა ხაზარაძის უბორნიაში ლიტერატურული რეპრესიები დაიწყო!**

არადა, **ბექა ქურხული თავისი მენტალიტეტითა და სულისკვეთებით „უბორნიის მწერალი“ რომ იყოს, კოლექტიური ლაშაბუღაძე 5 წლის წინანდელი ფეისბუქ-პოსტის გამო არ დაასანქცირებდა და მის წიგნს კონკურსიდან არ მოხსნიდა!** ეტყობა, **ქურხული,** როგორც პიროვნება, საკმარისად ლიბერალურ თვისებებს ვერ ავლენს და ბოლომდე ვერ ჯდება **ლიბერალური სექტის** სტანდარტებში, რომელთა მიხედვითაც სრულფასოვან და სრულუფლებიან ადამიანად მხოლოდ ლიბერალი ითვლება, არალიბერალი კი სრულიად უუფლებო, მოადამიანო არსებად განიხილება!

**სწორედ ეს არის ლიბერალური ფაშიზმის მთავარი ნიშანი — ადამიანების სეგრეგაცია იდეოლოგიური მრწამსისა და შეხედულებების მიხედვით!** შეიძლება, კარგი მწერალი იყო, მაგრამ, თუ ლიბერალური სექტის მიერ დადგენილი წესებით არ თამაშობ, შენთვის „საბას“ პრემიის მოსანიჭებლად **კოლექტიური ლაშაბუღაძე ხაზარაძის** უნიტაზიდან უკანალს არც კი წამოსწევს, მაგრამ, თუ ლიბერალური სექტის თამაშის წესებს ზედმიწევნით იცავ, გინდა, უნიჭო იყავი, პრემიას ერთხელ კი არა, ოთხჯერ მოგცემენ, როგორც, მაგალითად, იმავე **ბუღაძის** შემთხვევაში მოხდა.

ასეთია ხაზარაძის კარის სამართალი და ლიბერალური სექტის ფაშისტური **საბა**რთალი!

ზოგადად, ახალი ამბავი არ არის, რომ „საბა“ **კორპორატიულ-სექტანტური პრემიაა, რომელიც ვიწრო წრეში ტრიალებს და ე.წ. ლიბერალური ბაბლის მიღმა არსებულ ლიტერატურას არ აღიარებს,** რაზეც ისევ და ისევ **ლაშა ბუღაძის** მაგალითი მეტყველებს, რომელსაც ეს პრემია ოთხჯერ აქვს მიღებული!

თუ ბექა ქურხულის მაგალითსა და მისდამი სოლიდარული მწერლების რაოდენობას გავითვალისწინებთ, შესაძლოა, სულ მალე „საბაში“ მხოლოდ **ლაშა ბუღაძე და რატი ამაღლობელიძე** დარჩნენ, რომლებიც პრემიას წელგამოშვებით მიანიჭებენ ერთმანეთს **ხაზარაძის უბორნიიდან გამოუსვლელად!**









არჩილ ქიქოძე, რეზო თაბუკაშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, გურამ მეგრელიშვილი

# პრემია „საბას“ მწერლები პროტესტის ნიშნად ემიჯნებიან!

**ალბათ, ლოგიკური და სამართლიანი იქნება, რომ ხაზარაძის დაფინანსებულ პრემიას, რომელიც ლიბერალი ფაშისტების ხელში ლიტერატურული რეპრესიების იარაღად გადაიქცა, ნერტილი, უფრო სწორად კი, სველი ნერტილი დაესვას!**

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები

**გია აბაშიძე**

*ანალიტიკოსი*



ვიღაცები **ბიძინა ივანიშვილის** ქველმოქმედებაზე „ღადაობენ“ და ამ დროს ქართული ჯარის ნაძარცვი ფულით იკვებებიან. სხვათა ქონების მიმტაცებელმა **მამუკა ხაზარაძემ** და მისმა უგვანო PR-გუნდმა არ იციან, რომ დოკუმენტები არ იწვის, მითუმეტეს ციფრულ ფორმატში.

რა მორიგ ე.წ. ქველმოქმედებაზე აქვს პრეტენზია **უტიფარ მამუკა ხაზარაძეს?!** რეალობა ამგვარია — **სახელმწიფო ქონების ყიდვის სანაცვლოდ, მას ჰქონდა ვალდებულება, სამი ოჯახისთვის გადაეცა საცხოვრებელი ფართები.** სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტომ წალენჯიხაში არსებული სახელმწიფო ქონების გაყიდვის აუქციონი გამოაცხადა, რომელშიც ვალდებულების სახით წერია, რომ შენობაში მცხოვრებ, 3 დევნილ ოჯახს მყიდველმა საცხოვრებელი სახლები უნდა გადასცეს. **ეს ქონება შარლატანი მამუკა ხაზარაძის შპს-მ იყიდა და იქ მცხოვრებ დევნილებს სხვაგან უყიდა სახლები.**

„იმედინიუსი“

**ზურაბ ქადაგიძე**

*„ხალხის ძალის“ წევრი*



**მამუკა ხაზარაძე** მოგვევლინა „ქველმოქმედად“. სამ დევნილს ბინა აჩუქაო, გაჰკივიან პარტმედიები თუ სააგენტოები... არადა, გახსენდება ადამიანს, **ხაზარაძის ბანკის მიერ წლების განმავლობაში სახლებიდან გამოყრილი, ღია ცის ქვეშ დატოვებული, დაწიოკებული ოჯახები...** ტიპი არის 21-ე საუკუნის **„აღა გეორქა“...** ჩარჩი, რომელიც ყველაფერში საკუთარ მერკანტილურ ინტერესებს იკმაყოფილებს. **ბიზნესვალდებულებებს ქველმოქმედებად გვასაღებს...** „ლელო“ კი არ უნდა ერქვას **„აღა გეორქას“** პარტიას, შპს **„ქარვასლა“** მოუხდება, უფრო ავთენტური იქნება.

„აიპრესი“

**ედიშერ გვენეტაძე**

*ისტორიის დოქტორი, პროფესორი*



**ევროპის პოლიტიკური ბიუროკრატია დალპა!** დღევანდელი ევროპარლამენტი რასაც კადრულობს, ეს არც **ეკატერინა ფურცევას** გაუკეთებია, არც — **მიხეილ სუსლოვს,** არც — **კონსტანტინ ჩერნენკოს.** ჩვენ ჯერ ევროკავშირის წევრი არ გავმხდარვათ და უკვე გვაიძულეს, **„უცხოური გავლენის აგენტების გამჭვირვალობის შესახებ“** კანონი უკან გაგვეწვია. ევროკავშირის წევრები რომ გავხდებით, მერე რაღას გვიზამენ?!

„საერთო გაზეთი“

# ლევან ბერძენიშვილმა გალაქტიონს ორი წლის სიცოცხლე წაართვა!

***ლევან ბერძენიშვილმა საკუთარ საავტორო გადაცემაში „წიგნები“, რომელიც „რადიო თავისუფლების“ ეთერში გადაიცემა, გალაქტიონ ტაბიძეს ორი წლის სიცოცხლე წაართვა და თავი 1959 წლის 17 მარტის მაგივრად 1957 წლის 17 მარტს მოაკვლევინა!***

ბერძენიშვილის რადიოგადაცემა, რომელიც, ვიდეოჩანაწერის სახით, სოციალურ ქსელ „იუთუბშიც“ ვრცელდება, გალაქტიონის გარდაცვალებიდან 64 წლისთავს მიეძღვნა და ასე იყო დასათაურებული: **„გალაქტიონი — 17 მარტის ტრაგედია“.** გადაცემის ავტორმა და წამყვანმა დასაწყისშივე თქვა:

> ***„1957 წლის 17 მარტი გახლავთ უმძიმესი დღე საქართველოს ისტორიაში, როდესაც დიდმა ქართველმა პოეტმა, გრანდიოზულმა ფიგურამ, იმდროინდელი საქართველოს ერთადერთმა ჩაუქრობელმა ვარსკვლავმა გადაწყვიტა, წუთისოფელს გამოთხოვებოდა“.***

რა უნდა იფიქროს კაცმა?

ლევან ბერძენიშვილმა გალაქტიონის გარდაცვალების თარიღი არ იცის?

**იქნებ მექანიკური შეცდომა დაუშვა და საქართველოს პოეტების მეფე ორი წლით ადრე ანგარიშმიუცემლად მოკლა?**

ბერძენიშვილს ეს მხოლოდ ერთხელ რომ გაეკეთებინა, ცხადია, უნებლიე შეცდომად ჩავუთვლიდით და გამოვრიცხავდით, რომ გალაქტიონის გარდაცვალების თარიღი არ იცის, მაგრამ ამის საშუალება თავადვე არ მოგვცა, როცა იმავე გადაცემაში გალაქტიონს ხელმეორედაც წაართვა ორი წლის სიცოცხლე:

> ***„გალაქტიონს არასოდეს არ ჰქონდა ის აღიარება, რომელიც ეკუთვნოდა. პირველად მან ეს აღიარება, რომელიც ეკუთვნოდა, მიიღო 1957 წლის 17 მარტს“.***

თანაც, ბერძენიშვილმა მკაფიოდ და დამარცვლით წარმოთქვა: **„ათას-ცხრაას-ორმოცდა-ჩვიდმეტი წლის ჩვიდმეტ მარტს“.**

საბოლოო ჯამში, გადაცემა, რომელიც 33 წუთისა და 21 წამის განმავლობაში გრძელდებოდა, ბერძენიშვილმა ისე დაამთავრა, რომ **გალაქტიონის თვითმკვლელობის ნამდვილი თარიღი — 1959 წლის 17 მარტი — ერთხელაც არ დაუსახელებია.**

არადა, ლიბერალურ წრეებში წიგნიერების მეტრად მიჩნეულ **ბერძენიშვილს** მთელი გადაცემის განმავლობაში, სულ მცირე, ერთხელ მაინც ჰქონდა შანსი, გალაქტიონის გარდაცვალების ზუსტი წელი ეთქვა, მაგრამ ეს საშუალებაც ხელიდან გაუშვა. **საქმე ის არის, რომ მან გადაცემის მიწურულს წაიკითხა რამდენიმე სტროფი მურმან ლებანიძის მიერ გალაქტიონისადმი მიძღვნილი ცნობილი ლექსიდან** — „ყვავილების მდინარეს“, რომელშიც პოეტი წერს — **„იყო ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის ტალახი“** — მაგრამ **ბერძენიშვილმა მაინცდამაინც იმ სტროფს აუარა გვერდი,** სადაც გალაქტიონის გარდაცვალების წელია ნახსენები.

ასე და ამრიგად, **ლევან ბერძენიშვილის გადაცემაში გალაქტიონ ტაბიძემ ორი წლით ადრე მოიკლა თავი!**

და რადგან ლევან ბერძენიშვილის გადაცემაში გალაქტიონის **ორი წლით ადრე გარდაცვალება ერთხელ კი არა, ორჯერ მოხდა,** უნდა დავასკვნათ, რომ **ფილოლოგოსმა ბერძენიშვილმა** გალაქტიონის გარდაცვალების თარიღი არ იცის!

ყოველ შემთხვევაში, ჯობს, ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ, ვიდრე ვიფიქროთ, რომ ბერძენიშვილმა საქართველოს პოეტების მეფეს ორი წლის სიცოცხლე გამიზნულად წაართვა!

ნათქვამია, არცოდნა არცოდვა არისო და **ბერძენიშვილს გალაქტიონის თვითმკვლელობის თარიღის არცოდნას ცოდვად არც ჩვენ ჩავუთვლიდით, იმავე გადაცემაში საქართველოს პოეტების მეფე შურიან და საბჭოთა ჯილდოებზე გაგიჟებულ კაცად რომ არ გამოეყვანა.**

კერძოდ, აი, რა თქვა **ბერძენიშვილმა:**

> ***„გალაქტიონი, სხვათაშორის, პატივს სცემდა გოგლა ლეონიძეს იმის გამო, რომ გოგლა არასოდეს არ უსვამდა ხაზს მის სმას და ლოთობას და ა.შ. თუმცა, ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ საყვარელ გოგლასაც ძალიან შურის თვალით უყურებდა ყოველთვის, როცა იგი სტალინურ პრემიას მიიღებდა. დაწერდა გალაქტიონი დღიურში — „გენიოსი გალაქტიონი, ძლიერი გალაქტიონი, პრემია — სხვას“. და ამას წერდა გულისტკივილით, რადგან მას შურდა პრემიების. საერთოდ, ყველა აღიარება უნდოდა თავისთვის“.***

არადა, გალაქტიონს საბჭოთა ორდენებისა და პრემიების მიმართ მეტად აგდებული და ცინიკური დამოკიდებულება რომ ჰქონდა, ამის შესახებ არაერთი მოგონება არსებობს, რომელთა პირველწყარო როცა მისი თანამედროვენი არიან. მაგალითად, ცნობილია, რომ **ლენინის ორდენს, რომელიც გალაქტიონს 1936 წელს მიანიჭეს, იგი ხშირად კარგავდა, ზოგჯერ კი რომელიმე სასადილოში კათხა ლუდისა თუ სირჩა არყის საფასურად ტოვებდა.** ასეთი შემთხვევაც ყოფილა: გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის სასადილოში გალაქტიონი ახალგაზრდებთან ერთად სვამდა და როცა ფულის გადახდის დრო მოვიდა, პალტოს ჯიბიდან ლენინის ორდენი ამოიღო, ლუდის კათხაში ჩააგდო და თანამეინახეებს მიმართა — **თქვენი გადახდილიაო!** როცა ერთ-ერთი ახალგაზრდა გალაქტიონს გაეკიდა, ქუჩაში დაეწია და კათხიდან ამოღებული ლენინის ორდენი დაუბრუნა, გენიალურმა პოეტმა უთხრა — **ასეთ ორდენს კალინინი კიდევ მომცემს, თუ არა და, წაიღოს, ძაღლს კუდზე დაჰკიდოსო!**

ასეთი კაცი იყო გალა, რომელსაც იმ დროს ბევრისათვის საოცნებო უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო — ლენინის ორდენი ჭიქა არყად და კათხა ლუდად უღირდა, **ლევან ბერძენიშვილი** კი ამბობს — **გალაქტიონი შურით სკდებოდა, როცა გოგლა ლეონიძე სტალინურ პრემიას იღებდაო!**

ე.ი. ბერძენიშვილს **გალაქტიონი** არამხოლოდ პრემიებსა და ორდენებზე დახამებულ პოეტად, არამედ შურიან და ბოღმიან კაცად გამოჰყავს, რომელსაც საყვარელი კოლეგისა და მეგობრის წარმატება აღონებდა და გუნებას უფუჭებდა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა **ლევან ბერძენიშვილს** რომელიმე დიდი ქართველი ვითომდა უნებლიეთ შემოელანძღება ხოლმე. **კარგად თუ დავაკვირდებით, მას უკვე წესად ექცა — ამა თუ იმ საჯარო გამოსვლაში ქართველ მწერლებს, პოეტებსა და ეროვნულ მოღვაწეებს ქებადიდებით ცაში აიყვანს, მაგრამ იქვე ისეთ საშინელ შხამსა და ბალღამს ჩააწვეთებს, მტრისას და ავისას!** ასე იყო, როცა ბერძენიშვილმა **ვაჟა-ფშაველა და აკაკი წერეთელი** სექსუალურ მანიაკებად გამოაცხადა — **ერთი პეტერბურგში ქმრიან ქალს სახლში გასაუპატიურებლად უვარდებოდა, მეორე კი ყველა ქართულ ოჯახში იმ განზრახვით შედიოდა, რომ დიასახლისი გაებახებინაო!**

ამ ტენდენციის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ **ლევან ბერძენიშვილის** ხელში გალაქტიონი კიდევ კარგად არის გადარჩენილი, მხოლოდ შურიან კაცად რომ გამოაცხადა და, ვაჟასა და აკაკის მსგავსად, სექსუალურ მანიაკად არ შერაცხა!

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ ბერძენიშვილს **ერეკლე მეფე** საქართველოს მოღალატედ ჰყავს მონათლული, ხოლო **დავით აღმაშენებლის** შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები — იდიოტებად!

**ლევან ბერძენიშვილმა,** რომელმაც გალაქტიონის გარდაცვალების თარიღი ან მართლა არ იცის, ან კიდევ დიდ პოეტს შეგნებულად ართმევს ორი წლის სიცოცხლეს, **უკვე იმდენი ქნა, რომ ერეკლე მეფის მშობლიურ თელავში მისი გადიდებული სურათი საზოგადოებრივი ტუალეტის შესასვლელშია გამოკრული, გალაქტიონის მშობლიურ ვანში კი, შესაძლოა, სულ მთლად ჩეჩმის შიგნით ჩამოჰკიდონ!**

თუმცა, ამის გამო ბერძენიშვილი სულაც არ ამოყოფს თავს უცხო გარემოში, რადგან დიდი ხანია, **მამუკა ხაზარაძის „სალიტერატურო უბორნიასა“ თუ „საუბორნიო ლიტერატურას“** გაუშინაურდა, ახლახან კი სულ მთლად ნაცმოძრაობის ტელეკანალიზაცია „მთავარი არხის“ თანამშრომელი გახდა!

**ფერი — ფერს, ძამიკო, ფერი — ფერს!**

***ჯაბა ხუბუა***




**ჯობს, დავასკვნათ, რომ ბერძენიშვილმა გალაქტიონის გარდაცვალების თარიღი არ იცის, ვიდრე ვიფიქროთ, რომ დიდ პოეტს ორი წლის სიცოცხლე გამიზნულად მოაკლო!**

ლევან ბერძენიშვილი თავის საავტორო გადაცემაში „წიგნები“



## ლევან ბერძენიშვილის ხელში გალაქტიონი კიდევ კარგად არის გადარჩენილი, მხოლოდ შურიან კაცად რომ გამოაცხადა და, ვაჟასა და აკაკის მსგავსად, სექსუალურ მანიაკად არ შერაცხა!

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲣᲡᲘ

№19 (187) ★ 2023 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ ★ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 2003 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ



# ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲡᲐᲚᲝᲛᲔᲣᲡᲘ

**ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲚᲔᲚᲐ ᲥᲔᲑᲣᲠᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲠᲛᲐ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲧᲠᲐᲚᲘ ᲡᲣᲜᲘ ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲐ!**

**ᲠᲐ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲡ, ᲠᲐ ᲛᲝᲣᲩᲛᲐᲮᲐᲕᲡ?!** ★

*2023 წლის 31 მარტს, ისტორიული რეფერენდუმისა და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს, საქართველოს პრეზიდენტად წოდებული რეზიდენტი, გენერალ-სალომეუსი ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ პარლამენტში მივიდა და საქართველოს ხელისუფლების მისამართით პირიდან ისეთი სიმყრალე და გველ-ბაყაყი ამოუშვა, ვიფიქრე, ეს მართლაცდა „ქადჟი" ორბელიანების რეზიდენციაში „ქართულმა ოცნებამ" და ბიძინა ივანიშვილმა კი არა, ალბათ, ლამაზისეულმა ანი წითლიძემ და ვერგალამაზებულმა სათენიკამ, ანუ იმავე სალომე სამადაშვილმა შეათრიეს-მეთქი!*



**ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ, ᲩᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔ ᲨᲔᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲝᲛᲖᲔ ᲥᲐᲠᲐᲒᲛᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲠᲔ ᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔ!**

ერის ბედ-იღბალზე მჭმუნვარე დიაცის იერ-სახე რომ შეექმნა, **სალომე თუ სამგლე რეზიდენტმა** შავი კიტელი მოირგო და თვალებიც დაღვრემილი ჰქონდა, განსხვავებით 7-8 მარტის ღამისაგან, როდესაც **ᲚᲐᲖᲐᲠᲔ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲓᲘᲡᲘ** რუსთაველზე „მოლოტოვის კოქტეილებს" ისროდა, ხოლო ამის შემყურე **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ** თავისუფლების ქანდაკების ფონზე ნიუ-იორკიდან გვიჟუჟუნებდა თვალებს და ცეცხლზე ნავთს ასხამდა — **ᲛᲔᲪ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲕᲓᲒᲐᲕᲐᲠᲝ!**

სხვათაშორის, გენერალ-სალომეუსს, რომელიც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების სამსახურის დირექტორი იყო, თვალები მაშინაც უციმციმებდა, როცა რუსთაველზე ქართველები ერთმანეთს რუსული ჰაუბიცებითა და ავტომატებით ხოცავდნენ. იმხანად **ᲡᲐᲚᲝᲛᲔᲛ** და მისმა კაგებეშნიკმა ქმარმა **ᲯᲐᲜᲠᲘ ᲙᲐᲨᲘᲐᲛ** საარაკო უტიფრობა გამოავლინეს და პარიზში გამომავალ **ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲨᲘ"** გამოაქვეყნეს წერილი — **„საქართველოს საკითხი"**, სადაც ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობას მიესალმნენ და **ᲯᲐᲑᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲙᲘᲢᲝᲕᲐᲜᲡ** მადლობაც კი გადაუხადეს, რომ „სახალხო აჯანყებას" ჩაუდგნენ სათავეში!

აი, ასეთი სისხლიანი წარსულის პატრონია **ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ,** რომელსაც თავისი შვილები საიმედოდ ჰყავს უცხოეთში გადამალული, ხოლო სხვისი შვილების ბედი არად ანაღვლებს. **იმიტომაც ლაპარაკობს ასე ყინჩად და გამომწვევად უკრაინის ომზე და საქართველოს ხელისუფლებას უსირცხვილოდ ადანაშაულებს — პუტინის მხარეს დგახართო!**

ჯვარი გვწერია და, საქართველოში რამე რომ მოხდეს და პუტინის „ისკანდერები" ან „კინჟალები" თბილისის თავზე აგრუხუნდნენ, გენერალ-სალომეუსი უმალ ჩაიცვამს ჭრელ კაბას, დაკრავს ფეხს და ამერიკიდან ზუსტად ისე დააკვირდება საქართველოს დამიწებას, როგორც 7 და 8 მარტს ხელისუფლების დამხობასა და პარლამენტის გადაწვას ადევნებდა თვალს ოკეანის გაღმიდან.

დიახ, დაგეგმილიც იყო და ყველა ელოდა, რომ 7-8 მარტს საქართველოს ხელისუფლება ჩამოიშლებოდა და სალომე ზურაბიშვილი ნიუ-იორკის სანაპიროდან გააკეთებდა განცხადებას საქართველოში კოალიციური მთავრობის შექმნისა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — **ხელისუფლება გონივრულ კომპრომისზე წავიდა და ე.წ. „აგენტების კანონის" უკან გაწვევით გადატრიალების გეგმა ჩაფლავდა, რასაც არც სალომე ზურაბიშვილი ელოდა და არც მისი პატრონები...**

გადატრიალების ჩაფუშვის მიუხედავად, ზურაბიშვილი ამერიკაში მაინც აყურყუტეს, როგორც ჩანს, ვიღაც-ვიღაცები იმედს არ კარგავდნენ, რომ **ენჯეო-აგენტურის რევოლუცია,** ბოლოს და ბოლოს, უსათუოდ შედგებოდა. მაგრამ, როცა დაინახეს, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, სალომანდრა კვლავ საქართველოსკენ გამოაბუნძულეს შხამის სანთხევად და თეთრის შავად გასასაღებლად.

**ეს ქალი იმდენად უტიფარი აღმოჩნდა, ჩვეულებას არც ამჯერად უღალატა და ისტორიული რეფერენდუმისა და ზვიად გამსახურდიას იუბილეზე პარლამენტში იმაზე უფრო მყრალი სუნი დააყენა, ვიდრე ეს 2019 წლის დეკემბერში ᲚᲔᲚᲐ ᲥᲔᲑᲣᲠᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲘᲠᲛᲐ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ქნეს,** როცა ჯერ ნიფხვები გაიხადეს, ხოლო შემდეგ სხდომათა დარბაზში გაურკვეველი ნივთიერება მოასხეს და დეპუტატებს გული აურიეს.

**სად დგახართ თქვენ?** — ჰკითხა პარლამენტის უმაღლესი ტრიბუნიდან **ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲡᲐᲚᲝᲛᲔᲣᲡᲛᲐ** ხელისუფლებას, რომელსაც თავის ორმოცწუთიან მოხსენებაში სულ მეორე პირში ელაპარაკებოდა და ყოველ სიტყვაში მიანიშნებდა, რომ არა თავისი ამომრჩევლის, არამედ რუსთაველის გადამბუგველი **ლაზარე გრიგორიადისის, სათენიკა მეხრიბეკიანისა და ლევან ასრაწიანის მეზარბაზნეა!**

2023 წლის 7-8 მარტის მოვლენები კიდევ დიდხანს იქნება განსჯისა და შეფასების მიზეზი, მაგრამ, თუ ჭკუით არ იქნება, შესაძლოა, **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲪ** გახდეს დიდი მრისხანების მიზეზი, როცა გამძვინვარებული ხალხი ორბელიანების სასახლეში შევარდებდა და ამ მართლაცდა **ᲡᲐᲚᲝᲛᲐᲜᲓᲠᲐᲡ** გამოათრევს!

**ნუ გამოცდით ქართველი ხალხის მოთმინებას!**

და ერთიც — **ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲡᲐᲚᲝᲛᲔᲣᲡᲝ, ჩამოიყვანე შენი შვილები საქართველოში და რუსეთთან ომის დაწყებაზე ქარაგმებით მერე ილაპარაკე!**

***ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ***

**ᲗᲣ ᲭᲙᲣᲘᲗ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲒᲐᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪᲓᲐ ᲡᲐᲚᲝᲛᲐᲜᲓᲠᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲗᲠᲔᲕᲡ!**

ისტორიკოსის თვალით



## სვიმონ მასხარაშვილი:

# ბერიას ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ უკრაინელებს ენდო!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი 1953 წლის აპრილში საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებაში ბერიას მიერ განხორციელებულ ცვლილებებს იხსენებს და იმ მიზეზებს ასახელებს, რომელმაც მისი დაღუპვა განაპირობა:***

— 1953 წლის 14-16 აპრილს თბილისში გასაიდუმლოებული ვიზიტით ჩამოსულმა ლავრენტი ბერიამ საბჭოთა საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში რადიკალური ცვლილებები განახორციელა. ცვლილება შეეხო **გაზეთ „კომუნისტის“** რედაქციასაც. ასე, მაგალითად, 1953 წლის 22 აპრილს „კომუნისტს“ ხელს აწერს მთავარი რედაქტორი **გიორგი მერკვილაძე,** მაგრამ მეორე დღეს გაზეთზე რედაქტორის მოადგილის **ილია ნატროშვილის** ხელმოწერაა, ხოლო 24 აპრილს „კომუნისტის“ რედაქტორი უკვე ხდება **დავით მჭედლიშვილი.** რაც შეეხება ცვლილებებს პოლიტიკურ ელიტაში, როგორც კი სტალინი გარდაიცვალა, ეს ე.წ. პერეტრუბაციები ბერიამ მაშინვე დაიწყო. მაგალითად, საქართველოს ცეკას მდივანმა **აკაკი მგელაძემ,** რომელიც ბერიამ 1953 წლის 14 აპრილს **ალექსანდრე მირცხულავათი** შეცვალა, პაპაჩემს — სიმონ მასხარაშვილს — ასეთი რამ უამბო:

> *სტალინი მავზოლეუმში სულ ახალი გადასვენებული იყო, როცა ლავრენტი ბერიამ მოსკოვში გამომიძახა. სასწრაფოდ ჩავედი... უშველებელი კაბინეტის თავში, რომელიც მთლიანად ჩაბნელებული იყო, მაგიდასთან იჯდა ბერია, რომელსაც ელექტროლამპა ჰქონდა ანთებული და რაღაცას წერდა. ლავრენტის ჩემთვის ყურადღება საერთოდ არ მოუქცევია, წერას აგრძელებდა, მე კი სუნთქვაშეკრული ვიდექი და ველოდებოდი, როდის რას მეტყოდა.... რამდენიმეწუთიანი დამქანცველი სიჩუმის შემდეგ ბერიამ წერა ცოტა ხნით შეწყვიტა, პენსნეს ქვემოდან ამომხედა და ქართულად შემომძახა —* ***გაგიტყდა ღერძი, მე შენი დედა მო...ან?! (ცენზურა ჩვენია. რედ.)*** *ხმა არ ამომიღია, ხოლო ბერიამ პენსნე გაისწორა, თავი დაღუნა და წერა განაგრძო, რაც იმის ნიშანი იყო, რომ კაბინეტი უნდა დამეტოვებინა. გამოვედი და მივხვდი, რომ ჩემი პოლიტიკური კარიერა უკვე დასრულებული იყო!*

**— მაინც რას არ პატიობდა ბერია აკაკი მგელაძეს?**

— ბერია როგორც **აკაკი მგელაძეს,** ისე საბჭოთა კავშირის უშიშროების მინისტრის მოადგილე **სერგო გოგლიძეს,** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გიორგი მალენკოვს,** ათზე მეტ ქართველ გენერალს, რომლებიც საბჭოთა უშიშროების ელიტას წარმოადგენდნენ და თვით სტალინსაც კი არ და ვერ პატიობდა **„მეგრელთა საქმეს“,** რომელიც 1951 წლის ნოემბრიდან სწორედ მის წინააღმდეგ და ჩასაძირად ააგორეს.

ბერიამ კარგად იცოდა, რომ **„მეგრელთა საქმის“** უკან სინამდვილეში **გიორგი მალენკოვი** იდგა, რომელმაც სტალინის ავადმყოფობით ისარგებლა, ბელადი შეცდომაში შეიყვანა და ამით ორი კურდღელი დაიჭირა — ბელადის წინაშე საკუთარი თავის რეაბილიტაციაც მოახდინა და პარალელურად ლავრენტი ბერიასაც უდიდესი პრობლემები შეუქმნა. სწორედ ამიტომ იყო, რომ **თბილისში ჩამოსულმა ბერიამ აკაკი მგელაძეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეც მიაყოლა.**



> **„ცვლილება შეეხო გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციასაც. ასე, მაგალითად, 1953 წლის 22 აპრილს „კომუნისტს“ ხელს აწერს მთავარი რედაქტორი გიორგი მერკვილაძე, მაგრამ მეორე დღეს გაზეთზე რედაქტორის მოადგილის ილია ნატროშვილის ხელმოწერაა, ხოლო 24 აპრილს „კომუნისტის“ რედაქტორი უკვე ხდება დავით მჭედლიშვილი!“**

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მაშინ იყო **ზაქარია ჩხუბიანიშვილი,** რომელიც, ცხადია, გაუშვეს. ბერიამ მის ნაცვლად დანიშნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყოფილი მდივანი და საქართველოს ცეკას მეორე მდივანი, ეროვნებით ოსი **დიმიტრი გედეონის ძე ცხოვრებაშვილი.** მოგვიანებით, ვასილ მჟავანაძის დროს, ცხოვრებაშვილი შეცვალა **მირონ ჩუბინიძემ,** რომელიც ღირსეული კადრი იყო...

ბერიას განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა საბჭოთა საქართველოს მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის პოსტი, ანუ ზუსტად ის თანამდებობა, რომელსაც საკავშირო მასშტაბით **მალენკოვი** წარმოადგენდა. დაუწერელი კანონით, რესპუბლიკებში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სწორედ გიორგი მალენკოვს უნდა დაენიშნა, მაგრამ ბერიამ საქართველოში ეს საკითხი მალენკოვის გარეშე გადაწყვიტა და პოსტი ჩააბარა თავის უერთგულეს კადრს — **ვალერიან ბაქრაძეს,** რომელიც 1937 წლის 9 ივლისიდან 1946 წლის აპრილამდე საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე იყო. მოგეხსენებათ, ეს იყო ურთულესი პერიოდი პირადად ბერიასთვის, როცა ის დახვრეტას გადაურჩა. **ვალერიან ბაქრაძე** გახლდათ ის ერთგული კადრი, რომელსაც ბერია იმ გაგანია „ეჟოვშჩინას“ დროს დაეყრდნო. სწორედ ასეთი გამოცდილი და ერთგული მეგობარი დააბრუნა მან საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე, ხოლო ვინმე **ზაქარია კეცხოველი** თანამდებობიდან გაუშვა... მოკლედ, **აკაკი მგელაძის** მოხსნიდან მეორე დღეს საბჭოთა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ვალერიან ბაქრაძის დანიშვნა პირდაპირი გამოწვევა იყო გიორგი მალენკოვისათვის. ცნობისათვის, მაშინდელი საბჭოთა კონსტიტუციით, ქვეყნის პირველი პირი **უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე** იყო, მაგრამ ფაქტობრივი მდგომარეობით, რეალურ ძალაუფლებას ინაწილებდნენ **რესპუბლიკის ცეკას მდივანი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.** ცეკას მდივანი **ალექსანდრე მირცხულავა** კომკავშირელი იყო და ქვეყნის მართვის საქმეში არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა, სამაგიეროდ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვალერიან ბაქრაძე** ნამდვილად გამოცდილი და ბერიას მიერ კარგად შესწავლილი კადრი გახლდათ, რომლის მხრებზეც 1937 წლის ტერორმა, დიდმა სამამულო ომმა და ათასმა უბედურებამ გადაიარა.

**— თუ ვალერიან ბაქრაძე ასე ეიმედებოდა, ბერიამ ცეკას მდივნად რატომ არ დანიშნა?**

— საქმე სწორედ მაგაშია! **ბერია აგრძელებდა სტალინის გენერალურ ხაზს, რომლის თანახმადაც ქვეყანაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ანუ რეალურად პრემიერ-მინისტრის როლი უნდა გაზრდილიყო.** 1953 წლის აპრილში საქართველოში განხორციელებული ცვლილებებით, როცა ყველაზე გამოცდილი კადრი და თავისი ძმაკაცი **ვალერიან ბაქრაძე** საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ბერია საფრთხეს არა ხრუშჩოვისგან, არამედ მალენკოვისგან ელოდა.

**— საინტერესოა, გათავისუფლებული ხალხის წინააღმდეგ ბერიამ რა რეპრესიე-**



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 95 (9563) | ოთხშაბათი, 22 აპრილი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი



კომინფორმის განცხადება

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 96 (9564) | ხუთშაბათი, 23 აპრილი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 97 (9565) | პარასკევი, 24 აპრილი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

# რა გაიხსენა აკაკი მგელაძემ ბერიას შესახებ?

## „ბერიამ 1953 წლის 14-16 აპრილს საქართველოს ხელისუფლება შეცვალა და უმაღლეს პოსტებზე 1937 წელგამოვლილი კადრები დააბრუნა!“







**„ლავრენტი ბერიას ლიკვიდაციის საქმეში სწორედ ეთნიკური უკრაინელები ფიგურირებდნენ! ესენი იყვნენ გენერალი პავლე ბატიცკი, გენერალი კირილე მოსკალენკო და საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი რომან რუდენკო!“**



ვალერიან ბაქრაძე

**„როცა ყველაზე გამოცდილი კადრი და თავისი ძმაკაცი — ვალერიან ბაქრაძე საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ბერია საფრთხეს არა ხრუშჩოვისგან, არამედ მალენკოვისგან ელოდა!“**



აკაკი მგელაძე

ბი გაატარა?

— არავითარი რეპრესიები არ ყოფილა... მხოლოდ **აკაკი მგელაძე** გაიყვანეს ცეკადან, თორემ **ზაქარია ჩხუბიანიშვილიც** და **ზაქარია კეცხოველიც** ცეკას წევრებად დატოვეს. მოკლედ, ბერიამ 1953 წლის 14-16 აპრილს საქართველოს ხელისუფლება შეცვალა და უმაღლეს პოსტებზე 1937 წელგამოვლილი კადრები დააბრუნა. თავისთავად ის ფაქტი, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყოფილი ლიდერი **ცხოვრებაშვილი** ბერიამ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში გადმოიყვანა და დააწინაურა, ძალიან დიდი მნიშვნელობის აქტი იყო არამარტო სამხრეთელი, არამედ ჩრდილოეთელი ოსებისთვის. ამას ძალიან სერიოზული პოზიტიური განწყობები უნდა გამოეწვია ქართველებისა და ოსების თანაცხოვრებაში და გამოიწვია კიდეც... **ოსებმა დაინახეს, რომ ცხოვრებაშვილი, რომელიც ოსი ეროვნების პოლიტიკოსი იყო, უცბად გახდა საქართველოს პრეზიდენტი, ანუ ბერიასთან დაკავშირებული ინციდენტი, სადაც ის ცეკას პლენუმზე ქართულად ლაპარაკს ითხოვდა, სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველოში სხვა ერის შვილს ვინმე დაჩაგრავდა და გასაქანს არ მისცემდა!** პირიქით, ბერია ზრუნავდა ერთა მშვიდობიან თანაცხოვრებაზე, მაგრამ საქართველოში ქართული სხვა ენას არ უნდა ჩაენაცვლებინა! ანალოგიური პოლიტიკა ჰქონდა მას სომხეთშიც, აზერბაიჯანშიც, შუა აზიის რეპუბლიკებშიც, რასაც დიდი მოწონება და აღფრთოვანება მოჰყვა, მაგრამ, სამაგიეროდ, კრემლში დაფრთხნენ!

**— რატომ?**

— ამის მიზეზი რომ ავხსნათ, ჯერ იმაზე უნდა ვილაპარაკოთ, რა ძალები არსებობდა უზარმაზარი საბჭოთა იმპერიის ცენტრში, უპირველესად, უკრაინული დაჯგუფების სახით, რომელსაც **ლაზარ კაგანოვიჩი** და **ნიკიტა ხრუშჩოვი** ხელმძღვანელობდნენ. უკრაინული დაჯგუფება საბჭოთა კომპარტიის მესამედს წარმოადგენდა. **ლეონიდ ბრეჟნევი,** რომელიც ბერიამ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან გაიყვანა და ძალიან დააქვეითა, სამხედროების დაჯგუფებას წარმოადგენდა. ბერიამ პოლიტბიუროდან ასევე გაიყვანა **მიხეილ სუსლოვიც,** თუმცა, ცეკას მდივნად დატოვა.

გარდა უკრაინული დაჯგუფებისა, პარტიაში კიდევ არსებობდა **ცენტრის დაჯგუფება** და **ბერიას დაჯგუფება თავისი „ჩეკისტებით“ და იმ კადრებით, რომლებიც ლავრენტი პავლოვიჩთან ერთად საბჭოთა სპეცსამსახურებს ქმნიდნენ.** ცალკე ქართული დაჯგუფება, მიუხედავად იმისა, რომ ორი ბუმბერაზი და წარმოუდგენლად დიდი გავლენების მქონე ქართველი — სტალინი და ბერია კრემლში ტრიალებდა, არ არსებობდა! ქართველებს დიდი გავლენები ჰქონდათ სპეცსამსახურებში, მაგრამ ისინი, როგორც წესი, ძირითადად, საქართველოში იყვნენ. ლავრენტი ბერიას პოლიტიკამ, რომელიც როგორც საქართველოში, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში მიზნად ისახავდა ეროვნული და არა პარტიული კადრების წამოწევას და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტის გაძლიერებას, როგორც ჩანს, კრემლში არსებული **უკრაინული და ცენტრალური, ანუ მოსკოვური დაჯგუფებები შეაშინა.** ამ დაჯგუფებების ლიდერები — **ნიკიტა ხრუშჩოვი, ლაზარ კაგანოვიჩი და გიორგი მალენკოვი** ვარაუდობდნენ, რომ ლავრენტი ბერია რეგიონებზე, მოკავშირე რესპუბლიკებზე დაყრდნობით მოახერხებდა კრემლის დალაშქვრას და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას, რის შედეგადაც ერთპიროვნულ ხელისუფლებას დაეპატრონებოდა. სწორედ ამ საფრთხემ ხრუშჩოვი და მალენკოვი ბერიას წინააღმდეგ გააერთიანა და 1953 წლის 26 ივნისს მოხდა ის, რის შესახებაც ჩვენ ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ!

**— სწორედ ამის გამო იყო, ბერიას ლიკვიდაციაში ძირითადად უკრაინელები რომ ფიგურირებდნენ?**

— დიახ, სწორედ ამიტომ იყო, რომ ლავრენტი ბერიას ლიკვიდაციის საქმეში სწორედ ეთნიკური უკრაინელები ფიგურირებდნენ! ესენი იყვნენ გენერალი **პავლე ბატიცკი,** გენერალი **კირილე მოსკალენკო** და საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი **რომან რუდენკო,** რომელიც ამ პოსტზე 1953 წლის 30 ივნისს, ბერიას მკვლელობიდან ოთხი დღის თავზე დაინიშნა და სიკვდილამდე, ანუ 1981 წლის იანვრამდე თანამდებობა არ დაუტოვებია.

**საბჭოთა კავშირის დანგრევა გამოიწვია რუსული ფრაქციის, ანუ ელცინის დაპირისპირებამ პარტიის ცენტრალური აპარატის ფრაქციასთან, ანუ გორბაჩოვთან. შესაბამისად, ლავრენტი ბერიას ტრაგედიაც სწორედ მსგავსმა დაპირისპირებამ განაპირობა.**

ბერია აშკარად ემზადებოდა რეგიონების ფრაქციის შესაქმნელად, რაც არ აპატიეს და უკრაინელებისა და მოსკოველების გაერთიანებულმა ფრაქციებმა დაამხეს! **ბერიას ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ უკრაინელებს ენდო!**

**ლავრენტი, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკების ფრაქციას ქმნიდა, დარწმუნებული იყო, რომ უკრაინა, როგორც საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკა, მხარს სწორედ მას დაუჭერდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და უკრაინამ მხარი დაუჭირა არა ქართველ ბერიას, არამედ რუსებს!**

1953 წლის სექტემბერში, როგორც კი ნიკიტა ხრუშჩოვი ცეკას მდივანი გახდა და გიორგი მალენკოვს ხელისუფლება გაუყო, საქართველოში მომენტალურად გადააყენეს **ალექსანდრე მირცხულავა,** რომელსაც მიაყოლეს **ვალერიან ბაქრაძეც და დიმიტრი ცხოვრებაშვილიც.** ერთიც და მეორეც პოლიტიკურ ცხოვრებას სამუდამოდ ჩამოაშორეს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## ცნობილია, რომ ვასილი სტალინის ნეშტი ყაზანიდან გადმოასვენეს და მოსკოვის ერთ-ერთ სასაფლაოზე დაკრძალეს. ეს თითქოს მისმა ქალიშვილმა გააკეთა. მაინტერესებს, მოსკოვის რომელ სასაფლაოზე პოვა უკანასკნელი განსასვენებელი ბედკრული გენერლის ცხედარმა და რომელ ქალიშვილზეა საუბარი?

ბელადის უმცროსი ვაჟიშვილი, გენერალ-ლეიტენანტი ვასილი სტალინი მეორე ყაზანის არსის სასაფლაოდან, სადაც იგი **1962 წელს** დაკრძალეს, მიმდინარე წლის **ნოემბრის** დასაწყისში **მოსკოვის ტროეკუროვის სასაფლაოზე გადმოასვენეს**. რა თქმა უნდა, უფრო მართებული იქნებოდა, ცხედარი **ნოვოდევიჩის სასაფლაოზე** დაეკრძალათ, სადაც **ვასილის დედა — ნადეჟდა ალილუევა-სტალინა** და **ეკატერინე ტიმოშენკოსთან** ქორწინებიდან შეძენილი ვაჟიშვილი — ვასილი განისვენებენ. მაგრამ მოსკოვის ხელისუფლებამ დასაფლავების ორგანიზატორებს ამის უფლება არ მისცა. ინფორმაციაში ნათქვამი იყო, რომ გადმოსვენება **ვასილის ქალიშვილმა ტატიანა ჯუღაშვილმა** განახორციელა. ვინ არის **ტატიანა ჯუღაშვილი** და მართლაც არის თუ არა იგი **ვ. სტალინის ქალიშვილი?** ვასილი სტალინის ერთადერთი ქალიშვილი (გალინა ბურდონსკაიასთან ქორწინებიდან) 1999 წელს გარდაიცვალა. იგი გვარად სტალინა იყო. ვასილის სამი შვილი ჰყავდა: პირველი ქორწინებიდან **გ. ბურდონსკაიასთან — ალექსანდრე** (დაიბადა 1941 წელს) და **ნადეჟდა** (1943-1999), **ეკატერინე ტიმოშენკოსთან — ვასილი** (1947-1971), გარდა ამისა, მას ნაშვილები ჰყავდა მესამე ცოლის **კაპიტოლინა ვასილევას** ქალიშვილი — **ლინა. შვილი სახელად ტატიანა ვასილის არასოდეს ჰყოლია.**

მაშ, საიდან გაჩნდა ის? **ყაზანში ვასილი სტალინის** გადასახლებაში ყოფნისას (1961-1962) მას მედდა **მარია ნუსბერგი** მიამაგრეს. კგბ-ს თანამშრომელი **ნუსბერგი** გადასახლებულ გენერალზე ზედამხედველობას ახორციელებდა და რაღაც იდუმალი ინიქციებს უკეთებდა, რომლებმაც, **ვასილევას და სვეტლანა ალილუევას აზრით, ვასილის 40 წლის ასაკში მოუსწრაფა სიცოცხლე.** გაქნილმა მედდამ რაღაც სასწაულით მოახერხა, თავის პასპორტში პაციენტთან ქორწინების რეგისტრაციის შტამპი ჩაერტყა, **ჯუღაშვილის** გვარი მიეღო და თავისი სამი ქალიშვილიც ამ გვარზე გადაეყვანა. თუმცა, ეს „სასწაული“, ალბათ, იმ ყოვლისშემძლე ორგანოს მხარდაჭერით აიხსნება, რომლის ფარული აგენტიც იყო **ნუსბერგი.** თავად **მარია ნუსბერგი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, ხოლო ცხედრის გადასვენება მისმა ერთ-ერთმა ქალიშვილმა — ტატიანამ მოაწყო.** გენერლის ახალ საფლავზე ყაზანიდან გადმოტანილი ობელისკი დგას — შავი მარმარილოს ფილა წარწერით: **„ჯუღაშვილი ვასილი იოსების ძე. ერთადერთს მ. ჯუღაშვილისაგან.“** გარდაცვალების თარიღი შეცდომით არის მითითებული — „1961“. აი, გადმოსვენების მთელი ისტორია. უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ **ვასილის** არასოდეს ჰქონია გვარი **„ჯუღაშვილი“**. დაბადებისას იგი რეგისტრაციაში გაატარეს, როგორც **„ვასილი სტალინი“**, პატიმრობის შემდეგ გვარის გამოცვლის არაერთ წინადადებას კატეგორიული უარით უპასუხა, ხოლო ყაზანში პასპორტს ან რაიმე სხვა საბუთის გარეშე ცხოვრობდა. ამასთან, **ვასილი ბოლო ცოლს ოფიციალურად არ გაშორებია.** დავძენთ იმასაც, რომ ვასილის ახლობლებმა, მისი შვილის **ა. ბურდონსკის** (რუსეთის არმიის თეატრის მთავარი რეჟისორი) ჩათვლით, ნეშტის გადმოსვენების შესახებ გაზეთებიდან შეიტყვეს.



ვასილი სტალინი და მისი მესამე ცოლი — კაპიტოლინა ვასილევა



## არსებობს ვერსია, რომ ი.ბ. სტალინმა შეაჩერა რამდენიმე დივიზიის ბერლინისკენ სვლა, რათა ქალაქში პირველი ის დივიზია შესულიყო, რომელშიც მ.ქანთარია იბრძოდა და რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა ქართველს აღემართა. შეესაბამება თუ არა ეს სიმართლეს?

ამ ვერსიას სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს. **ბერლინის შტურმი 1945 წლის 16 აპრილს დაიწყო და სამი ფრონტის — ბელორუსიის I** (მარშალი ჟუკოვი), **უკრაინის I** (მარშალი კონევი) **და ბელორუსიის II** (მარშალი როკოსოვსკი) **— ერთობლივი ძალებით ხორციელდებოდა.** ფრონტი კი, მინიმუმ, სამი არმიის, ათზე მეტი კორპუსის, ათეულობით დივიზიისაგან შედგება. სასაცილოა იმაზე ფიქრიც კი, რომ უმაღლესი მთავარსარდალი ამა თუ იმ დივიზიის შეყოვნებას მიითხოვდა და პრიორიტეტს იმას მიანიჭებდა, რომელშიც **მელიტონ ქანთარია** იბრძოდა (რომლის არსებობაზე სტალინს, ალბათ, არც კი სმენოდა).

**მაშ, როგორ მოხდა, რომ რაიხსტაგის თავზე დროშა რუსმა მინეილ ეგოროვმა და ქართველმა მელიტონ ქანთარიამ აღმართეს?**

**ბერლინში პირველად მარშალი ჟუკოვის ჯარები შევიდნენ. კონევის ტანკები მათ ფეხდაფეხ მისდევდნენ. როკოსოვსკის არმიაც კუდში მიჰყვებოდა.** ფრონტის სარდლებს შორის გერმანიის ცენტრის დაუფლებისთვის უჩუმარი შეჯიბრი მიმდინარეობდა. **მარშალმა კონევმა** მოგვიანებით აღიარა, რომ მისი და **ჟუკოვის** ურთიერთობა იმ პერიოდში **„უკიდურესად გამწვავებული“** იყო. **როკოსოვსკი** მათთან შედარებით დელიკატურად იქცეოდა, ასე რომ, ბრძოლა ძირითადად **ჟუკოვსა** და **კონევს** შორის გაჩაღდა და მასში **ჟუკოვმა გაიმარჯვა, რომელმაც პირველმა მიაღწია ბერლინის ცენტრს და რაიხსტაგს ალყა შემოარტყა.** ამ გამარჯვების აღსანიშნავად **ჟუკოვმა** უბრძანა თავის დივიზიებს, რაიხსტაგი ეღოთ და მის სახურავზე ან ფრონტონზე **„დროშა ან ალამი“** აღემართათ. ასე რომ, რაიხსტაგის გარშემო მდგომ დივიზიებში **„შედროშეები“** შერჩეულ იქნენ. ყველაზე ადრე შენობასთან მიაღწია გენერალი **შატილოვის** დივიზიამ. მის ყოველ პოლკში ჯარისკაცთა საგანგებო ჯგუფები იყო გამოყოფილი **რაიხსტაგზე დროშის აღსამართად.** მრავალრიცხოვანი შეტევების მიუხედავად, მრავალრიცხოვანი შეტევების მიუხედავად, მხოლოდ რამდენიმე მებრძოლის სხვადასხვა ჯგუფებმა მოახერხა შენობაში შეღწევა. სხვებზე იღბლიანები **კაპიტანი ნეუსტროევის** ბატალიონის მზვერავები — **სერჟანტი ეგოროვი და უმცროსი სერჟანტი ქანთარია** აღმოჩნდნენ, რომლებმაც **რაიხსტაგის სახურავზე გაღწევა და იქ პოლკის დროშის დამაგრება მოახერხეს.** მას შემდეგ ეს დროშა ისტორიულ გახდა და **„გამარჯვების დროშის“** სახელწოდება მიიღო. **30 აპრილს მარშალმა ჟუკოვმა სტალინს მოახსენა, რომ „დღეს, მოსკოვის დროით 14 საათზე, საბჭოთა მებრძოლებმა გერმანული რაიხსტაგის შენობა აიღეს და ზედ გამარჯვების დროშა აღმართეს. „ალამდარი“ მზვერავების პატაკში ნახსენები არ ყოფილა.**

ამგვარად, როგორც ხედავთ, რაიხსტაგზე დროშის აღმმართველთა შორის ქართველი სოლდატის შემთხვევით აღმოჩენა და სტალინის ამ აქციასთან საერთო არაფერი ჰქონია. ეგოროვის და ქანთარიას გვარები ქვეყანამ მოგვიანებით შეიტყო, ხოლო საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მათ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ — 1946 წლის მაისში მიანიჭეს.

## სტალინზე დაწერილ წიგნებში და თქვენს სტატიებშიც ხშირად იხსენიება ბელადის ე.წ. „მახლობელი აგარაკი“. საინტერესოა, რატომ ეწოდა მას ასე და რას წარმოადგენს ეს აგარაკი?

სტალინის **„მახლობელი აგარაკი“** კუნცევოს მახლობლად მდებარეობს (ამიტომ ზოგჯერ მას კუნცევოს აგარაკსაც უწოდებენ), მაგრამ უფრო ახლოს მასთან **მოსკოვისპირა სოფელი ვოლინსკოე** გახლავთ. აგარაკი **1934 წელს** აშენდა არქიტექტორი **მირონ მერჟანოვის** პროექტით. **სვეტლანა ალილუევამ** მის გარეგნულ იერს ასე აღწერს: **„ბაღში, ტყესა და ყვავილებს შორის მშვენიერი, ერთსართულიანი აგარაკი გაიზომულა.“** მეორე სართული ომის შემდეგ დააშენეს, მაგრამ ბოლომდე ცარიელი დარჩა. იმავე **ს. ალილუევამ** მოწმობით, **„მამა იქ არც კი ასულა.“ 1934-დან 1953 წლამდე სტალინი,** ფაქტობრივად, ამ აგარაკზე ცხოვრობდა, **„მახლობელი“** კი მას იმიტომ უწოდეს, რომ მოსკოვის მეორე ბოლოსთან მდებარე **ზუბალოვის** აგარაკისაგან განესხვავებინათ, რომელიც ასევე **სტალინის** სახელზე ირიცხებოდა, **ზუბალოვის** აგარაკს **„შორეულად“** მოიხსენიებდნენ და იქ, **სტალინის** ვოლინსკოეში გადასვლის შემდეგ, მისი ახლო ნათესავები — **ქალიშვილი, ვაჟიშვილი (ვასილი) და ცოლის მშობლები — მოხუცი ალილუევები ცხოვრობდნენ.**

რას წარმოადგენს **„მახლობელი აგარაკი?“** იგი დაწვრილებით აღწერა **დიმიტრი შეპილოვმა — 50-იან წლებში „პრავდის“** რედაქტორმა, შემდეგ ცკ-ს მდივანმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელიც **ხრუშჩოვმა** პარტიიდან გარიცხა. **შეპილოვმა** აგარაკი **1956 წელს** მოინახულა. ჩვენც გავყვეთ მას და **„მახლობელ აგარაკზე“** დაუსწრებელ ექსკურსია მოვაწყოთ:

„კარს ვაღებთ თუ არა, სტუმრად ვრცელ ვესტიბიულში ვხვდებით. საკიდზე პატრონის ფარაჯა, ქუდი, გაქუცული ქურქი, რამდენიმე სამხედრო ქუდი და ბეწვსაყურებიანი ქუდი ჰკიდია, იატაკზე კი თექის ჩექმები დაკერებული ჩექმები აწყვია. პირველ სართულზე ხუთი ოთახია, მეორეზე — ორი ოთახი და სოლარიუმი. ვესტიბიულიდან მარჯვენა ოთახში საწერი მაგიდა, სერვანტი და „შირპიტრების“ სარკიანი გარდერობი დგას, მაგრამ **სტალინი** აქ არასოდეს მუშაობდა და ისედაც იშვიათად შემოდიოდა. ვესტიბიულიდან მარცხნივ დიდი ოთახია, რომელსაც **„დიდ სასადილოს“** ეძახდნენ. ცენტრში სასადილო მაგიდა დგას ცისფერი რიფსით გადაკრული ექვსი სკამით, ბუფეტი, პატარა მაგიდა და პატეფონით და ფირფიტებით. **სტალინი** ხშირად ატარებდა აქ დროს თავისი სტუმრებით და ან თანამოაზრეების კამპანიაში. კორიდორის თუ გაჰყვებით, **„პატარა სასადილოში“** მოხვდებით, სადაც ბელადი დროის მეტ წილს ატარებდა. აქაც დგას სასადილო მაგიდა, ბუფეტი, კიდევ ერთი მომცრო მაგიდა „ვჩ“-ს, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებთან პირდაპირი კავშირის, პოლიტბიუროს წევრებთან უშუალო კავშირის აპარატებით. აქვეა დივანი, რომელზეც **სტალინს** ღამღამობით ლოგინს უშლიდნენ. როცა სტუმრები არ ჰყავდა, ის იქვე, სასადილო მაგიდასთან მუშაობდა, საუზმობდა, სადილობდა და ვახშმობდა. ეს ოთახი დახურულ ვერანდაზე გადის, სადაც **სტალინი** გახუხულობით და ზაფხულობით მუშაობდა. აქაც დგას მაგიდა და დაწნული სავარძლები. მომდევნოდ დიდი სასტუმრო ოთახია, სადაც პოლიტბიუროს სხდომებს, სხვადასხვა თათბირებს, მიღებებს და ბანკეტებს ატარებდნენ. დერეფანი კიდევ ორ ოთახს ანუ სპალნებს უერთდება, ...ფრინთა ტარ... საბავშვო ოთახსაც, ...ი მანქანებისა და ბუფეტის... დებით, სადაც ...მდევია ეს ოთახები, ...ნე... ბელადის ...ის ოთახს უწოდებდა ...ვეში შემოსვლა არავის ...ჰქონდა, ...ი ...ორის საწოლი ...იყო. ეს თავადი ოთახი, რომელშიც სკამები, სავარძლები და როიალი დგას. **სტალინი** მას **„ყდიანოვის ოთახს“** უწოდებდა, რადგან **ჟდანოვს** ძალიან უყვარდა ამ როიალზე დაკვრა. ვფიქრობ, სულ ეს არის. კედლებს **ლენინის, გორკის, მაიაკოვსკის, შოლოხოვის, დემიან ბედნის** პორტრეტები და რუსი მხატვრების ნაწარმოებთა იაფფასიანი რეპროდუქციები ამშვენებს, რომელთა შორის **სტალინს** განსაკუთრებით უყვარდა **რეპინის „ზაპოროჟელები თურქეთის სულთანს სწერენ წერილს“. სტალინის** სიცოცხლეში აქ **„ოგონიოკიდან“** ამოჭრილი ილუსტრაციებიც ეკიდა, რომლებიც ახლა აღარ არის. ერთადერთი ფუფუნება — ხალიჩა და ბუხარი **„დიდ სასადილოში“**. აუცილებლად უნდა აღინიშნოს წიგნების სავსე მაღალი კარადები. ისინი, პრაქტიკულად, ყველა ოთახში დგას.“

როგორც ვხედავთ, ადამიანი, რომელიც მსოფლიოს ხალხებს მართავდა და თავის ნებას სახელმწიფოებსა და კონტინენტებს კარნახობდა, ბერად უფრო მოკრძალებულად ცხოვრობდა, ვიდრე მისი იმპერიის ოლქის ან თუნდაც რაიონის ხელმძღვანელი. დღევანდელ **„ბატონ-პატრონებზე“** (ნებისმიერი მასშტაბის) ხომ ლაპარაკიც არ ღირს.



„მახლობელი აგარაკი“



„თეთრი“ ვერანდა



სხდომათა დარბაზი



კაბინეტი

შუადღელობისმაქვსი
2023 წლის 3 აპრილი. № 19 (187)
სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# ვალერი და გუბაზი, როგორც ამისთანები და ამაზე უარესები

***მას შემდეგ, რაც გუბაზ სანიკიძე პარლამენტიდან პანჩურებით გამოაგდეს და საქვეყნოდ შეარცხვინეს, ლევან სანიკიძის შვილმა შებღალული სინდისის გასამართლებლად თვითგამოცხადებული ჟურნალისტის ელისტრაკო კილაძის ადვოკატს უხმო და გამოაცხადა — ირაკლი ღარიბაშვილს სასამართლოში ვუჩივლებ, ჩემს უფლებებს ვალერი გელბახიანი დაიცავსო!***

ვალერისა და გუბაზის სრულიად კანონზომიერმა შერწყმამ ზნეკეთილი საზოგადოების წინააღმდეგ უნებურად გამახსენა, როგორ დადგა სულაძაღლებულმა **ლეიბა ბრონშტეინ-ტროცკიმ** ვორონეჟში იუდა ისკარიოტელის ძეგლი წარწერით — „ჩემს ძმას — იუდას!“ არადა,

**ტროცკი რომ გუბაზს, ვალერისა და სალომე ზურაბიშვილს მოსწრებოდა, რუსთაველის პროსპექტზე, ილიასა და აკაკის ძეგლის ადგილზე, მათ ძეგლს დადგამდა წარწერით – „ჩემს და-ძმებს – იუდებს!“**

სხვათაშორის, წინამდებარე წერილს რომ ვამზადებდი, **ვალერი გელბახიანის** მიერ გაკეთებული ბოლოდროინდელი პოლიტიკური განცხადებების ნუსხის გასაცნობად „გუგლის“ საძიებო სისტემაში რაღაც არასწორად შევიყვანე და ვალერი გელბახიანის ნაცვლად ინტერნეტმა **იმპერატორი ვალერიანე** ამომიგდო...

რაოდენ გასაკვირიც გინდა იყოს, **იმპერატორ ვალერიანესა და ვალერი გელბახიანს შორის დიდი მსგავსება ვიპოვე — ოქროს სიყვარული!** მენიშნა, რომ **ვალერიანე** სწორედ ადუღებულმა ოქრომ იმსხვერპლა... **260 წელს ედესასთან სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებულ და დატყვევებულ რომის იმპერატორ ვალერიანეს შაჰმა შაპურ პირველმა ჯერ ადუღებული ოქრო ჩაასხა პირში — აქაოდა, ოქრო გიყვარდაო, ხოლო შემდეგ ცოცხლად გაატყავა!**

ცხადია, **მორალურად დაცემულ** და მიწასთან გასწორებულ ვალერი გელბახიანს არც **ორალურად სიკვდილს** ვუსურვებ, რომელიც ადუღებული ოქროს, ანდა, მაგალითად, **ბიოცისტერნიდან** გამოჟონილი რომელიმე ზემყრალი ნივთიერების პირში ჩასხმით იქნება განპირობებული, მაგრამ ერთს კი ვიტყვი —

**ვალერი, შენ და თვით-გამოცხადებულ ჟურნალისტ ელისტრაკო კილაძეს ბადრი პატარკაციშვილის ცოდვა აუცილებლად გიწევთ და გაძაღლებულ ცხოვრებას, სავარაუდოდ, სწორედ ისე დაამთავრებთ, როგორც იუდა ისკარიოტელმა ან იუდას ძეგლის დამდგმელმა დაასრულეს!**

რაც შეეხება **გუბაზ სანიკიძეს,** ამ სამარცხვინო კაცს, რომელსაც მთელი საქართველო აგინებს, ძველი მეგობრობისა და მისი დიდებული და ზნეკეთილი მეუღლის, **ქალბატონი ირმა შუბლაძისადმი** და-ძმური პატივისცემის ნიშნად მაინც ვეტყვი, რომ მოერიდოს **ვალერი გელბახიანს!**

**გუბაზ,** ფერ-ხორცი შენ არასდროს გაკლდა, მაგრამ ამ ბოლო დროს ნამეტანი მოსუქებული ხარ! **ჰოდა, მოერიდე ვალერი გელბახიანს, თორემ ეგ და ელისტრაკო კილაძე ფულსა და ოქროზე ისე არიან „გამაცადინებული“, გიყიდიან და გაგყიდიან კიდეც!**

**სამარცხვინო გუბაზ, გელბახიანმა და ელისტრაკომ, რომლებიც ვანო მერაბიშვილმა „არკადიაში“ დესანტად გადასხა, ბადრი პატარკაციშვილი „გაასუხარეს“ და შენ ვერ „გაგახაზირებენ“?** ის კი არა, **თუ დასჭირდათ, შენი ფეხით მიგიყვანენ და იმ საშაურმეში ჩაგაბარებენ, რომელიც ვირის ხორცის გადამუშავებაშია ექსპერტი** და, ადრე თუ გვიან, ქალბატონ **მადონა კოიძის** სანიტარიული რეიდი დააცხრება.





## ორი მოღალატე ასე შეზრდოდეს და შესისხლხორცებოდეს ერთმანეთს, როგორც გუბაზ სანიკიძე და ვალერი გელბახიანი, ძნელად მახსენდება!



იმპერატორი ვალერიანე

260 წელს ედესასთან სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებულ და დატყვევებულ რომის იმპერატორ ვალერიანეს შაჰმა შაპურ პირველმა ჯერ ადუღებული ოქრო ჩაასხა პირში — აქაოდა, ოქრო გიყვარდაო, ხოლო შემდეგ ცოცხლად გაატყავა!



შაჰი შაპურ პირველი

საქართველოს ისტორია ბედის თანაზიარ **ორ და მეტ გმირს** იცნობს... ბოლოს და ბოლოს, **100 ათასმა ქართველმა, ჯალალედინის ლაშქრობის დროს, 1226 წლის გაზაფხულზე, ერთ დღეს შეაბიჯა უკვდავებაში,** მაგრამ **ორი მოღალატე** ასე შეზრდოდეს და შესისხლხორცებოდეს ერთმანეთს, როგორც **გუბაზ სანიკიძე და ვალერი გელბახიანი,** ძნელად მახსენდება!

**დავით და კონსტანტინე მხეიძეები** იყვნენ, **ეზრა ანჩელი და საბა მტბევარი** იყვნენ, **შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები** იყვნენ, **შალვა და ივანე ახალციხელები** იყვნენ, **ცხრა ძმა ხერხეულიძე და შვიდი ძმა მაჩაბელი** იყვნენ... ყველანი გმირულად დაიხოცნენ და საქართველოს შეაკლეს თავი, მაგრამ **კახაბერ ყორღანაშვილსა და შადიმან ბარათაშვილს** ღალატში მეწყვილე და თანაზიარი არ ჰყოლიათ. მოღალატენი ყოველთვის მარტო იყვნენ — ღმერთისგან და კაცისგან შეჩვენებულნი!

**გუბაზ და ვალერი,** თქვენ კი ერთად ხართ, ერთად ლაღობთ, ერთად ქეიფობთ და ერთმანეთს დითირამბებს უძღვნით... **საქართველოში ღალატი ცოტა იყო და დღემდე** იმიტომ მოვედით; თქვენ კი ღალატი გააბევრეთ და ცხოვრების წესად აქციეთ. ეს ძალზე საშიში მოვლენაა, რადგან პირდაპირ ჩვენს მენტალიტეტსა და ცნობიერებას ანგრევს!

**გუბაზ, ესეც არ იკმარე, უნამუსობას უნამუსობა დაამატე და ღალატი „ჯარიმად“ გამოაცხადე...**

**თავმოყვარეობა სულ დაკარგე? პატარა ბავშვივით გაგაგდო ალუდა ღუდუშაურმა პარლამენტიდან, საიდანაც სახლში გაიქეცი, კარი ურდულით ჩაკეტე, ფარდები ჩამოაფარე და მერე „ჰუტავიზიას“ ტელეფონით მიეცი ინტერვიუ...**

კაცმა **ვალერი გელბახიანს** როგორ უნდა სთხოვო — დამიცავიო?! **მაგრამ შენ ვალერიზე უარესი ხარ, გუბაზ! ეს იმას ჰგავს, მამიდა როენამ და ელისტრაკო კილაძემ ერთმანეთს აღსარება ჩააბარონ!**

ქართული ზღაპარია ასეთი — **„ამისთანა და ამის უარესი“.**

სწორედ შენზე და ვალერი გელბახიანზეა ეგ ზღაპარი , რომელიც გაცხადდა...

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**გუბაზ სანიკიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



ტროლ-ბოტებმა რომ ვერაფერი მომიძებნეს, **რატომ არის ამხელა წონის და მაგას უნდოდა მილიონის შოვნაო** — მეგობრებო, ვის არ გინდათ მილიონის შოვნა?

„TV პირველი“

**ვაჟა ბერიძე**
*პოლიტოლოგი*



**სამოქალაქო დაპირისპირება** რეალურია, რაშიც ხელისუფლებაც და ოპოზიციაც თანაბრადაა დამნაშავე.

„ინტერპრესნიუსი“

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



მოვუწოდებ ყველას, ლიბერალს თუ არალიბერალს — **გაუფრთხილდნენ საქართველოს დამოუკიდებლობასა და თვითმყოფადობას,** რომელიც წინაპრებმა თავგანწირული ბრძოლის ფასად შემოგვინახეს.

„აიპრესი“

**გრიგოლ გაგნიძე**
*დამოუკიდებელი ექსპერტი*



პირველ რიგში, **ხელისუფლება ჩანერგილი „საბოტაჟნიკებისგან“ უნდა გაიწმინდოს.** ქვეყნის ღალატი სწორედ მათგან არის მოსალოდნელი.

„საერთო გაზეთი“

**გია ხუხაშვილი**
*ანალიტიკოსი*



**ნაციონალური მოძრაობა დიდი ხნის დაშლილია.** ხელისუფლებამ არ იცის, რა დაუპიროს **სააკაშვილს,** ეყოლებათ ასე დაკონსერვებული, ეშინიათ მისი გაშვების. იქ რომ ჰყავთ, ესეც პრობლემაა.

„ახალი თაობა“

**ზურაბ ჭიაბერაშვილი**
*საქართველოს ყოფილი ელჩი ევროპის საბჭოში*



საჭიროა რუსთაველზე **არა პერიოდული შეკრებები, არამედ მასობრივი მარშები** ძირითად ქალაქებში — მნიშვნელოვანია პროცესი გაიშალოს და **ყველა ქუჩაზე ჩაიაროს ევროპულმა გაზაფხულმა.**

„პალიტრანიუსი“

# მანანა არჩვაძე-გამსახურდია:

# ისინი არიან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერები, რომლებიც ფულზე გაიყიდნენ!

**_ნაცებს, რომლებმაც 9 წლის განმავლობაში სისხლისა და ცრემლის კალო ლეწეს საქართველოში, ასობით ათასი ადამიანი რეპრესიებში გამოატარეს, დააინვალიდეს ან იმქვეყნად გაისტუმრეს, კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნება სწყურიათ და არც სისხლის დაღვრას ითაკილებენ._**



ორიოდე კვირის წინათ მათ უკვე ჰქონდათ **შეიარაღებული გადატრიალების მცდელობა** და მთელმა ერმა დაინახა, როგორი შემართებით უშენდნენ „მოლოტოვის კოქტეილებს" წესრიგის დამცველებსა და ადმინისტრაციულ შენობას. ერმა მანამდეც არაერთხელ იხილა დასავლეთის აგრესიული წრეებისგან წაქეზებული ამ ზონდერების პარპაში, რომლებსაც არ გააჩნიათ განსხვავებულად მოაზროვნეთა მიმართ ტოლერანტობისა თუ ემპათიის ნიშანწყალი. უფრო მეტიც, ძალაუფლების დაბრუნების შემთხვევაში, მზად არიან, ყველა მოწინააღმდეგე ძირფესვიანად მოსპონ! ეს კასტა ნებისმიერ საბაბს ეპოტინება, რათა საქართველოს დედაქალაქში კანონის ფარგლებიდან გასული მანიფესტაცია მოაწყოს, რომელიც შეიარაღებულ გადატრიალებაში უნდა გადაიზარდოს. ამ მიზნის მისაღწევად მოდერნიზებული ნაცები ხან ნარკომანებს, ხან ლგბტ თემს იყენებენ. ამჯერადაც ფრიად მზაკვრული რამ ჩაიფიქრეს — **არეულობაში და შეიარაღებულ გადატრიალებაში გადაზარდონ 9 აპრილის სახალხო მანიფესტაცია, სისხლი დაღვარონ იმ ადგილზე, სადაც 1989 წლის 9 აპრილს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლები დაეცნენ, სადაც 1991 წლის 9 აპრილს ერი მქუხარე ოვაციებით შეეგება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოცხადებას!**

— **„გთავაზობთ, 9 აპრილს, 17:00 საათზე, შევიკრიბოთ რუსთაველის გამზირზე!"** — განაცხადა ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ **ლევან ხაბეიშვილმა,** რომლის პარტიას არც 1989 და არც 1991 წლის 9 აპრილის ისტორიული მნიშვნელობის თარიღებთან არაფერი აკავშირებს; უფრო მეტიც — 9 აპრილთან არაფერი აკავშირებს არც მის სამარცხვინო ბელადს **მიხეილ სააკაშვილს,** რომელმაც საქართველოს ისტორიის დასაწყისად 2003 წლის 23 ნოემბერი, ანუ **ბინძური „ვარდების რევოლუციის"** დღე გამოაცხადა! ამის მიუხედავად, ნაცებისა და პირადად ხაბეიშვილის უტიფრობას საზღვარი არ გააჩნია. **დიდი ხანია, მათ დაიწყეს კანონიერი უზენაესი საბჭოს იმ დეპუტატების მოსყიდვა და გადაბირება, რომლებსაც განგებამ უდიდესი პატივი — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელის მოწერა არგუნა წილად,** მაგრამ მათ ეს პატივი ვერ შეიფერეს; ჭარმაგ ასაკში გადაიქცნენ სააკაშვილის ხელისბიჭებად და მისი ბინძური მიზნების განხორციელების ინსტრუმენტებად!

— **„დღეს პატივი მქონდა, შევხვედროდი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერებს. საინტერესო დისკუსია გვქონდა. გავცვალეთ პოზიციები და შევთანხმდით თანამშრომლობაზე. მადლობა თითოეულ მათგანს — თენგიზ ჩაჩავა, ზურაბ ძოწენიძე, რეზო კემულარია, ვახტანგ ცაგარეიშვილი, ბიმურზა აფრასიძე-დადეშქელიანი, ნოდარ ნონიაშვილი, ზურაბ წულაია, ბეჟან ჯავახია"** — ფეისბუქის საკუთარ გვერდზე დაწერა მამაკაცების გამაუპატიურებელი პარტიის თავმჯდომარემ **ლევან ხაბეიშვილმა.**

ფაქტია — საქართველოში ახალი არეულობის მოსაწყობად კაციხმარია ნაცები თვით საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი დეპუტატების ნაწილს გამოიყენებენ, რომლებმაც იმ პატივით, რაც ზვიად გამსახურდიას მეშვეობით ერგოთ, სარფიანად ივაჭრეს და 30 ვერცხლზე გადაახურდავეს. დიახ, კაცს რომ იმხელა პატივი გერგება წილად, ზვიად გამსახურდიას მხარდამხარ ყოფნა მოგიწიოს, მერე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს მოაწერო ხელი და ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი ქრისტესა და ზნეობის მტრის — სააკაშვილის მომხრეობაში გაატარო ანდა სამარცხვინო გირჩელებისა და ბობოლა პუტჩისტის — **აკია ბარბაქაძის** გვერდში დადგე, რაღაზე უნდა ელაპარაკო?

**სამარცხვინო ხარ! არამია ის პატივი, რომელიც ბედმა გარგუნა შენ, უზენაესი საბჭოს აწ უკვე ყოფილო წევრო...** ვერცხლის მომლოდინე ყოფილხარ მაშინაც, როდესაც ზვიადის გვერდით იდექი... როდესაც მე და ჩემნაირებს, ვინც მხოლოდ ზვიადის ხათრით მოგეცით ხმა — იმედი გაგვიცრუე და შენი სამარცხვინო სიცოცხლის მიწურულს ბუნების შეცდომა სააკაშვილი ზვიადს გაუტოლე, რათა კუჭის ამოვსების უკადრისი გზა გეპოვნა!

**და მაინც, ვინ არიან ისინი, ვინც ნაციონალური მოძრაობის კარიკატურულ თავმჯდომარესთან — ლევან ხაბეიშვილთან ერთად ფოტოზე არიან გამოსახულნი? — ამ კითხვით მივმართეთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლსა და მეუღლეს, ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას:**

— ისინი არიან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი ე.წ. დეპუტატები, რომლებმაც უღალატეს როგორც საქართველოს, ასევე ზვიად გამსახურდიას და ფულზე გაიყიდნენ! გთავაზობთ ფოტოსურათზე წარმოდგენილთა პირად მონაცემებს:

**თენგიზ ჩაჩავა** — მას დიდი ხანია, შეჩერებული აქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის სტატუსი;




## სამარცხვინო ხარ! არამია ის პატივი, რომელიც ბედმა გარგუნა შენ, უზენაესი საბჭოს აწ უკვე ყოფილო წევრო...

# «პრეზიდენტის მკვლელობის საქმე გამოძიებულია, დამკვეთები და შემსრულებლები ცნობილია, მაგრამ...»



**ზურაბ ძოწენიძე** — მასაც რახანია, შეჩერებული აქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის სტატუსი. შევარდნაძის დროს მამამისი **გიორგი ძოწენიძე** იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო **ზურაბ ძოწენიძე** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შეფარული უშიშროების კარტოთეკიანი თანამშრომელი;

**რევაზ ქემულარია** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატია, პუტჩის შემდგომ ფინანსური გამორჩენის მიზნით პარტიიდან პარტიაში მოსეირნე;

**ვახტანგ ცაგარეიშვილი** — მას დიდი ხანია, შეუჩერდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის სტატუსი;

**ბიმურზა აფრასიძე** *(სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ამ გვარით ფიგურირებს)* — გახლავთ ნაციონალი, უშიშროების კარტოთეკიანი თანამშრომელი;

**ნოდარ ნონიაშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სიებში მრგვალი მაგიდის წარმომადგენლის სახელით არ ფიქსირდება, გახლავთ უშიშროების თანამშრომელი, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლამდე უშიშროების სამსახურის მიერ 6 წლის განმავლობაში გაურკვეველი სტატუსით მივლინებული იყო ირანში;

**ზურაბ წულაია** — ფასადის შესაქმნელად გახლავთ ფოტოსურათზე, ის არასდროს ყოფილა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი;

**ბეჟან ჯავახია** — მას შეჩერებული აქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის სტატუსი.

**— ქალბატონო მანანა, ნაცების ორბიტაზე უზენაესი საბჭოს კიდევ რომელი ყოფილი დეპუტატები მოიაზრებიან?**

— დავასახელებ სამ პიროვნებას, რომელნიც გაემიჯნენ უზენაესი საბჭოს წევრობას:

**ბადრი ჯაფარიძე** — 1992-2019 წლებში „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, 1995-2019 წლებში დირექტორატის წევრი, **პოლიტიკური გაერთიანება „ლელოს“** გენერალური მდივანი;

**გუბაზ სანიკიძე** — 1999-2004 წლებში საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: **„საქართველოს აღორძინება“.** ფრაქცია **„ტრადიციონალისტის“** თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ ფრაქციის თავმჯდომარე. 2012-2016 წლებში იყო საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი (ქუთაისის მაჟორიტარი), საარჩევნო ბლოკი: **„ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნება“.** 2020 წლიდან არის საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“;**

**აკაკი ასათიანი** — 1992-1995 წლებში საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი **„ტრადიციონალისტთა გაერთიანება“** და 1999-2004 წლებში მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი **„საქართველოს აღორძინება“,** უშიშროების კარტოთეკიანი თანამშრომელი.

აი, ასე დაუფასეს მათ ამაგი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მოქალაქეებს — ხუნტისგან აიღეს საკმაოდ დიდი თანხა პენსიის სახით და დღესაც კარგად ფინანსდებიან!







## „დავასახელებ სამ პიროვნებას, რომელნიც გაემიჯნენ უზენაესი საბჭოს წევრობას...“







## „გურამ აბსანძე მჭიდროდ არის დაკავშირებული გიორგი გახარიასთან!“

აქვე დავამატებ ამ მოქალაქეთა ბოროტ ზრახვებს პირადად ზვიად გამსახურდიას ოჯახის მიმართ — **მათ ცოტნე გამსახურდიას წინააღმდეგ პოლიტიკური ტერაქტის მოწყობის შემდეგ, მისი სიცოცხლის გადასარჩენად ხელის მოწერაზე უარი განაცხადეს!** სხვათაშორის, სია არასრულია, დანარჩენს მომავალში გაახლებთ!

**— ქალბატონო მანანა, გამოჩნდა ინფორმაცია, რომ უზენაესი საბჭოს დეპუტატების სხვა ჯგუფი მიმდინარე წლის 9 აპრილს ფინანსთა ყოფილი მინისტრის გურამ აბსანძის მხარდამხარ იაქტიურებს. მათზე რას გვეტყვით?**

— **გურამ აბსანძე** თავის დროზე **სააკაშვილ-ჟვანიას ხელისუფლების** ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა ბრძანდებოდა. ამჯერად, ალბათ, დაევალა, ნაცებამდე მიიყვანოს კანონიერი უზენაესი საბჭოს ის დეპუტატები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ამ ეტაპზე ნაცებს ემიჯნებიან! აქვე გეტყვით, რომ **გურამ აბსანძე** მჭიდროდ არის დაკავშირებული **გიორგი გახარიასთან.**

**— რანაირად?**

— აბსანძის შვილი **ვალიკო აბსანძე** არის გიორგი გახარიას კლასელი, მეჯვარე და გახარიას შვილის ნათლია. ვალიკო აბსანძეს გიორგი გახარიას ბიზნესები აქვს გადაფორმებული. ვალიკო აბსანძის დეიდაშვილი **მურმან ახალაია** მუშაობდა საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში, აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიუროში. ეს ორგანიზაცია მდებარეობდა თბილისში, მაჩაბლის ქუჩაზე. ამ ვალიკომ დისშვილის ნათლობაზე მოკლა **მურმან ახალაია,** მაგრამ ერთი დღეც არ მჯდარა ციხეში. მისი ოჯახი 2002 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ცხოვრობდა სამეგრელოში, მაგრამ თბილისში ჰქონდა დაქირავებული ბინა და ცოლი იქ აკითხავდა, სამეგრელოდან თბილისში.

გურამ აბსანძის ვაჟს **ვალიკო აბსანძეს** შერჩა ეს მკვლელობა! ვითომ არაფერი, დიახ, ერთი წუთითაც არ მჯდარა ციხეში! გურამ აბსანძეს ამ საქმის ჩაფარცხვაში ეხმარებოდნენ **მიშა სააკაშვილი, გიორგი გახარია და მთელი მათი ბანდები...** მოკლედ, ეს მკვლელი „ბაკუნა“ (სახლში ასე ეძახიან), ანუ **ვალიკო გურამის ძე აბსანძე**, გახარიას უახლოესი მეგობარია!

ახლა მკითხველმა გამოიტანოს დასკვნა, ვის მოემსახურებიან გურამ აბსანძის ამქარში მყოფი უზენაესი საბჭოს წევრები! ამას გარდა, გურამ აბსანძეს ზვიად გამსახურდიას ოჯახისთვის ძალზე მნიშვნელოვან კითხვაზე აქვს პასუხი გასაცემი!

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— პრეზიდენტი უკვე გარდაცვლილი იყო, მე კი შვილებთან ერთად მოსკოვში ვცხოვრობდი. შევიტყვე, რომ დევნილი პრეზიდენტის სამეგრელოში ჩამოსვლისა და მოღვაწეობის ამსახველი ვიდეომასალა — ორი უზარმაზარი ყუთი — გურამ აბსანძეს ჰქონდა წამოღებული და მოსკოვში გადამალული, რათა ხალხს არ გაეგო სიმართლე სამშობლოში კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად დაბრუნებული პრეზიდენტის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ.

დავუკავშირდი **გურამ აბსანძეს** და ვთხოვე, ოჯახისათვის დაებრუნებინა ეს ვიდეოკასეტები. მან უკმეხად მიპასუხა: **„რატომ უნდა მოგცეთ? მეტი საქმე არ მაქვს!“**

კატეგორიულად მივუგე, რომ **„ეს ვიდეოდოკუმენტური მასალა მისი კერძო საკუთრება არ არის, არამედ საქართველოს უახლესი ისტორიაა, რომელიც არ უნდა მიიჩქმალოს, ეს ისტორია უნდა იცოდეს ხალხმა!“** ამაზე აბსანძემ ასე მიპასუხა: **„შეაგროვეთ უზენაესი საბჭოს დეპუტატების ხელმოწერები და მხოლოდ ამ ხელმოწერების საფუძველზე შემიძლია, გადმოგცეთ ეს ფირებიო“...**

დიდი წვალებით მოვძებნე პუტჩის მერე სად და სად მიმოფანტული დეპუტატები და ხელმოწერებიც შევაგროვე, მაგრამ **აბსანძე,** როგორც სჩვევია, დაიმალა და ჩემს ზარებს არ პასუხობდა. მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი იყო **ცოტნე გამსახურდია.** მან გამამხნევა — **„მე მოვძებნი აბსანძეს“.** მართლაც, ცოტნემ მიაგნო გურამ აბსანძეს და მოსკოვის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, მის ფეშენებელურ სახლში მოულოდნელად თავზე დაადგა. სახტად დარჩენილი გურამ აბსანძე ცოტნეს ეკითხება: **როგორ მომაგენი ან აქ როგორ ამოგიშვეს?**

ცოტნემ გურამ აბსანძეს ხსენებული ვიდეომასალა მოსთხოვა.

— **„შენ ვინა ხარ, რომ მოგცე?! რატომ უნდა მოგცე?!“** ამის პასუხად ცოტნემ ხელი მოუქნია, აბსანძეს მოპრიალებულ იატაკზე ფეხი დაუცურდა და ძირს გაგორდა.

ამის შემდეგ აბსანძეს განსაკუთრებულად სძულს ცოტნე გამსახურდია.

## ის დოკუმენტური ვიდეოფაილები, რომლებიც, გავიმეორებ, ორი უზარმაზარი ყუთი ყოფილა და ასახავს დევნილი პრეზიდენტის პოლიტიკური მოღვაწეობის ბოლო თვეებს, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია ქართველი ერისთვის, დოკუმენტები დღემდე გურამ აბსანძის მფლობელობაშია და ოჯახისთვის არ დაუბრუნებია.

**— ნაცები, გარდა იმისა, რომ შეიარაღებული გადატრიალებისთვის ემზადებიან, 9 აპრილის პოლიტიკური და სულიერი მემკვიდრეობის მიტაცებასაც ცდილობენ. რას ეტყოდით ქართველ ხალხს მორიგი 9 აპრილის წინ?**

— დაფიქრდით, ზვიადის ოჯახის მტრების ამოცნობა არ უნდა გაგიჭირდეთ! **ცოტნე იმავე მაფიის მსხვერპლია, ვისთვისაც მიუღებელი იყო ეროვნული — მართლმადიდებელი პრეზიდენტი, რომლის მკვლელობის საქმე გამოძიებულია, დამკვეთები და შემსრულებლები ცნობილია, მაგრამ მათი ვინაობა ამ ხალხს წამგებიან მდგომარეობაში ჩააყენებს! ეს ხომ ერთი გუნდია!**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2023 წ. №11-14*

# იგორ კვესელავა: ზვიად გამსახურდია საქართველოს არცერთ ხელისუფლებას არ უყვარდა!



***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა ქვეყნის პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისუფლების დამხობის სისხლიან ქრონიკებს იხსენებს და იმ მიზეზებზე საუბრობს, რის გამოც საქართველოს არცერთი ხელისუფლება ზვიად გამსახურდიას მიერ 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებულ საქართველოს თავისუფლებას არ აღიარებს:***



## „არც შევარდნაძე, არც სააკაშვილი და არც დღევანდელი ხელისუფლება 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტს არ აღიარებენ!“

— **სიმართლე უნდა ითქვას** — ზვიად გამსახურდიას რეაბილიტაციისა და მკვლელობის გახსნის მცდელობა, მისი ნეშტის საქართველოში გადმოსვენება და ეროვნულ გმირად აღიარება, ასევე სანაპიროსათვის ზვიადის სახელის მინიჭება და 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების ერთგვარი შეფასება სწორედ სააკაშვილმა დაიწყო, **მაგრამ ეს საქმე ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.** ცნობილია, რომ სააკაშვილს ზვიად გამსახურდიას მისამართით გამოთქმული აქვს არაერთი მძიმე შეფასება... მათ შორის სწორედ სააკაშვილს ეკუთვნის ცნობილი ფრაზა — **„გამსახურდია კავკასიის სადამ ჰუსეინი!“** მოკლედ თუ ვიტყვით, ფაქტი ერთია —

**ზვიად გამსახურდია, როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტი, არც შევარდნაძის, არც სააკაშვილისა და არც დღევანდელი ხელისუფლებისთვის ორიენტირსა და ნიშანსვეტს არ წარმოადგენს!**

საქართველოს არცერთ ხელისუფლებას ზვიადი არ უყვარდა! **თუ ვინმემ მისი სახელის ვითომდა უკვდავსაყოფად რამე გააკეთა ან რამეს აკეთებს, მხოლოდ და მხოლოდ, პიარის მიზნით.**

**— არც 9 აპრილს ზეიმობს საქართველოს არცერთი ხელისუფლება, როგორც თავისუფლების დღეს!**

— სამარცხვინოა, რომ საქართველო ზეიმობს გერმანელების მიერ დაწესებულ თავისუფლების დღეს — 26 მაისს. არადა, **სწორედ 1991 წლის 9 აპრილს,** 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, ზვიად გამსახურდიამ საქართველოს თავისუფლება გამოაცხადა! დიახ, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე ხალხს დაესვა ერთადერთი შეკითხვა — **„გსურთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“** რეფერენდუმის მთავარ შეკითხვას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა და ზვიად გამსახურდია ბევრად წინ იყურებოდა, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია. საქმე ის გახლავთ, რომ

**1918 წლის 26 მაისის მდგომარეობით, საქართველო აკონტროლებდა საინგილოსაც, ლორესაც, დვალეთსაც, სოჭსაც და ტაო-კლარჯეთის მნიშვნელოვან ნაწილსაც... აი, ამ ტერიტორიებზე აცხადებდა ზვიად გამსახურდია პრეტენზიას, როგორც 31 მარტის რეფერენდუმით, ისე 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტით.**



**— ალბათ, ამიტომ იყო, რომ ზვიად გამსახურდიას დამხობაში მეტ-ნაკლებად ყველა იმ სახელმწიფომ მიიღო მონაწილეობა, რომლებსაც ჩემ მიერ ჩამოთვლილი ტერიტორიები დღემდე მიტაცებული აქვთ.**

— უფრო მეტიც, 1995 წლის 29 აგვისტოს მიღებულ კონსტიტუციაში შევარდნაძემ საგანგებოდ ჩააწერინა ასეთი რამ — **საქართველოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობითო!** ანუ შევარდნაძის საქართველო 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე კი არა, საბჭოთა საქართველოს სამართალმემკვიდრეა!!! შესაბამისად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, **ზვიად გამსახურდიას შემდეგ საქართველოს არცერთი ხელისუფლება არ ზეიმობს ნამდვილი თავისუფლების დღეს — 9 აპრილს და ზეიმობენ 26 მაისს, რაც შეცდომაა!** სიმართლე უნდა ითქვას — არც შევარდნაძე, არც სააკაშვილი და არც დღევანდელი ხელისუფლება 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტს არ აღიარებენ!

**— თქვენ წინა საგაზეთო საუბარში ბრძანეთ — მოსკოვიდან საქართველოში მოვიდა დირექტივა, რომ გამსახურდიასთვის 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ხელი არ შეეშალათ! რა პოზიცია ჰქონდა ამერიკას გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლასთან დაკავშირებით?**

— ამერიკის კონგრესსა და სენატში ზვიად გამსახურდიას სახელი ხშირად ისმოდა. ამერიკას სხვა ალტერნატივა არც ჰქონდა და ისიც გამსახურდიას უჭერდა მხარს, მაგრამ ვაშინგტონისთვის უცნობი იყო პასუხი მთავარ კითხვაზე — **ვისი იქნებოდა ხელისუფლებაში მოსული და გაპრეზიდენტებული გამსახურდია?** ხაზგასმით ვაცხადებ: **ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლა ამერიკის შეერთებული შტატების დასტურისა და თანხმობის გარეშე არ მომხდარა, მაგრამ ზვიადმა ვაშინგტონის იმედები არ გაამართლა და 1991 წლის 31 მარტს საქართველოში სიტუაციის დასაზვერად ჩამოსულმა ყოფილმა პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა თეთრ სახლში საზარელი ამბავი ჩაიტანა — „გამსახურდია ჩვენი არ არის!“**

ამერიკელებს აბსოლუტურად არ აინტერესებდათ და არც დღეს აინტერესებთ საქართველოს უძველესი წარსული და მისი უმდიდრესი ქრისტიანული კულტურა თუ სულიერი მისია, ამერიკას აინტერესებდა და აინტერესებს, ვისი მორჩილი იქნება საქართველოს ხელისუფლება! სხვათაშორის, იმ დირექტივის უკან, რომელიც კრემლიდან საქართველოში გამოგზავნეს — გამსახურდიას 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ხელი არ შეუშალოთო! — სინამდვილეში სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები იდ-

## „ოთარ მეღვინეთუხუცესმა მარჯანიშვილის თეატრი და კინოსტუდია იარაღის საწყობად აქცია!“

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



თუკი რუსეთმა დაინახა, რომ **დასავლეთის გარკვეულმა ძალებმა საქართველოზე ერთპიროვნული და უპირობო ძალაუფლება მოიპოვეს,** შესაძლოა, მათი საოკუპაციო ზრახვები ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო გაიზარდოს. **ეს ომთან გვაახლოებს** და, ამ შემთხვევაში, ჩვენ დავკარგავთ არა უფრო მეტ ტერიტორიებს, არამედ, მთლიანად საქართველოს.

„აიპრესი“

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი ეპისკოპოსი*



ხელისუფლებას უნდა გაეკეთებინა ასე — **მხოლოდ სია შეედგინათ იმათი, აგენტსაც ნუ დაარქმევდნენ, სია, თუ ვინ ფინანსდება...** ადრე თუ გვიან მოგვიწევს მაგ კანონის მიღება, თუ გვინდა, ცივილიზებული მსოფლიოს წევრი გავხდეთ.

„ახალი თაობა“

**სოსო ცინცაძე**
*პოლიტოლოგი*



ევროკავშირი რუსეთს ძალას დაანახებს და **სტატუსს მოგვცემს.** ევროკავშირი არ არის საქველმოქმედო ორგანიზაცია. **14 მილიარდს,** რომელიც კანდიდატი ქვეყნებისთვის არის განკუთვნილი, **ისე არ მოგვცემს.** მეტი ვალდებულება ექნება სახელმწიფოს.

„ახალი თაობა“

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი*



უკრაინის კონფლიქტი თუ არ მოგვარდება, **მე დავასრულებ 24 საათში, პუტინთან და ზელენსკისთან** ძალიან მარტივი მოლაპარაკებები იქნება. ეს იდიოტები რასაც აკეთებენ, **შესაძლოა, მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს, ბირთვული ომი,** რასთან შედარებითაც პირველი და მეორე მსოფლიო ომები თამაშად გამოჩნდება.

„ფოქს ნიუსი“

გა, რომელიც იმ პერიოდში თავისი აგენტურის — **გორბაჩოვის, შევარდნაძისა და იაკოვლევის** მეშვეობით კრემლს მთლიანად აკონტროლებდა.

**— თუ ამერიკის თავდაპირველი სურვილი იყო ზვიადის ხელისუფლებაში მოსვლა, მაშინ შევარდნაძე „მხედრიონს“ რატომ ქმნიდა და კრიმინალებს რატომ აძლიერებდა?**

— შევარდნაძე თავის საქმეს იკეთებდა, თავისი კარიერის უსაფრთხოებისთვის იღვწოდა... არსებობს უტყუარი დოკუმენტები იმის შესახებ, რომ საერთაშორისო არენაზე ზვიად გამსახურდიასთვის „დიქტატორის“, „სადამ ჰუსეინისა“ და „ჩაუშესკუს“ ყალბი იმიჯის შესაქმნელად სწორედ შევარდნაძე ირჯებოდა. ამ საქმეში მან უდიდესი როლი ითამაშა და თავისი გავლენები და პირადი კავშირები ბოლომდე აამოქმედა, რათა საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ როგორც დასავლეთში, ისე რუსეთში ცილისმწამებლური და უბინძურესი კამპანია გაჩაღებულიყო. ამ ყველაფრის უკან იდგნენ სწორედ **ედუარდ შევარდნაძე** და მისი მეგობარი, ამერიკის სახელმწიფო მდივანი **ჯეიმს ბეიკერი.** შეგახსენებთ, რომ ბეიკერი პირადად იყო შევარდნაძისგან დავალებული...

**— რაში იყო დავალებული?**

— დავალებული იყო იმაში, რომ **სწორედ გორბაჩოვმა და შევარდნაძემ შეასრულეს ამერიკელების დირექტივები და საბჭოთა კავშირი დაშალეს!** ერთი რამეც არ დაგვავიწყდეს — შევარდნაძეს რევოლუციური შტაბი მოსკოვში ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა შექმნილი, ვიდრე ზვიად გამსახურდია ხელისუფლებაში მოვიდოდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **შევარდნაძეს იმედი ჰქონდა, რომ სახელმწიფოს მართვის საქმეში გამოუცდელ ზვიად გამსახურდიასა და მის მთავრობას თავად ქართველი ხალხი გარეკავდა და სამარცხვინოდ დაამხობდა,** მაგრამ ზვიადი და მისი ხელისუფლება საოცარ სიცოცხლისუნარიანობას ამჟღავნებდნენ. ეს რომ არ მოხდა და ხელისუფლება არ ჩამოიშალა, მაშინ შევარდნაძემ სწორედ **ბეიკერისა და ბუშის თანხმობით** მოაწყო სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალება, რაშიც რუსეთის რეგულარული არმიის სამხედრო შენაერთებმა და ამიერკავკასიის შტაბმა მთავარი დამკვრელი ძალის ფუნქცია შეასრულეს! აი, მაგალითად, ცნობილია, როგორც კი თბილისში გადატრიალება დაიწყო, 1991 წლის 22 დეკემბერს, აწ განსვენებული **ვიქტორ დომუხოვსკი** შეხვდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილეს, გენერალ-ლეიტენანტ **სუფიან ბეპაევს,** რომელსაც აცნობა, რომ მთავრობის სასახლეს უტევდნენ რუსი სამხედროების მიერ შეგულიანებული კრიმინალები. გენერალს წარუდგინეს ბრძოლაში რუსი ჯარისკაცების მონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულებებიც... გენერალმა ბეპაევმა **დომუხოვსკის** ღიმილით უთხრა — **ვიცი, რომ კრიმინალები გიტევენ, მაგრამ მე ვასრულებ ჩემი მთავარსარდლის ბორის ელცინის ბრძანებას.** დაელაპარაკეთ ელცინს! მე არ ვარ თქვენი სამართლიანი პრეტენზიების ადრესატი! ცხადია, ეს ყველაფერი შევარდნაძის ქვაბში იხარშებოდა და მის გარეშე არაფერი მომხდარა!




## „ზვიად გამსახურდიას შემდეგ საქართველოს არცერთი ხელისუფლება არ ზეიმობს ნამდვილი თავისუფლების დღეს – 9 აპრილს და ზეიმობენ 26 მაისს, რაც შეცდომაა!“

**— ზვიად გამსახურდიას აბრალებენ, თითქოს მან ერი გახლიჩა და კომუნისტების მიმართ საზოგადოებაში ზიზღი გააჩინა!**

— ეს ტყუილია! აი, მაგალითად, ცნობილი აკადემიკოსი **სიმონ ხეჩინაშვილი** კომუნისტი იყო, მაგრამ ზვიად გამსახურდიას სწორედ მისი მისამართით აქვს ნათქვამი — **ბატონი ხეჩინაშვილი კომუნისტია, მაგრამ ასეთი კადრი და ასეთი პროფესიონალი რატომ არ უნდა გამოვიყენოთო?** ზვიად გამსახურდია ერსა და ბერს მოუწოდებდა — **ძმები ვიყოთ, შევრიგდეთო!** მაგრამ ეს ძმობა და შერიგება შევარდნაძის გეგმებში არ შედიოდა... ეს არ შედიოდა იმ მოსყიდული და გასვრილი ინტელიგენციის გეგმებშიც, რომელსაც შევარდნაძე თავის ჭკუაზე ატრიალებდა. დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ აკადემიკოსებმა — **თამაზ გამყრელიძემ და მარიკა ლორთქიფანიძემ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობაზე ზვიად გამსახურდიას უარი იმიტომ უთხრეს, რომ სწორედ შევარდნაძისგან იყვნენ გაფრთხილებული! **რეზი თვარაძეზე** ამას ვერ ვიტყვი... იგი ეროვნული და პატიოსანი კაცი იყო და, სხვათაშორის, დიდად არც შევარდნაძე ეხატებოდა გულზე.

**— გამსახურდიას მიაწერენ ასეთ ლოზუნგს — „საქართველო ქართველებისთვის!“ სად თქვა ეს ზვიად გამსახურდიამ?**

— ეს არის ცილისწამება! **მსგავსი რამ ზვიად გამსახურდიას არსად უთქვამს, ეს ფრაზა ეკუთვნის გიორგი ჭანტურიას, რომელიც თავიდან ბოლომდე იმართებოდა შევარდნაძის მიერ.** ლოზუნგი — **„საქართველო ქართველებისთვის“** გიორგი ჭანტურიას ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას პროგრამაში ეწერა. ზვიად გამსახურდიას ეს პროფაშისტური ლოზუნგი მიაწებეს ზუსტად ისე, როგორც გადატრიალების დღეებში დააბრალეს — ზვიადი გაიქცა, 700 კილოგრამი ოქრო გაიტაცა და თბილისის ზოოპარკიდან ფარშევანგებიც წაიყვანაო!

ეს ცილისწამების მანქანა, რომელსაც შევარდნაძე აფინანსებდა, მუშაობდა და დღემდე მუშაობს... უფრო მეტიც, 1991 წლის 26 მაისს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დღეს, გიორგი ჭანტურიას ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ზვიად გამსახურდიას ბრალი დასდო სამშობლოს ღალატში. ამ სამარცხვინო ბრალდებას ხელს აწერენ: **გიორგი ჭანტურია, გურამ ჩახვაძე, ირინა სარიშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, ვახტანგ ტალახაძე, ვანო ხუხუნაიშვილი, დავით კვარაცხელია, ირაკლი ქადაგიშვილი, ჭყოიძე, გონაშვილი, დუმბაძე.** პარალელურად **ჯაბა იოსელიანმა** ოპერის ბაღში კარავი დასცა, რომელსაც მხარდაჭერა გამოუცხადეს **მამა-შვილმა გაბაშვილებმა, ვახუშტი კოტეტიშვილმა, მამუკა არეშიძემ, ვალერიან ადვაძემ, აკაკი ბაქრაძემ, თამაზ კვაჭანტირაძემ, გურამ ფანჯიკიძემ, ნოდარ ლომოურმა, ოთარ ლითანიშვილმა, გურამ თევზაძემ, ლევან ღვინჯილიამ, რომან მიმინოშვილმა, იზა ორჯონიკიძემ, კობა იმედაშვილმა, გიგა და მარიკა ლორთქიფანიძეებმა, რისმაგ გორდეზიანმა, მზექალა შანიძემ, გოგა ხაინდრავამ, დავით მჭედლურმა, გურამ გეგეშიძემ, ციალა არდაშელიამ, თორიამ** და სხვებმა...

ცნობილი ქართველი მწერლებისა და პოეტების ძალისხმევით, დაფუძნდა **საზოგადოება „თბილისელი“,** რომელიც სულ მალე გარდაიქმნა გამსახურდიას წინააღმდეგ მებრძოლთა შეირაღებულ დაჯგუფებად. „თბილისელმა“ აქტიური მონაწილეობა მიიღო ეროვნული ხელისუფლების დამხობაში. **საზოგადოება „თბილისელი“ ავტომატებით მარაგდებოდა „რუსთაველის საზოგადოებიდან“, რომელსაც თენგიზ სიგუა და ცეკას მიერ დანიშნული აკაკი ბაქრაძე ხელმძღვანელობდნენ.** თავის მხრივ, სიგუას პირდაპირი კავშირი ჰქონდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან.

**— მოკლედ, თბილისსა და დანარჩენ საქართველოში ზვიად გამსახურდიას დასამხობად წინააღმდეგობის სხვადასხვა კერა შეიქმნა?**

— ზუსტად! ერთი კერა იყო თბილისის ზღვაზე, მეორე — ოპერის ბაღში, მესამე — უნივერსიტეტში, მეოთხე — „თბილისელი“, მეხუთე — ტელევიზია, მაგრამ ყველაზე მთავარი და გავლენიანი გახლდათ მეექვსე კერა — **კინოსტუდია,** რომელსაც წარმოადგენდნენ: **რეზო ჩხეიძე, ძმები შენგელაიები, ოთარ მელვინეთუხუცესი, თემურ ბაბლუანი, ლანა ღოღობერიძე, ნოდარ მგალობლიშვილი** და საფრანგეთში მოღვაწე **ოთარ იოსელიანი.**

**ოთარ მელვინეთუხუცესმა** მარჯანიშვილის თეატრი და კინოსტუდია იარაღის საწყობად აქცია... შეიარაღებულმა პუტჩისტებმა, რომლებიც ჯერ ხელისუფლებაში არც იყვნენ მოსული, დაიწყეს საშინელი რეპრესიები. კერძოდ, **იზა გიგოშვილი, მაია თომაძე, ლია ელიავა, ლატავრა ფოჩიანი, თათია ხაინდრავა, მიხეილ გელოვანი, მედეა ფანიაშვილი, მანანა კრავეიშვილი, ლალი ნიკოლაძე, იშხნელი, კიკნაძე, ჯონდო ბარდაველიძე** სამსახურებიდან გამოყარეს... დათო ტურაშვილი ყარყარაშვილს ახლდა სამეგრელოში და სწორედ მას ეკუთვნის ფრაზა — **აფხაზებს აქვთ უფლება, გააკეთონ არჩევანი დამოუკიდებლობაზე!** კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ **ტურაშვილმა ეს ყველაფერი მოგვიანებით მოინანია...** ვახუშტი კოტეტიშვილმა შეიარაღებულ პუტჩისტებს თავისი სახლი დაუთმო, საიდანაც მთავრობის სასახლეს ტყვიებს უშენდნენ! საპასუხო სროლის შედეგად მისი სახლი დაიწვა!





## „აკადემიკოსებმა – თამაზ გამყრელიძემ და მარიკა ლორთქიფანიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობაზე ზვიად გამსახურდიას უარი იმიტომ უთხრეს, რომ შევარდნაძისგან იყვნენ გაფრთხილებული!“

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**მაკა გველესიანი**

*ყოფილი მოსამართლე*



მინდა, განვუცხადო **„TV პირველის“ ჟურნალისტებს,** მიუხედავად მათი დიდი სურვილისა, **ჩემი მხრიდან ადგილი არ ჰქონდა არც ქვეყნიდან გაქცევას და არც უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების მიმართ.** ჩემთვის მუდმივი დედობის სტატუსია, მოსამართლეობა კი დროებითი თანამდებობა (რაც არ უნდა მას კანონი უვადოს უწოდებდეს). ამიტომ მე, **როგორც მშობელმა, ჩემი შვილის ჯანმრთელობიდან გამომდინარე, მივიღე ეს გადაწყვეტილება,** რომელსაც, ჩემი მოსაზრებით, ყველა მშობელი მიიღებდა. სიუჟეტის ავტორებს ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება სხვა პრიორიტეტები ჰქონდეთ, ეს მათი უფლებაა, მაგრამ **ეს არ აძლევს არავის უფლებას, ჩაერიოს ჩემი და ჩემი ოჯახის უფლებებში.**

„ფეისბუქი“

**ნინო ნიკოლეიშვილი**

*„იმედის“ ჟურნალისტი*



გაგახსენებთ, **როგორი შეტევა იყო 2007 წლის დარბევის შემდეგ „იმედზე“.** ადამიანებს სთავაზობდნენ ძალიან დიდი რაოდენობით თანხას და მიდიოდა ამ ჟურნალისტების გადაბირება სხვადასხვა ტელევიზიაში. თუ თანხით არა, **დაშინებით, ოჯახის წევრის მიმართ შურისძიებით, ცილისწამების ხეში ჩასმით.** ახლა ამის ბერკეტი არა აქვთ და მიდის ასეთი **ბულინგით, დამუნათებით შეტევა „იმედის“ თანამშრომლებზე.**

„იმედინიუსი“

**ზვიად ტომარაძე**

*ორგანიზაცია „ერი და სახელმწიფოს“ დამფუძნებელი*



ჩვენს რეგიონში **ჯარის არყოლა** სრული კატასტროფაა. ჩვენს რეგიონში **ჯარის გარეშე** გაგვიჭირდება არსებობა. ჩვენმა ყველა მეზობელმა უნდა იცოდეს, თუ გაუჩნდება საქართველოზე თავდასხმის სურვილი, ეს მოუწევს ძალიან დიდი ზარალის ფასად. ასეთი ძლიერი არმია უნდა გვყავდეს. **ჯარი გვჭირდება თავდაცვისთვის და არა თავდასხმისთვის.**

„ალია“

**მანანა მანჯგალაძე**

*მიხეილ სააკაშვილის ყოფილი პრესსპიკერი*



**შემოვლობოთ ეს პარლამენტი, როგორც ზოოპარკი.** ეგზოტიკურები კი არიან. ასეთი **ტვინგაცლილი, ბილწი და გონებაშეზღუდული პარლამენტი** არც გვყოლია და არც გვეყოლება.

„ალია“

# რომელი წამალი რომელთან ერთად არ უნდა მივიღოთ?

***სამედიცინო პრეპარატების ზედდება, ანუ ორი ან მეტი სხვადასხვა დანიშნულების მქონე წამლის ერთდროულად მიღება ხშირად სერიოზული საფრთხის შემცველია. ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი სწორედ ამ საშიშროების შესახებ გვაფრთხილებს და მოგვიწოდებს, თითოეული მედიკამენტის ინსტრუქცია ყურადღებით წავიკითხოთ:***






## კახა საბახტარიშვილი:

## ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატების, ანუ კონტრაცეპტივების პარალელურად ანტიბიოტიკების მიღება არ შეიძლება!

— ხშირია შემთხვევა, როცა ერთსა და იმავე ადამიანს ერთდროულად რამდენიმე ქრონიკული დაავადება აწუხებს და მათ სამკურნალოდ სხვადასხვა დანიშნულების ფარმაცევტულ პრეპარატებს პარალელურ რეჟიმში ღებულობს. მაგალითად, წნევიანი პაციენტი, რომელიც არტერიული წნევის დამწევ ან დამარეგულირებელ წამლებს მოიხმარს, ამავდროულად, შესაძლოა, სვამდეს ღვიძლის, თირკმლის, სახსრების ან სხვა დანიშნულების პრეპარატებს. ასევე გაზაფხულზე ხშირია ალერგიები, რის გამოც უამრავი ადამიანი ე.წ. ანტიჰისტამინური პრეპარატებით მკურნალობს, მაგრამ თუ ასეთი პაციენტი გაცივდა, ცხადია, აუცილებლად მოიხმარს გაციების საწინააღმდეგო წამლებსაც. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ **პარალელურ რეჟიმში სხვადასხვა მედიკამენტის მიღება პოტენციურად დიდი საფრთხის მატარებელია და გამოცდილმა ექიმმა, როცა თავისი სპეციალობიდან გამომდინარე, პაციენტს სამკურნალოდ წამალს უნიშნავს, ზუსტად უნდა იცოდეს, რომელ სხვა პრეპარატებს ღებულობს ავადმყოფი.**

**— ბატონო კახა, უკვე ახსენეთ და ბარემ აქვე გკითხავთ — რატომ არის სახიფათო ალერგიისა და გაციების საწინააღმდეგო პრეპარატების ერთდროულად მიღება?**

— ალერგიის საწინააღმდეგო პრეპარატები ანტიჰისტამინურ მედიკამენტებს მიეკუთვნება. ჰისტამინი არის ნივთიერება, რომლის ზედმეტი გამოყოფაც იწვევს ქავილს, სიწითლეს, ცრემლდენას, ცემინებას, გამონაყარს, ხველას და ა.შ. ანტიჰისტამინური პრეპარატები ჰისტამინის გამოყოფას ბლოკავს, რითიც ზემოხსენებული ალერგიის სიმპტომები იხსნება. რაც შეეხება ხველისა და გაციების საწინააღმდეგო პრეპარატებს, ის უმრავლეს შემთხვევაში სამი კომპონენტისაგან შედგება. პირველი გახლავთ **პარაცეტამოლი,** რომელიც დაბლა სწევს ტემპერატურას და ხსნის თავის ტკივილს. მეორე კომპონენტია **სისხლძარღვების შემავიწროებელი ნაერთი,** რომელიც ხელს უშლის ან ამცირებს ცხვირიდან ლორწოს გამოყოფას, ხოლო მესამეა სწორედ **ანტიჰისტამინური კომპონენტი,** რომელიც ამცირებს გაციების დროს მიმდინარე ანთებით რეაქციას — ცემინებას, ცრემლდენას, ხველას და ა.შ.

როდესაც ალერგიის საწინააღმდეგო ანტიჰისტამინურ და გაციების ან ხველის საწინააღმდეგო პრეპარატებს ერთდროულად მივიღებთ, ცხადია, ხდება ანტიჰისტამინური კომპონენტის ზედოზირება, რაც იწვევს მოთენთილობასა და მთელი დღის განმავლობაში ძილიანობას. დიდ ბრიტანეთში გაზაფხულზე, როგორც წესი, მკვეთრად მატულობდა ავარიებით გარდაცვლილი მძღოლების რიცხვი. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ის მძღოლები, რომლებიც ალერგიის საწინააღმდეგო პრეპარატებთან ერთად გაციებასაც ებრძოდნენ და შესაბამის მედიკამენტებს ღებულობდნენ, საჭესთან ხშირად იძინებდნენ, რაც ავარიის მიზეზი ხდებოდა. აქედან გამომდინარე გირჩევთ:

**თუ ალერგია გაწუხებთ და თან გაციებულიც ხართ, ნუ მიიღებთ ერთდროულად ანტიჰისტამინურ და გაციების საწინააღმდეგო პრეპარატებს და ასეთ მდგომარეობაში ნუ მიუჯდებით საჭეს!**

**— ქოლესტერინის დასაწევად ბევრი ღებულობს ე.წ. სტატინებს. რომელ პრეპარატთან არ შეიძლება მათი მიღება?**

— სტატინები რევოლუციური პრეპარატებია, რომლებიც დაბლა სწევენ ცუდი ქოლესტერინის დონეს, აფერხებენ ათეროსკლეროზულ პროცესებს და ორგანიზმს ინფარქტისა და ინსულტისაგან იცავენ. სტატინებს ანეიტრალებს ღვიძლის ფერმენტები. ადამიანს, რომელიც სტატინებს მუდმივად ღებულობს და პარალელურად სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატების, მაგალითად, **ფლუკონაზოლის** მოხმარებას დაიწყებს, ღვიძლის ფერმენტები დაეთრგუნება, სტატინების რაოდენობა მკვეთრად მოიმატებს და შესაძლოა, კუნთების დაზიანება-დაშლა, ანუ რაბდომიოლიზი განუვითარდეს! ამიტომაც ყველას ვურჩევ: **თუ სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატის მიღება აუცილებელია** (ის ისედაც ხანმოკლე კურსით ინიშნება), მისი მოხმარების დროს სტატინების მიღება შევწყვიტოთ!

**— წარმოუდგენლად იზრდება ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების მოხმარება. რომელ მედიკამენტთან ერთად არ შეიძლება მათი მიღება?**

— ისეთი ტკივილგამაყუჩებლები, როგორიცაა **პარაცეტამოლი, იბუპროფენი, დიკლოფენაკი, ვოლტარენი, ანალგინი** და ა.შ. მართლაც, ფართოდ გამოიყენება. თუ ზემოხსენებული პრეპარატების პარალელურად ადამიანი ანტიდეპრესანტებსაც ღებულობს, ამან შესაძლოა, გამოიწვიოს გუ-







## „სისხლის გამათხიერებელ პრეპარატებთან ერთად ტკივილგამაყუჩებელი ასპირინის ან კარდიომაგნილის მიღება სასიკვდილოდ სახიფათოა!"

## კვირგვინოსნები

**მარინა ენდელაძე**
*ინფექციური საავადმყოფოს ბოქსირებული განყოფილების ხელმძღვანელი*



ახლაც **პოსტკოვიდურ პერიოდში, ისეთი დაავადებები იჩენს თავს, რომლებიც შეიძლებოდა სულ არ გამოვლენილიყო** ან მოგვიანებით ჩამოყალიბებულიყო. დღემდე ბევრი მოდის ჩვენთან მსგავსი ჩივილებით. არ მინდა, მოსახლეობა შევაშინო, მაგრამ ასეა.

„სარკე"

**ლადო კახაძე**
*პარლამენტარი*



თბილისის „დინამომ" „სპარტაკთან" 4:2 წააგო. წვიმიანი ამინდი იყო, სტადიონზე ვიჯექი, **მსაჯმა ორი გოლი არ ჩაგვითვალა და მაშინ რომ მე ჩემი ემოციის რეალიზაცია შემძლებოდა, შეიძლება, სტადიონზე გადავსულიყავი და ძალიან დიდი ცოდვა ჩამედინა.** ჩემს თავში ჩავკალი ყველაფერი, მაგრამ დღესაც ძაღლის ნაკბენივით მახსოვს.

„თბილისელები"

**აჩი ფურცელაძე**
*მომღერალი*



აქ რომ ჩამოვედი, **მიშამ „დასასვენებლად" გამიშვა „სანატორიუმში".** ეს შლეიფი ყოველთვის ცუდ ბეგრაუნდად მოგყვება ადამიანს. **ციხე ყოველთვის უსიამოვნო ლაქად რჩება ცხოვრებაში.**

„თბილისელები"

**თაკო აბაშიძე**
*მსახიობი*



**ხუთჯერ მომიტაცეს.** მაშინ ამხელა არ ვიყავი, ადვილად დასაძრავი ვიყავი.

„თბილისელები"

**გიორგი ყიფშიძე**
*მსახიობი*



თავიდანვე შთამაგონეს, რომ **სცენა არის მდედრობითი სქესის და თუ ოდესმე უღალატე, არ არსებობს, სამაგიეროს არ გადაგიხადოს.** რაღაცნაირად ვეფერები ხოლმე — აქა ვარ და მიყვარხარ, არ გამწირო-მეთქი.

„სარკე"

# „თუ ვეროშპირონსა და წნევის იმ მარეგულირებელ პრეპარატებს, რომლებიც თავიანთ დასახელებაში პრილს შეიცავენ, ერთად გამოვიყენებთ, ორგანიზმში კალიუმის კონცენტრაცია მკვეთრად გაიზრდება, რამაც შესაძლოა, ჰიპერკალიემია გამოიწვიოს და გული გაჩერდეს!“










ლისრევა, ტაქიკარდია და ქოშინი.

უკანასკნელ ხანს ჰოლანდიელმა ექიმებმა დაადგინეს, რომ **არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატებისა და ანტიდეპრესანტების ერთობლივმა მიღებამ კუჭ-ნაწლავის ტრაქტში შესაძლოა, ძლიერი სისხლდენა გამოიწვიოს!**

უამრავი ადამიანი მოიხმარს **კარდიოასპირინს, ანუ იმავე კარდიომაგნილს,** რომელიც ბლოკავს თრომბოქსინის პროდუქციას და ხელს უშლის თრომბის წარმოქმნას. კარდიომაგნილი რევოლუციური პრეპარატია და მისმა ფართოდ გამოყენებამ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შედეგად გარდაცვლილთა რიცხვი 40-50 პროცენტით შეამცირა. უფრო მეტიც, ბოლო კვლევებით, კარდიომაგნილს კიბოს საწინააღმდეგო თვისებებიც აღმოაჩნდა. მაგრამ,

## თუ კარდიომაგნილს არასტეროიდულ, ტკივილ-გამაყუჩებელ და ანთების საწინააღმდეგო პრეპარატებთან – იბუპროფენთან, ვოლტარენთან, დიკლოფენაკთან ერთად მივიღებთ, მაშინ შესაძლოა, კუჭის ლორწოვანი გარსი გაღიზიანდეს და განვითარდეს წყლული შემდგომი სისხლდენით.

საგულისხმოა ისიც, რომ ასპირინის ზედდებით ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების ეფექტი მცირდება. თუ ტკივილგამაყუჩებლის გამოყენება აუცილებელია, მაშინ კარდიომაგნილთან ერთად **პარაცეტამოლი** მივიღოთ, მაგრამ ეს უნდა მოხდეს აუცილებლად ჭამის და კარდიომაგნილის მიღებიდან 2-3 საათის გავლის შემდეგ.

ტკივილგამაყუჩებლებთან ერთად ასევე საფრთხის შემცველია საძილე და დამამშვიდებელი საშუალებების მიღებაც. ორივეს ერთად სედატიური, ანუ დამამშვიდებელი მოქმედებაც ახასიათებს და ერთობლივი გამოყენებისას მათი კონცენტრაცია იზრდება, რაც შესაძლოა, ტოქსიკურ ეფექტშიც გადაიზარდოს. ამ დროს მოსალოდნელია სუნთქვის სიხშირისა და გულის შეკუმშვის მკვეთრად შემცირება, რამაც გულის გაჩერებაც კი შეიძლება გამოიწვიოს.

**— გამიგია, რომ კუჭის აშლილობის დროს ხშირად იყენებენ პრეპარატ იმოდიუმს, რომელიც, თურმე, ძალიან საფრთხილო მედიკამენტია... რასთან ერთად არ შეიძლება მისი მიღება?**

— ფაღარათის საწინააღმდეგო **იმოდიუმი,** ანუ **ლოპერამიდი** არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, თუ მას სწორად გამოვიყენებთ. იმოდიუმი ამცირებს კუჭ-ნაწლავის მოტორიკას და აწყნარებს ნაწლავს, მაგრამ მისი გამოყენება არ შეიძლება, თუ კუჭის აშლილობა გამოწვეულია ნაწლავური ინფექციებით, რაც ძალიან ხშირია ბავშვებში... **თუ იმოდიუმის გამოყენებით შევეცდებით, ბავშვს ფაღარათი შევუჩეროთ, რომელიც ნაწლავური ინფექციის შედეგია, მაშინ მიკრობები გარეთ გამოყოფის ნაცვლად, ნაწლავებში ჩაგუბდებიან, კიდევ უფრო გამრავლდებიან და უარეს შედეგებს გამოიწვევენ!** იმოდიუმის მიღება არც მაშინ შეიძლება, როცა ადამიანი კალციუმის შემცველ პრეპარატებს მოიხმარს. ასეთი ძირითადად ორი პრეპარატია — ერთი გახლავთ კალციუმის ნაერთი D ვიტამინთან, ხოლო მეორე — გულწვის, ანუ „იჟოგის“ სამკურნალო ის პრეპარატები, რომლებიც კალციუმს შეიცავენ. საერთოდ, კალციუმს ნაწლავების შემკვრელი მოქმედება აქვს და, თუ იმოდიუმისა და კალციუმის შემცველ პრეპარატებს ერთად გამოვიყენებთ, მაშინ ადამიანს შესაძლოა, ძლიერი შეკრულობა განუვითარდეს, რომლის მკურნალობაც რთულია.

**— უამრავი ქალი იყენებს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს. რომელ პრეპარატებთან ერთად არ შეიძლება მათი მიღება?**

— არსებობს მითი, თითქოს ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატები მავნეა. სინამდვილეში ისინი ქალურ ციკლს არეგულირებენ, კანზე გამონაყარს ებრძვიან და, რაც მთავარია, მკერდისა და საკვერცხის კიბოს განვითარების რისკს ამცირებენ. **ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატების, ანუ კონტრაცეპტივების პარალელურად ანტიბიოტიკების მიღება არ შეიძლება!** ანტიბიოტიკი 1928 წელს **ალექსანდრე ფლემინგმა** აღმოაჩინა, რაშიც მან სავსებით დამსახურებულად ნობელის პრემია მიიღო. ეს ის ფლემინგია, რომელმაც ბავშვობაში **უინსტონ ჩერჩილი** ჭაობში დახრჩობას გადაარჩინა. ჩერჩილის მამამ მადლიერების ნიშნად ფლემინგების ოჯახს პირობა მისცა, რომ პატარა ალექსანდრეს, რომელიც ბავშვობიდანვე ნიჭიერი, მაგრამ ღარიბი ოჯახიშვილი იყო, კარგ განათლებას მისცემდა და ამ მიზნით ხარჯებს არ დაიშურებდა. ჩერჩილის მამამ ფლემინგებს დანაპირები შეუსრულა და მსოფლიომ ასე მიიღო უდიდესი მეცნიერი **ალექსანდრე ფლემინგი,** რომლის მიერ აღმოჩენილმა ანტიბიოტიკმა — **პენიცილინმა** დედამიწაზე ათეულობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. სწორედ ფლემინგის დამსახურებაა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული დემოგრაფიული აფეთქება, როცა დედამიწის მოსახლეობა მკვეთრად გაიზარდა და ადამიანები აღარ იღუპებოდნენ პნევმონიის, ტუბერკულოზის, მენინგიტისა და სხვა ინფექციური დაავადებებისგან. მოკლედ, ანტიბიოტიკი უდიდესი აღმოჩენაა, მაგრამ, თუ ქალი მას კონტრაცეპტივთან ერთად მიიღებს, მაშინ ანტიბიოტიკის გავლენით სისხლში კონტრაცეპტივის კონცენტრაცია შემცირდება, თავის ფუნქციას ვეღარ შეასრულებს და ქალი შესაძლოა, დაფეხმძიმდეს!

## „ალექსანდრე ფლემინგის მიერ აღმოჩენილმა ანტიბიოტიკმა – პენიცილინმა დედამიწაზე ათეულობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. ეს ის ფლემინგია, რომელმაც ბავშვობაში უინსტონ ჩერჩილი ჭაობში დახრჩობას გადაარჩინა!“


უინსტონ ჩერჩილი





ალექსანდრე ფლემინგი

**— გულ-სისხლძარღვთა გახშირებული დაავადებების ფონზე უამრავი ადამიანი მოიხმარს წნევის დამარეგულირებელ პრეპარატებს. რასთან ერთად არ შეიძლება მათი მიღება?**

— წნევის მარეგულირებელი პრეპარატების დიდი უმრავლესობა თავის შემადგენლობაში შეიცავს ისეთ მედიკამენტებს, რომელთა სახელწოდებაც **პრილით** ბოლოვდება. მაგალითად, ასეთია — **კაპტოპრილი, ენაპრილი, ნოლიპრილი** და ა.შ. პრეპარატების ეს ჯგუფი დაბლა სწევს წნევას და ხელს უშლის ორგანიზმიდან კალიუმის გამოდევნას, რომელიც გულის კუნთისთვის აუცილებელია. არის ასეთი პრეპარატი, ფართოდ გავრცელებული **ვეროშპირონი,** რომელსაც ხშირად იყენებენ გულის უკმარისობის დროს. ეს პრეპარატი, ამავდროულად, ძლიერი შარდმდენიც არის და ამიტომ შეშუპების საწინააღმდეგოდაც გამოიყენება... მაგრამ **პრილის ჯგუფის** პრეპარატების მსგავსად **ვეროშპირონიც** კალიუმის შემაკავებელია და ორგანიზმიდან მის გამოყოფას უშლის ხელს. **თუ ვეროშპირონსა და წნევის იმ მარეგულირებელ პრეპარატებს, რომლებიც თავიანთ დასახელებაში პრილს შეიცავენ, ერთად გამოვიყენებთ, ორგანიზმში კალიუმის კონცენტრაცია მკვეთრად გაიზრდება, რამაც შესაძლოა, ჰიპერკალიემია გამოიწვიოს და გული გაჩერდეს!**

საერთოდ, კარგად დავაკვირდეთ საგულე საშუალებების ინსტრუქციას. **თუ იქ წერია, რომ პრეპარატი ორგანიზმში კალიუმს აკავებს, მაშინ კალიუმით მდიდარი საკვების მიღებას მოვერიდოთ!** ასეთი საკვებია **ბანანი, კარტოფილი, კიტრი, ისპანახი, ოხრახუში...** გვახსოვდეს, რომ ანტიკოაგულანტებთან, ანუ სისხლის გამათხიერებელ პრეპარატებთან ერთად ტკივილგამაყუჩებელი ასპირინის ან კარდიომაგნილის მიღება სასიკვდილოდ სახიფათოა! ამ კომბინაციამ შესაძლოა, ჰემორაგიული ინსულტი ან ნაწლავებიდან მასიური სისხლდენა გამოიწვიოს.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**თემო ხაჩიაშვილი**
*არასამთავრობო ორგანიზაცია „მანდატის“ ხელმძღვანელი*



**სინთეზური ნარკოტიკების** მოხმარება ისევ მწვავე პრობლემაა. საუბარია ნარკოტიკ **„ალფა პვპ“**-ზე. სხვადასხვა დასახელებით გვხვდება ამფეტამინური ჯგუფის სინთეზური ნარკოტიკი, რომელიც **ტოქსიკურია და ერთი მოხმარებითაც კი ყალიბდება დამოკიდებულება,** ადიქცია. მას მოიხმარენ ქუჩაში, სადარბაზოებში, სკვერებში. თუმცა, კლუბებშიც მოიხმარება. ბოლო 5 წელია, ძალიან გაადვილდა მისი ყიდვა, **შემოდის რუსეთიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან.** ყიდვის სქემა იგივეა — ინტერნეტით, „ტელეგრამით“, სხვადასხვა ვებგვერდით. **მომხმარებლების ასაკი 15 წლიდან იწყება, ბევრია 16 წლის აქტიური მომხმარებელი.** უფრო მეტი ბენეფიციარი 18-19 წლის არის. მათ ნარკოტიკის მოხმარების უკვე დიდი გამოცდილება აქვთ. მოზრდილებზე არაფერს ვამბობ.

„კვირის პალიტრა“

**ნანა შონია**
*მსახიობი*



იძულებული ვარ, **როგორღაც მივაღწიო მეორე ხელფასამდე.** თუ დამატებით პროექტი, ანუ დაუგეგმავი ფული გამოჩნდა, ეს დიდი სიხარულია. **საქართველოში კიდევ გვაქვს ის ინსტიტუტი, რასაც ახლობელი ადამიანების დახმარება ჰქვია და ამით გაგვაქვს თავი.** ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რომ უკვე ისიც დიდი ბედნიერებაა, რომ თავზე ჭერი გაქვს, არ გცივა და არ გშია.

„თბილისელები“

**ნანუკა ჟორჟოლიანი**
*ტელეჟურნალისტი*



**აღარ მინდა ძლიერება, მინდა, სუსტი ქალი ვიყო.**

„თბილისელები“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

# МГИМОრჯობა,

შემდეგ არმიასა და ბოლოს, ევროინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის სამსახურში ხელმძღვანელობს **საერთაშორისო ურთიერთობებსა და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.**

მოკლედ, ამ დროიდან **ქალბატონი ЛЯКА ქალბატონ ჰელენად გარდაისახება** და რამდენიმე წელიწადში, მისივე ბიოგრაფიის თანახმად, უკვე **ევროინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილეც** ხდება. ამ პოსტს იგი 2012 წლამდე შეინარჩუნებს.

თუ დააკვირდებით, **ქალბატონ ელენეს,** მოსკოვში **ЛЯКА**-დ წოდებულს, დასავლეთში კი, **ჰელენად** აღქმულს, წლების განმავლობაში ჰქონდა წვდომა საიდუმლო ინფორმაციასთან. **ამასთან, ქალბატონი ჰელენა იმდენად ღრმა კონსპირაციის პირობებში მოღვაწეობდა, რომ არც მისი მეგობრის სანდრო გირგვლიანის მკვლელობაზე გამოუხატავს საჯარო აღშფოთება, არც რუსეთიდან ქართველების დეპორტაცია დაუგმია და, ცხადია, არც კოდორის და ახალგორის გაყიდვა-ჩაბარება გაუპროტესტებია.**

კოდორ-ახალგორის გაყიდვა-ჩაბარებაზე ცალკე უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა: 2006 და 2007 წლებში, სააკაშვილის ხელისუფლებამ სააკაშვილისვე ინიციატივით, მიიღო 4 სამართლებრივი აქტი: №4625, №572, №4735 და №296. **ამ სამართლებრივი აქტებით, თბილისის მიერ კონტროლირებადი კოდორი ზემო აფხაზეთად გამოცხადდა, ხოლო თბილისის მიერ კონტროლირებადი ახალგორი სამხრეთ ოსეთს განეკუთვნა.** სააკაშვილის რეჟიმის ამ უგუნურ გადაწყვეტილებას ბევრი აპროტესტებდა, მაგრამ არა ლЯკა-ჰელენა.

2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალში უბედურება დატრიალდა. დღესაც კი, ანუ 14 წლის შემდეგ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიკითხოთ — **რა მოხდა ცხინვალში, რატომ მოხდა და ვინ არის დამნაშავე?!** თუ გავბედავთ და ამ კითხვების დასმას დავიწყებთ, უმალ რუსეთის ჯაშუშად და ქვეყნის მოღალატედ გამოგვაცხადებენ.

**სააკაშვილ-ბოკერიების** მხარდამჭერი ტელერადიოკომპანიები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები, გამუდმებით გვარწმუნებენ, რომ აგვისტოს ომი რუსეთმა დაიწყო. ვინც ამ აზრს ბრმად არ ეთანხმება, უმალ რუსეთის ჯაშუშად და მოღალატედ ცხადდება. მეტიც, როცა ეს აზრი არ გაიზიარეს **შვეიცარიელმა დიპლომატმა ჰაიდი ტალიავინიმ და გერმანელმა დიპლომატმა ჰუბერტ კნირშმა,** სააკაშვილ-ბოკერიებმა ისინიც რუსეთის ჯაშუშებად გამოაცხადეს.

ახლა გვინდა, გაგაოცოთ — **ომი რომ რუსეთმა დაიწყო, ამას სააკაშვილ-ბოკერიები მხოლოდ თბილისში ამბობენ, ბრიუსელსა და სტრასბურგში კი, სააკაშვილიც და ბოკერიაც ღიად აღიარებენ, რომ ომი თავად დაიწყეს.**

გვინდა, წარმოგიდგინოთ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია №1633, რომლის მეხუთე მუხლში ვკითხულობთ:

> *„2008 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს სამხედრო ძალების მიერ, ცხინვალის დაბომბვის გაუფრთხილებლად დაწყებით, ესკალაცია ახალ, კერძოდ, ღია და სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების საფეხურზე გადავიდა.* ***მძიმე არტილერიისა და კასეტური ბომბების გამოყენება, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა სამოქალაქო მოსახლეობას, წარმოადგენდა სამხედრო ძალის არაპროპორციულ გამოყენებას საქართველოს მხრიდან“.***

ხოლო მეექვსე პუნქტში წერია, რომ რუსეთმა განახორციელა საპასუხო შეტევა.

საქართველოსთვის მომაკვდინებელ ამ დოკუმენტს ხელს აწერენ: **გიორგი კანდელაკი, გივი თარგამაძე, დავით დარჩიაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, გოკა გაბაშვილი.**

დააკვირდით — **სააკაშვილ-ბოკერიას რეჟიმი** ხელს აწერს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას და აღიარებს, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალში ომი თავად დაიწყო.

**ამ ომს უამრავი სიცოცხლე შეეწირა. სააკაშვილმა გაწირა მშვიდობიანი მოსახლეობა, გაწირა ქართველი სამხედროები, ბრძოლის ველზე ჯერ გაიყვანა, შემდეგ კი უბრალოდ მიატოვა ჯარისკაცები და ოფიცრები.**

**ალბათ, დამაფიქრებელია, რომ ქალბატონ ლЯკა-ჰელენას ამ ღალატისა და ტრაგედიის პერიოდში არაფერი გაუპროტესტებია!**

2008 წლის ომი გარიგება რომ იყო, ამაზე 2018 წელს ღიად ისაუბრა რუსმა ჟურნალისტმა **მაქსიმ შევჩენკომ.** მეტიც, მან მომლაპარაკებლების გვარებიც კი დაასახელა. რუსეთის მხრიდან მან **არკადი დვორკოვიჩი** დაასახელა, საქართველოს მხრიდან კი — **გიგა ბოკერია.**

**მაქსიმ შევჩენკო:**

> *„ის, რაც 2008 წელს მოხდა, იყო მოსკოვსა და თბილისში მყოფი ადამიანების გარიგების შედეგი. კერძოდ,* ***არკადი დვორკოვიჩის*** *და* ***გიგა ბოკერიას*** *გარიგების შედეგი, რომლებიც ერთმანეთს ყმაწვილობიდან იცნობენ, საჭადრაკო სფეროდან“.*

2008 წლის ომი გარიგება რომ იყო, ეს ირიბად საფრანგეთის ექს-პრეზიდენტ **ნიკოლა სარკოზის** მემუარებიდანაც ჩანს. **ნიკოლა სარკოზი** პირდაპირ წერს, რომ მეშვიდე პუნქტი სააკაშვილმა, ჩვენდა საბედისწეროდ, საკუთარი ხელით ამოშალა:

> *„სააკაშვილისთვის მიუღებელი იყო პუნქტი, რომლის მიხედვითაც, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მომავალი სტატუსი საერთაშორისო დისკუსიის საგანი უნდა გამხდარიყო“.*

ამგვარად, შვიდპუნქტიანი დოკუმენტი გადაიქცა ექვსპუნქტიან დოკუმენტად და, ფაქტობრივად, სააკაშვილმა თავად უბიძგა რუსეთს სოხუმისა და ცხინვალის აღიარებისკენ.

საერთოდ, მარცხის გამარჯვებად წარმოჩენა სააკაშვილის დანერგილი პიარ-სტრატეგიაა. 2022 წლის 16 დეკემბერს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა **კარიმ ხანმა** 2008 წლის ომის ოთხი მონაწილე, კერძოდ, 3 ოსი სამხედრო და ერთი რუსი გენერალი ადამიანების წამებამკვლელობაში დაადანაშაულა.

პროკურორ **კარიმ ხანის** დასკვნაში **ქალბა-**



**ტონმა ელენე ხოშტარიამ** ჯადოსნურად ამოიკითხა ის, რაზეც ამ დასკვნაში საუბარი საერთოდ არ არის:

> *„სამშვიდობოების ეპიზოდი და ცხინვალის ეპიზოდი — ის, რომ ამ ეპიზოდებში საქართველოს არანაირი ბრალეულობა არა აქვს, იმას ნიშნავს, რომ ომის დაწყების ის ვერსია, რომელიც რუსეთმა და „ქართულმა ოცნებამ“ ერთად შემოგვახვიეს თავს, უბრალოდ, არის დამსხვრეული“.*

ანუ კვლავ სიცრუე და კვლავ საქართველოს გამარჯვებად შეფუთული სიცრუე, სინამდვილეში კი, პროკურორ **კარიმ ხანს** რუსეთი არ დაუფიქსირებია არც მხარედ და არც ომის დამწყებად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰააგის პროკურორმა მხოლოდ ოთხი ადამიანის ბრალეულობაზე ისაუბრა.

## გავრილოვის დღე

**2019 წლის 18 ივნისს** საქართველოში 25 ქვეყნის პარლამენტარები ჩამოვიდნენ მართლმადიდებლობის საერთაშორისო ასამბლეაზე დასასწრებად. **19 ივნისს** პარლამენტის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ **ირაკლი კობახიძემ** ასამბლეის მონაწილეებს სახელმწიფო ცერემონიების სასახლეშიც უმასპინძლა. **20 ივნისს** ასამბლეის მონაწილეები საქართველოს პარლამენტში შეიკრიბნენ. გასაკვირია, რომ პარლამენტის აპარატმა ასამბლეის მუშაობისთვის პარლამენტში არსებული 8 დარბაზიდან მაინცდამაინც პლენარულ სხდომათა დარბაზი შეარჩია. ისიც გასაოცარია, რომ ასამბლეის თავმჯდომარეს — რუს დეპუტატ **სერგეი გავრილოვს** მაინცდამაინც პლენარულ სხდომათა დარბაზი და მაინცდამაინც პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი დაუთმეს.

განსაცვიფრებელია, რომ რამდენიმე წუთში **ლЯკა-ჰელენ ხოშტარია** და სააკაშვილ-ბოკერიების სხვა თანაპარტიელები დარბაზში წინასწარ დამზადებული წარწერებიანი მაისურებითა და პლაკატებით შეცვივდნენ.

**ელენე ხოშტარია: „ვინ გაბედა და შემოიყვანა აქ ოკუპანტი! სად არის გავრილოვი?“**

**ანუ ლЯკა-ჰელენამ და სააკაშვილ-ბოკერიებმა წინასწარ იცოდნენ, რომ რუს დეპუტატ სერგეი გავრილოვს მაინცდამაინც პლენარულ სხდომათა დარბაზში და მაინცდამაინც პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩასვამდნენ.**

გამაოგნებელია, რომ ამის შემდეგ **სერგეი გავრილოვი** პარლამენტიდან გაიყვანეს არა სათადარიგო გასასვლელიდან, არამედ მთავარი გასასვლელიდან, სადაც მას უეცრად აღმოცენებული და სასტიკად გაბრაზებული მომიტინგეები ელოდნენ, რომლებსაც წინასწარ მომარაგებული ჰქონდათ კვერცხიც და პომიდორიც. **და, რაც ნიშანდობლივია, ყოველივე ამის შემდეგ, სერგეი გავრილოვი სასტუმროდანაც გაიყვანეს არა სათადარიგო, არამედ მთავარი გასასვლელიდან და აქაც კვერცხისა და პომიდვრის ქარცეცხლში მოაყოლეს.**

გავრილოვის დღეს მოჰყვა ხელჩართული დაპირისპირება რუსთაველის გამზირზე და რაც მეტად სამწუხაროა, არაერთი ადამიანი ფიზიკურად დაზიანდა.

**გიორგი კასრაძე:**

> *„ეს ყველაფერი რომ კარგად დაგეგმილი პროვოკაცია იყო, მე ვფიქრობ, საქართველოში ბავშვსაც კარგად უნდა ესმოდეს. ამ პროვოკაციამ ვერანაირად ვერ დააზიანა რუსეთი, რაზეც* ***ელენე ხოშტარია*** *საუბრობდა, პირიქით — დაზარალდნენ ქართველი მეწარმეები, საქართველოს მოსახლეობა და ქართველებმა კიდევ ერთხელ გააცნობიერეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რუსული ბაზარი საქართველოს ეკონომიკისთვის. აქ დამაფიქრებელია ისიც, რომ დიდი დაშლის პროცესი სააკაშვილ-ბოკერიას გუნდში სწორედ ელენე ხოშტარიას პროვოკაციების შემდეგ დაიწყო და* ***ახლა მე მინდა, ვკითხო სააკაშვილ-ბოკერიას თანაგუნდელებს: რა წვლილი აქვს ელენე ხოშტარიას მათი დაშლის საქმეში“?***

ნათელია, რომ ერთმა გასროლამ ორ მიზანს მიაღწია და თუ ვივარაუდებთ, რომ ლЯკა-ჰელენა რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს, უნდა აღვნიშნოთ, რომ სროლა კარგად ასწავლეს.

## პოზნერის ღამე

2021 წლის 31 მარტს თბილისში ჩამოფრინდა **ვლადიმერ პოზნერი** თავის 50 მეგობართან ერთად. პოზნერის მეგობრები, ძირითადად, მუსიკოსები და მსახიობები გახლდნენ. **საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვლადიმერ პოზნერს სამმაგი მოქალაქეობა აქვს. იგი საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის მოქალაქეა.**

მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმერ პოზნერი რუსეთის არაერთი სახელმწიფო ჯილდოს მფლობელია და იგი თავად **ვლადიმერ პუტინს** ჰყავს დაჯილდოებული, საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე, რომ პოზნერი რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინთან** და რუსულ ეკლესიასთან დაპირისპირებული ჟურნალისტია.

**ელენე ხოშტარია:**

> ***„ვლადიმერ პოზნერი, პუტინის მონა ხვალ მობრძანდება საქართველოში საკუთარ დაბადების დღეზე საგულაოდ! პირველ აპრილს, 11 საათზე, ყველა მოქალაქეს, ვისაც აწუხებს ის, რაც ხდება, მოვუწოდებ, რომ შევიკრიბოთ“.***

გასაოცარია, მაგრამ **ლЯკა-ჰელენამ საიდანღაც იცოდა, რომ პოზნერი და მისი მეგობრები კაფე „სტამბაში“ მივიდოდნენ და კვერცხებითა და პომიდვრებით წინასწარ შეიარაღებულები ამ კაფეში პოზნერს მიუვარდა.** პოზნერი და მისი მეგობრები იძულებული გახდნენ, კაფე „სტამბა“ დაეტოვებინათ და რესტორან „ვინოტელში“ გადასულიყვნენ. მაგრამ **ლიაკა-ჰელენამ** არც აქ მოასვენა და საბოლოო ჯამში **ჰელენამ და მისმა თანამებრძოლებმა პუტინთან დაპირისპირებული 87 წლის ვლადიმერ პოზნერი თბილისიდან გააძევეს და ეს პუტინთან ბრძოლად შეფუთეს.** რეალურად კი შეწუხდნენ არა მხოლოდ საქართველოსადმი კეთილგანწყობილი რუსები, არამედ პოზნერის მეგობარი ამერიკელი და ფრანგი ჟურნალისტებიც. **ვფიქრობთ, მაყურებელი თავად დაასკვნის, ვინ იყო ამ პროვოკაციის დამკვეთი.**

## ჰელენას „დროა“, ანუ ლЯკას „ВРЕМЯ“

გაისმის სსრკ-ის საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას“ ტრადიციული მელოდია და დიქტორის სიტყვები: **„Добрый вечер, товарищи“.**

1910 წელს გერმანელმა მანდილოსანმა **კლარა ცეტკინმა** საზოგადოებას შესთავაზა ქალთა სოლიდარობის დღის დაწესება. **კლარა ცეტკინი** სოციალისტი გახლდათ და იმავე წელს, კოპენჰაგენში გამართულ სოციალისტ ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე, მისი იდეა მოიწონეს. **გავიდა 11 წელი და 1921 წელს ვლადიმერ ლენინმა ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა 8 მარტს დააკანონა.**

გაურკვეველია, ლЯკა-ჰელენას **ვლადიმერ ლენინი** უფრო მოსწონს თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ის კი ცნობილია, რომ **ლЯკა-ჰელენამ 2021 წლის 8 მარტს მოძრაობა**



**„დროა“ დააფუძნა!**

საიდუმლო არაა, რომ სააკაშვილ-ბოკერიები და მათ ირგვლივ შემოკრებილი პაჭიპუჭა ორგანიზაციები თავის აქციებსა და სპექტაკლებს **საღამოობით** მართავენ. ვფიქრობთ, მიზეზი ნათელია — **მათ, უბრალოდ, ხალხი არა ჰყავთ და სიბნელე ცარიელ სკამებს ფარავს.**

ამჯერადაც **ლიაკა-ჰელენამ** მოძრაობა „დროა“ სიბნელეში წარმოგვიდგინა და ხილული სიგნალიც მოგვცა: **Пришла пора, настало время!** ალბათ, აღარ გაგიკვირდებათ, რომ ამ **25-კაციანი ორგანიზაციის შექმნას ამჯერადაც გამოეხმაურა სრულიად რუსეთის საინფორმაციო სივრცე: კალინინგრადის საინფორმაციო სააგენტოებით დაწყებული და მაგადანის საინფორმაციო სააგენტოებით დამთავრებული.**

როგორც თავად ქალბატონ ლЯკა-ჰელენას არაერთგზის განუცხადებია, საქართველოს, თურმე, რუსული ხელისუფლება მართავს და, ცხადია, **ლЯკას „დროამ“** ეს რუსული ხელისუფლება უნდა შეცვალოს. ამასთან ლЯკა მზად არის, აიღოს მართვის სადავეები და საამისო **„ბაგაჟიც“** ჰქონია:

> *„ბუნებრივია, მე რომ სხვადასხვა პოზიციებზე ვმუშაობდი, ბუნებრივია, ეს, მათ შორის, ის ერთ-ერთი ბაგაჟია, თუ ერთ-ერთი გამოცდილება არის, რომელიც მე მაძლევს საფუძველს, რომ დღეს შევძლო საზოგადოების წინაშე ავიღო პასუხისმგებლობა“.*

## მამულიშვილის ნიღაბი

**საარჩევნო 2020 წელი სააკაშვილ-ბოკერიებმა და ლიაკა-ჰელენამაც ტრადიციულად დაიწყეს:** რუსეთის ლანძღვა-გინების ფონზე მთელი საქართველო კვლავ რუსეთის აგენტობაში დაადანაშაულეს. ლიაკა-ჰელენამ ვითომდა პროტესტის ნიშნად **საქართველოს პარლამენტში საბჭოთა ჰიმნიც კი ააჟღერა.**

**ელენე ხოშტარია:** „ერთადერთი, რისი სიმბოლოც ეს ყველაფერი არის, ესაა საბჭოთა კავშირის ჰიმნი და საბჭოთა კავშირი“.

„ასავალ-დასავალი“ წარმოგიდგენთ „ობიექტივის“

# ლიაკა!



საარჩევნო დღეებში ნაციონალურმა მოძრაობამ თავისუფლების მოედანზე რუსულ ენაზე გვიმღერა **(ბუბა კიკაბიძე მღერის „თბილისოს“ რუსულ ენაზე).**

**ყოველივე ამის ფონზე სააკაშვილ-ბოკერიებიც და ლიაკა-ჰელენაც გვიმტკიცებენ: ჩვენ პროამერიკელი მამულიშვილები ვართ, თქვენ კი — რუსეთის ჯაშუშები.**

**ილია ჩაჩიბაია:** ფაქტობრივად, ოცი წელიწადია, სააკაშვილი და მისი რეჟიმის ოდიოზური ფიგურები მთელ ქვეყანას რუსეთის აგენტობასა და ღალატში ადანაშაულებენ. ბოლო წლებში ვითომ ახალი სახეები ამოტივტივდნენ — **გიორგი ვაშაძე, ზურაბ ჯაფარიძე, ელენე ხოშტარია** და კიდევ სხვები. **სინამდვილეში ეს ხალხი ადრეც ემსახურებოდა სააკაშვილის რეჟიმს, თანამდებობებიც ეკავათ და ახლა ვითომ ახალი სახეები არიან, თუმცა, სტილი არ შეცვლილა: ყველას რუსეთის აგენტად, მოღალატედ აცხადებენ, თავად კი მამულიშვილობაზე დებენ თავს და ახალგაზრდა თაობა იბნევა. და მაინც, იქნებ ავუხსნათ საზოგადოებას, რა არის ღალატი?**

**ირმა ინაშვილი:** მე დავსვამ რამდენიმე მარტივ კითხვას. **პირველი კითხვა: ვინ ჩააბარა და ვინ გაყიდა კოდორი და ახალგორი?** სააკაშვილ-ბოკერიებმა გაყიდეს და ჩააბარეს. მე არ გამიყიდია! აგინებდნენ და აგინებენ რუსებს და თან გაურიგდნენ და კოდორი და ახალგორი გადასცეს. **მოდით, ახლა იგივე კითხვა სხვანაირად დავსვათ:** 200 დასახლებული პუნქტი, ქალაქი, სოფელი, დაბა და ამათგან უამრავში, თუნდაც იგივე კოდორის ხეობაში, უამრავ დასახლებულ პუნქტში საერთოდ არ ყოფილა საომარი მოქმედება, ერთი ტყვიაც არ გავარდნილა. **ვინ უბიძგა სამხედროებს, პოლიციას, სპეცსამსახურებს, გამგეობებს, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს — ვინ უბიძგა და ვინ დაატოვებინა ეს ტერიტორიები?** ტექნიკაც დატოვეს, ყველაფერი დატოვეს და ეს ბრძანებები დღესაც დაცულია საიდუმლო არქივებში! **ვინ გასცა ეს ბრძანებები?** სააკაშვილ-ბოკერიებმა გასცეს, მე ხომ არ გამიცია ასეთი ბრძანებები! **და ეს ყველაფერიც რუსეთის გინების ფონზე გაკეთდა!**

**მეორე კითხვა დავსვათ: ვინ გადასცა უბრძოლველად რამდენიმე მილიარდის ღირებულების შეიარაღება და სამხედრო ბაზები სენაკში, ფოთში, სხვაგან... ვინ ჩააბარა მოღალატეობრივად ეს შეიარაღება რუსებს?** ისევ სააკაშვილ-ბოკერიებმა, მე ხომ არ ჩამიბარებია! **ესეც რუსეთის გინების ფონზე ხდებოდა!**

**მესამე კითხვა: ვინ გადასცა დავითგარეჯი, მამისონის უღელტეხილი, შუშანიკის ციხე-კოშკი, 60-ზე მეტი სტრატეგიული პუნქტი ვინ გადასცა მეზობელ ქვეყნებს?** მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა! მე ხომ არ გადამიცია! **ესეც რუსეთის ლანძღვა-გინების ფონზე გაკეთდა!**

**შემდეგი კითხვა: ვინ მიყიდა ყველა სტრატეგიული ობიექტი ძირითადად რუსეთს ან სხვა ქვეყნებს?** სააკაშვილის რეჟიმმა! მე ხომ არ მიმიყიდია!

**და შემდეგი კითხვა: საქართველო-რუსეთ-ევროკავშირის შეთანხმებებიდან ვინ ამოიღო მეშვიდე პუნქტი, რომელშიც მკაფიოდ ეწერა, რომ სოხუმს და ცხინვალს საერთაშორისო შეთანხმების გარეშე რუსეთი ვერ აღიარებდა?** ეს ხომ საფრანგეთის პრეზიდენტმაც დაგვიდასტურა, რომ ეს პუნქტი პირადად მიხეილ სააკაშვილმა ამოშალა, ანუ რუსეთს უბიძგა სოხუმისა და ცხინვალის აღიარებისკენ! **ვინ გააკეთა ეს? მე არ გამიკეთებია, სააკაშვილმა გააკეთა! ესეც რუსეთის გინების ფონზე!**

**შემდეგი კითხვა: ვინ მოაწერა ხელი სტრასბურგში რეზოლუციას, სადაც წერია, რომ ომი საქართველომ დაიწყო და კასეტური ბომბებიც საქართველომ გამოიყენა?** მე არ მომიწერია ხელი ამ დოკუმენტისთვის. **ვინ მოაწერა და სააკაშვილის რეჟიმმა — თარგამაძემ, ბაბაშვილმა, კანდელაკმა, დარჩიაშვილმა, მოკლედ, აი, ამ ხალხმა!**

**შემდეგი კითხვა: ვინ მიატოვა მშვიდობიანი მოსახლეობა? ვინ მიატოვა წვევამდელები? ვინ მიატოვა ბრძოლის ველზე დაღუპულები, რომლებიც პატრიარქმა გადმოასვენა?** ვინ მიატოვა და სააკაშვილის რეჟიმმა! და პირველად ვამბობ ახლა: 7 აგვისტოს მე და ჟურნალისტი **ლალი ეზაძე** გორში და მახლობელ სოფლებში ვიყავით, კიდევ სხვა ჟურნალისტებიც შემოგვიერთდნენ მაშინ — აფხაზეთის ომის მონაწილე ჟურნალისტები. 8-ში ჩვენ დახმარებაც შევთავაზეთ იმ მოღალატე რეჟიმს და 9-ში, იცით, რა მოხდა? **სულ გაიპარნენ იქიდან და მიატოვეს ხალხი.**

**აი, რაც ჩამოვთვალე, ეს ყველაფერი არ არის ღალატი? აბა, რა არის? ეს არის სახელმწიფო ღალატი, ჩადენილი გამიზნულად! აი, ეს არის სწორედ ჯაშუშობა, რაც ამათ ჩაიდინეს! ესენი რეალურად აგენტებიც არიან და გამყიდველებიც!** და ეს ღალატი, დააკვირდით — **ინიღბება ერთადერთი რამით, რომ რუსეთს ლანძღავენ და მთელ ქვეყანას რუსეთის აგენტად აცხადებენ!**

გავიაზროთ, რა რეალობაში ვცხოვრობთ: **მთავარია, რუსეთს აგინო და თუ გინდა, ქვეყანა გაყიდე! აი, ეს არის სააკაშვილის რეჟიმი! რუსეთს აგინებდა და ქვეყანა გაყიდა!** ეს ყველაფერი უნდა გააცნობიეროს ახალგაზრდა თაობამაც, რომლის გონების მოწამვლასაც ცდილობდნენ და ახლაც ცდილობენ **სააკაშვილ-ბოკერიები!**

## ლიაკა-ჰელენას რუსული ჰონორარი

2022 წლის ივნისში, ანუ უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, მოულოდნელად გამოაშკარავდა ფინანსური დოკუმენტები, საიდანაც გავიგეთ, რომ **ლიაკა-ჰელენას მამას, ბატონ გოგი ხოშტარიას** დაახლოებით **110 ათასი დოლარი** და დაახლოებით **ორნახევარი მილიონი რუბლი** მიუღია რუსეთიდან. ფინანსური დოკუმენტები ცხადყოფს, რომ ბატონ გოგის აღნიშნული თანხები ჩაურიცხა **რუსეთის სახელმწიფო აკადემიურმა დიდმა თეატრმა,** რომელიც რუსეთის ფედერალური სახელმწიფო საბიუჯეტო კულტურის დაწესებულებაა. **ლიაკა-ჰელენამ** განგვიმარტა, რომ მამამისი, **ბატონი გოგი ხოშტარია** გამოჩენილი მხატვრის და სცენოგრაფის — **სიმონ, იგივე სოლიკო ვირსალაძის** მემკვიდრეა და რომ მისი ოჯახი, აგერ უკვე 25 წელიწადია, ჰონორარს ღებულობს მოსკოვიდან და პეტერბურგის თეატრებისგან ვირსალაძის მიერ გაფორმებული სპექტაკლების შემოსავლებიდან.

**ელენე ხოშტარია:** *მამაჩემი, რომელიც მთელი ცხოვრება თავისი ოჯახით რუსეთს ებრძოდა, არის მემკვიდრე სიმონ ვირსალაძის, რომელიც არის მსოფლიოში ცნობილი ქართველი თეატრის მხატვარი და მთელ მსოფლიოში როდესაც იდგმება მისი სპექტაკლები, ირიცხება ფული.* ***ეს არის 25 წლის განმავლობაში მამაჩემის სამემკვიდრეო შემოსავალი, რომლითაც ყიდულობენ ხან მიწას, ხან მანქანას, ხან წამალს, ხან საჭმელს.***

და აი, აქ ვაწყდებით მორიგ უცნაურობას — მაყურებელს ახსოვს, რომ **ლიაკა-ჰელენას დედა, ქალბატონი ირინა** გვარწმუნებდა, რომ ოჯახმა **МГИМО** უსახსრობის გამო აირჩია:

**„მხოლოდ იმიტომ, რომ ფინანსები არ გვქონდა, სხვა ქვეყანაში გაგვეშვა სასწავლებლად, და რადგან ჩემი მეუღლე საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ეკუთვნოდა ლიმიტი და ელენეს შეეძლო, უფასოდ ესწავლა. ეს შესაძლებლობა გამოვიყენეთ“.**

ქალბატონი ლიაკაც ადასტურებს, რომ უსახსრობის გამო აურჩევია უფასო განათლება **МГИМО**-ში: **„როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის შვილს, მაშინ მქონდა კვოტირებით საშუალება, უფასოდ მესწავლა МГИМО-ში და ეს იყო ერთადერთი შესაძლებლობა“...**

ანუ ხოშტარიების ოჯახმა **МГИМО** უსახსრობის გამო აირჩია, მაგრამ, ამავდროულად, თურმე, რუსეთიდან 25 წელიწადია, ჰონორარებს ღებულობს.

მაშ, რატომ აირჩია ხოშტარიების ოჯახმა **МГИМО** და არა კემბრიჯი ან ოქსფორდი?! პასუხი ნათელია — **ბატონი გოგი ხოშტარია, სოლიკო ვირსალაძის მემკვიდრის ამპლუაში, რუსეთიდან ჰონორარებს 25 წელიწადი კი იღებდა, მაგრამ ეს ჰონორარები დიდი და სოლიდური არასდროს ყოფილა.**

დიდ ჰონორარს რომ არავის და არასდროს უხდიან, ამას საქართველოს უფლებამფლობელთა ასოციაციაშიც ადასტურებენ.

**თამარ გვარიშვილი:** *„ერთ ადამიანზე ჰონორარი არასდროს არ აღემატებოდა, მაქსიმუმ, 4 ათას დოლარს. ვლაპარაკობ იმ ადამიანებზე, ვისი მუსიკაც მუდმივად ჟღერს როგორც კაფე-ბარებში თუ რესტორნებში, ისე ტელევიზიებსა და ფილმებში“.*

ერთი სიტყვით, ნათელია, რომ ჰონორარები დიდი და სოლიდური არასდროს იყო. ამიტომაც აირჩია ხოშტარიების ოჯახმა **МГИМО** და არა კემბრიჯი ან ოქსფორდი და, ალბათ, ამიტომ, თუ დავუჯერებთ ქალბატონ ლიაკას, იგი ულაგებდა ბინებს ოკუპანტებს და უსეირნებდა ძაღლებს რუს პენსიონერებს.




**გასაოცარი და ჯადოსნური ამ ყველაფერში ის არის, რომ ლიაკა-ჰელენას პოლიტიკური ზრდის კვალდაკვალ, ბატონი გოგისთვის რუსეთიდან ჩარიცხული ჰონორარების მოცულობა გრანდიოზულად გაიზარდა. და თუ სხვა დამსახურებული მხატვრების, კომპოზიტორებისა თუ რეჟისორების ჰონორარები, როგორც წესი, 4 000 დოლარს არ აღემატება, ბატონ გოგის დაახლოებით 110 000 დოლარი და თითქმის 2.5 მილიონი რუბლი ერიცხება.**

აქ გასაოცარი და ჯადოსნური ისიცაა, რომ სოლიკო ვირსალაძის ორი მემკვიდრიდან, გრანდიოზულად გაზრდილი ჰონორარების შესახებ არაფერი იცის ქალბატონმა **მანანა ხიდაშელმა,** რომელიც მემკვიდრეობის იგივე უფლებებით სარგებლობს, როგორითაც ბატონი გოგი.

ქალბატონმა მანანამ ტელეკომპანია პოსტივის ჟურნალისტს თავად უამბო, რომ ჰონორარებს დიდი ხანია, იღებს, მაგრამ მათი ოდენობა არ ახსოვს.

***ჟურნალისტი: — ორივე იღებთ ჰონორარს თუ მარტო თქვენთან ირიცხება?***

***მანანა ხიდაშელი:*** *— არა, მე და გოგი.*

***ჟურნალისტი: — ორივე ცალ-ცალკე იღებთ?***

***მანანა ხიდაშელი:*** *— ცალ-ცალკე ვიღებთ ჰონორარს.*

***ჟურნალისტი: — მაგრამ ეს არ არის ათასები?***

***მანანა ხიდაშელი:*** *— არ ვიცი, რამდენია, მართალი გითხრათ... ძალიან დიდი ხანია, რომელი წლიდან არის, ეგეც არ მახსოვს.*

**ჩვენ ეჭვი არ გვეპარება ქალბატონი მანანა ხიდაშელის წესიერებასა და პატიოსნებაში და, ვფიქრობთ, საკამათო არაა, ქალბატონ მანანა ხიდაშელს 110 000 დოლარი და თითქმის 2.5 მილიონი რუბლი რომ მიეღო, ეს უდავოდ ემახსოვრებოდა, მაგრამ არ ახსოვს!** არ ახსოვს იმიტომ, რომ ამგვარი გრანდიოზული ჰონორარი არასდროს მიუღია და ამას ადასტურებს მისი შვილიშვილის, **ქალბატონი ელენე აბაშიძის** საჯარო დეკლარაცია, რომელიც მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის **სოლიკო ვირსალაძის** მემკვიდრეების რეალურ ჰონორარებზე.

2016 წელს საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლად მუშაობდა ქალბატონი **ელენე აბაშიძე,** რომელიც ქალბატონი **მანანა ხიდაშელის** შვილიშვილი გახლავთ. ქალბატონი ელენე აბაშიძის დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ **ერთი წლის განმავლობაში, ქალბატონმა მანანა ხიდაშელმა როგორც სოლიკო ვირსალაძის მემკვიდრემ, რუსეთიდან ჰონორარის სახით მიიღო 207 ლარი, ხაზს ვუსვამთ, ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ 207 ლარი!** და რადგანაც ქალბატონი **მანანა ხიდაშელი** და ბატონი **გოგი ხოშტარია** სოლიკო ვირსალაძის თანასწორუფლებიანი მემკვიდრეები არიან, **ცხადია, რომ ბატონმა გოგი ხოშტარიამაც მთელი 2015 წლის განმავლობაში ჰონორარის სახით მხოლოდ 207 ლარი მიიღო.**

და აი, აქ ვაწყდებით იდუმალ მაგიას: **2015 წელს, როცა რუსეთი არც ომის ქარცეცხლში იყო გახვეული, არც საერთაშორისო იზოლაციაში იყო მოქცეული და არც სანქციები ჰქონდა დაწესებული, აი, ამ 2015 წელს მთელი წლის ჰონორარმა სულ რაღაც 207 ლარი შეადგინა, ხოლო 2022 წელს — მაშინ, როცა რუსეთი ომის ქარცეცხლშიცაა გახვეული, საერთაშორისო იზოლაციაშიცაა მოქცეული და სანქციებიც აქვს დაწესებული, აი, ამ 2022 წლის მხოლოდ 4 თვეში ბატონი გოგის ჰონორარი ჯადოსნურად გაიზარდა თითქმის 2 ათასი პროცენტით და შეადგინა დაახლოებით 110 ათასი დოლარი და 2,5 მილიონი რუბლი.**

მაყურებელს ახსოვს, რომ ქალბატონი ლიაკას განცხადებით, სოლიკო ვირსალაძის მემკვიდრეები ჰონორარებს 25 წელიწადია, რაც იღებენ: **„კიდევ ერთხელ ვიმეორებ — ეს არის 25 წლის განმავლობაში მამაჩემის სამემკვიდრეო შემოსავალი, რომლითაც ყიდულობენ ხან მიწას, ხან მანქანას, ხან წამალს, ხან საჭმელს“.**

მაგრამ **ელენე აბაშიძის** დეკლარაცია ცხადყოფს, რომ საუბარი 25 წელზე კი არა, არამედ 28 წელზეა. **ქალბატონი ლიაკას განცხადებით, მამისი მთელი ცხოვრებაა რუსეთს ებრძვის: „მამაჩემი, რომელიც მთელი ცხოვრება თავისი ოჯახით რუსეთს ებრძოდა“...**

დამაფიქრებელია, რომ ოკუპანტის წინააღმდეგ პრინციპულად მებრძოლი **გოგი ხოშტარია** სოხუმის დაცემიდან 11 თვის თავზე, ანუ მაშინ, როცა ჯერ კიდევ ყველა ტყვე არ გათავისუფლებულა და დევნილებს სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ეძინათ, აი, სწორედ ამ დროს, **ბატონი გოგი ხოშტარია ოკუპანტ ქვეყანასთან აფორმებს უვადო კონტრაქტს მემკვიდრეობითი ჰონორარების მიღების თაობაზე, ანუ პრინციპებს ჰონორარზე ცვლის.**

მაყურებელს, ალბათ, ახსოვს ამერიკაში რუსეთის რეზიდენტის **ელენა ვავილოვას** ნაამბობი, რომ ჯაშუში გარდაისახება და თავად იჯერებს, რომ ის ადამიანია, ვის როლსაც თამაშობს: **„ფაქტობრივად, რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ შენ თვითონ გჯერა, რომ ის ადამიანი ხარ, ვისაც განასახიერებ“.**

**ლიაკა-ჰელენა** ქართველ ხელოვანებს მოუწოდებს, ურთიერთობა გაწყვიტონ სისხლიან მანქანასთან და არამარტო **რუსეთის ხელისუფლებას,** არამედ **რუსეთის საავტორო უფლებათა ასოციაციასაც** გულისხმობს.

და აი, აქ თავს იჩენს კიდევ ერთი შოკის მომგვრელი ფაქტი. **ლიაკა-ჰელენას ბრაზიანი** განცხადებიდან ზუსტად 7 დღეში მამამისს გოგი ხოშტარიას სწორედ რუსეთის სისხლიანმა მანქანამ ჩაურიცხა სისხლიანი 54. 550 დოლარი, თანაც ჩაურიცხა სწორედ რუსეთის საავტორო უფლებების საზოგადოების **„თეატრალური აგენტის“** თანამონაწილეობით, ანუ იმ ორგანიზაციის თანამონაწილეობით, რომელთანაც ქართველმა ხელოვანებმა, **ქალბატონი ლიაკას აზრით,** ურთიერთობა უნდა გაწყვიტონ.

ამგვარად, თავად ლიაკა-ჰელენას შეფასებიდან გამომდინარე, **ბატონი გოგი და ქალბატონი ლიაკა იმ სისხლისა და ბოროტების მანქანის მონაწილეებად იქცნენ, რომელსაც ადამიანები ყოველდღე ეწირებიან. მაგრამ, როგორც უკვე გამოჩნდა, ამ ამბავს არც ბატონი გოგი შეუწუხებია და არც ქალბატონი ლიაკა. პირიქით, მათ ეს ამბავი დამალეს, სისხლიანი ფული კი ბათუმში ბინის შესაძენად გამოიყენეს.**

**სკანდალური ფილმის საგაზეთო ჩვენებას!**

პატიმარ სააკაშვილის ცინიზმი საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!

*„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!*




**მიხეილ სააკაშვილი** თავის მემუარებში ცალკე თავს უთმობს **დონალდ ტრამპს** და ერთგვარ, ბოლო ლუკმად შემონახულივით მოგვითხრობს მასზე: ამ მემუარების გამოსვლისას, 2015 წელს, ტრამპი ხომ ამერიკის პრეზიდენტი იყო და ამდენად, მისთვის სააკაშვილისნაირ კარიერისტსა და საერთაშორისო დონის მლიქვნელს აუცილებლად უნდა ემღერა „ოსანა“!

აი, სწორედ ასეთი მლიქვნელური დითირამბებით იწყებს მემუარისტი თავის ტრამპიადას:

**„დონალდ ტრამპი იმ უაღრესად საინტერესო ადამიანთა შორისაა, თითოოროლა რომ შემხვედრია ცხოვრების გზაზე. სხვათაშორის, მე ვიყავი ერთი იმ იშვიათთაგანი, რომელთაც სარწმუნოდ ესახებოდათ მისი ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში მოგება. ამას სულ ვუბეჯითებდი პოროშენკოს, რომელმაც ღიად და უპირობოდ დაუჭირა მხარი ჰილარის... ამას ვეუბნებოდი ყველა დასავლელ ჟურნალისტს, მათ შორის ჰილარის შტაბის წარმომადგენლებთან ვპროგნოზირებდი, რომ ტრამპი მათ მოუგებდა“** (მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 383).

სააკაშვილი თავის პროგნოზებს იმით ხსნის, პირადად ვიცნობდი ტრამპსო, ანუ ვჭვრეტდი, ვინც იყო და რაც შეეძლოო!

მემუარისტი იხსენებს, რომ ამერიკაში, იურიდიულ ფირმაში მუშაობისას, მისი კაბინეტი ტრამპის კუთვნილ ერთ-ერთ ცათამბჯენში მდებარეობდა და ასე შეხვედრია ლიფტში ამერიკის მომავალ პრეზიდენტს:

**„ერთხელ ტრამპს ლიფტში დავემგზავრე. მან დეტალურად გამომკითხა, მოგვწონდა თუ არა შენობა, რა პრეტენზიები გვქონდა, რისი გაუმჯობესება შეიძლებოდა. ყველაფერი დაწვრილებით აინტერესებდა, თან გამომყვა ჩემი კაბინეტის სანახავად 36-ე სართულზე. გაოგნებული უყურებდა მას ფემი, ჩემი შავკანიანი მდივანი. ცხადია, გააკვირვა ტრამპის უშუალობამ“** (იქვე, გვ. 383).

სააკაშვილისნაირი კლერკი ტრამპის ცათამბჯენში ათასობით მუშაობდა და ძალიან მიამიტი უნდა იყო, დაიჯერო მიშიკოს ზღაპრები, რომ **დონალდ ტრამპი** ასე დადიოდა ვიღაც კლერკების კაბინეტების დასათვალიერებლად!

ჩემი თუ არ გჯერათ, აი, პირდაღებულ შავკანიან ფემის ჰკითხეთო — აი, ეს არის სააკაშვილის ერთადერთი არგუმენტი...

შემდეგ სააკაშვილი კიდევ ერთ ზღაპარს გვთავაზობს, უკვე **ტრამპის** ქალიშვილის **ივანკას** მონაწილეობით:

**„მახსოვს, ივანკა ტრამპი, მისი ქალიშვილი, მეუბნებოდა, როცა ტრამპი პირველად გაკოტრებულა, ერთხელ მეხუთე ავენიუზე გამოსულან. იქ უსახლკარო მდგარა ქუჩაში. ტრამპს ქალიშვილისთვის უთქვამს: „შვილო, დაიმახსოვრე, ეს უსახლკარო ერთი მილიარდი დოლარით უფრო მდიდარია, ვიდრე ჩვენო. იმ დროს ტრამპს ერთი მილიარდი დოლარი ვალი ჰქონდა“** (იქვე, გვ. 384).

რა თქმა უნდა, სააკაშვილმა ტრამპის ქალიშვილის დეტალი მემუარებში ხელოვნურად შემოტენა — აი, როგორი განდობილი ვიყავი, ივანკაც კი მესაიდუმლებოდაო!

არადა, **ივანკა ტრამპს** ეს ამბავი ათასჯერ მონაყოლი აქვს სხვადასხვა ტოქ-შოუებში და ექსკლუზიურად სააკაშვილისთვის არც გაუნდვია! მემუარისტი იხსენებს მის შეხვედრას **ტრამპთან,** ჯერ კიდევ ბიზნესმენის რანგში რომ ესტუმრა საქართველოს პრეზიდენტი:

**„ნიუ-იორკში, როდესაც მას ოფისში მივაკითხეთ, ყოველი მისი წამი კამერების გარეშეც იყო მუდმივად როლის თამაში. ის ცხოვრებაშიც ისეთივეა, როგორსაც ვხედავთ ტელეეკრანზე.**

როდესაც შევედით, პირველი, რითიც დაინტერესდა, შეხედა ჩემი პრესსამსახურის თანამშრომელს **ნათია ბანძელაძეს** და უთხრა, **„შენ ვიღაცას მაგონებო“.** ნათიამ მიუგო: **„ჩემი შვილი „მის საქართველოს“ სილამაზის კონკურსში მონაწილეობდა და გაიმარჯვაო“.** ტრამპმა მაშინვე ამოაძრო „მის მსოფლიოს“ მონაწილეების ალბომი, გადაშალა „მის საქართველოზე“, ჯერ კარგად დააკვირდა, მერე **ნათია ბანძელაძეს** შეადარა და წამოიძახა: **„მართლაც როგორ გავხართ ერთმანეთსო!“** (იქვე, გვ. 385).

სააკაშვილს, ალბათ, გულწრფელად ჰგონია, რომ ამ ამბის გახსენებით **ტრამპის** სასარგებლო საქმე გააკეთა, მაგრამ ამაოდ...



დაუპატიჟებელი სააკაშვილი ტრამპის ინაუგურაციას შორიდან, რომელიდაც ბუჩქნარიდან ადევნებდა თვალს!

ეს კიდევ არაფერი, სააკაშვილი ამ თემას, როგორც იტყვიან, ბოლომდე წურავს და იხსენებს, ჯერ კიდევ ბიზნესმენი **ტრამპის** ჩამოსვლას საქართველოში და „სილამაზის კონკურსების“ ქართველ გამარჯვებულთა სპეციალურად სატრამპოდ შეკრებას:

**„მეორე დღეს უნდა გავფრენილიყავით ბათუმში და მთხოვა, იქნებ წამოიყვანო ის თქვენი წინა წლების „მის მსოფლიოს კონკურსანტები“, „მის საქართველოებიო“. ბოლო რამდენიმე წლის „მის საქართველოები“ შევკრიბეთ ბათუმში გადასაფრენად. ბათუმამდე ფრენას, მოგეხსენებათ, 40 წუთზე ნაკლები დრო სჭირდება, მაგრამ ჩვენს თვითმფრინავს მეტი დრო დასჭირდა, იმიტომ, რომ უვლიდა წრეებს ბათუმის თავზე. სანამ ყველა თანამგზავრ გოგონას არ დაათვალიერებინა სალონი, სანამ არ შეიყვანა მფრინავთა კაბინაში, სანამ ყველას არ ესაუბრა თბილად, თვითმფრინავი არ დაჯდა“** (იქვე, გვ. 386).

ახლა მე რომ ფრენის უსაფრთხოების ფეხზე დაკიდებულ სტანდარტებზე დავიწყო მსჯელობა, არც ღირს! უბრალოდ, წარმოიდგინეთ, რითი იყო დაკავებული საქართველოს პრეზიდენტი ამერიკელი ბიზნესმენის საამებლად!

ახლა ისიც წარმოიდგინეთ, ნებისმიერი ევროპელი პრეზიდენტი, რომელიც, ამერიკელი ბიზნესმენის თხოვნით, სილამაზის კონკურსის მონაწილეთა საგანგებო მობილიზაციას გამოაცხადებდა და მის კერძო თვითმფრინავში წაუძღვებოდა „მამაშასავით“!

არც წარმოიდგინოთ, რადგან ეს არასოდეს მოხდებოდა და თუ მაინც მოხდებოდა, ხალხი თვითმფრინავის ტრაპთანვე დახვდებოდა აქციით და თანამდებობიდან გააპანღურებდა!

არადა, სააკაშვილი არც ამაზე ჩერდება და მიერეკება და მიერეკება:

**„ბათუმის შენობა-ნაგებობების დათვალიერება მოისურვა და მეორე დილის ექვს საათამდე სასტუმროში მოსასვენებლად არც შევსულვართ. ვაჩვენეთ ჯერ ბათუმის იუსტიციის სახლი, ბულვარები, ალი და ნინოს ქანდაკება და ბოლოს, ბათუმის ღამის კლუბებსაც ვასტუმრეთ, მათ შორის, მოტრიალე 24-ე სართულის ღამის კლუბს, ახალ ბულვართან ახლოს. სიამოვნებით უსმენდა ქართველ მუსიკოსებს, საოცრად მოიხიბლა მათი ხელოვნებით და იქვე გაუჩნდა იდეა, რომ ნიუ-იორკში მოეწყო ქართველ მუსიკოსთა შოუ. მოხიბლა სუხიშვილების ცეკვამ, ძალიან მოეწონა ჩვენი მომღერალი გოგონები“** (იქვე, გვ. 386).

აი, ასე დაწანწალებდა გაუბედურებული და დამშეული, ტერიტორიებოკუპირებული საქართველოს პრეზიდენტი დილის ექვს საათამდე ღამის კლუბებში!

სააკაშვილი კიდევ ერთ შედევრულ ზღაპარს თხზავს, როგორ დააჯერა ტრამპი, ამერიკის პრეზიდენტად ეყარა კენჭი:

**„2013 წელს, უკვე პრეზიდენტობის შემდეგ, ნიუ-იორკში ვიყავი, როდესაც მაიკლ კოენმა დამირეკა და მითხრა — შენთან დონალდს სურს დალაპარაკებაო და გადასცა მას ყურმილი... მითხრა — რას ფიქრობ მიშა, პრეზიდენტად კენჭი რომ ვიყაროო. ვუპასუხე — ხომ იცი ამის შესახებ ჩემი აზრი, ადრეც ბევრჯერ გვისაუბრია, რა თქმა უნდა, მიმაჩნია, ძალიან მაგარი შანსები გაქვს-მეთქი.** ცოტა იხტიბარგატეხილმა მიპასუხა: **რა ვიცი, ჩემ გარშემო არავის არ სჯერა, რომ მაქვს შანსები.** გავამხნევე, არ დაუჯერო-მეთქი. და მერე მაიკლს გადაულაპარაკა — **ხომ გეუბნებოდი, მიშაც ამბობს, რომ მაქვს შანსებიო“** (იქვე, გვ. 388).

შეგახსენებთ, ეს ის დროა, სააკაშვილი პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე ათი დღით ადრე, საქართველოდან რომ არის გაქცეული, რადგან იცოდა, „ვირის აბანო“ არ ასცდებოდა პრეზიდენტობისას ჩადენილი არაერთი უმძიმესი დანაშაულის გამო!

და ამას ეკითხებოდა ტრამპი — **რა ვქნა, კენჭი ვიყარო ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებშიო?!**

**ეს უკვე სასაცილოც აღარ არის!**

და სინამდვილეში, რა დამოკიდებულებაც ჰქონდა ტრამპს სააკაშვილისადმი, მთელმა მსოფლიომ ნახა, როდესაც მისი საპრეზიდენტო ინაუგურაციის ცერემონიაზე სააკაშვილი, რომელიც იქ არც კი დაუპატიჟებიათ, სადღაც ერთ კილომეტრში რომელიღაც ბუჩქნარში იდგა საწყლად, მოსელფავე, სეირის მოყვარულ ამერიკელებთან ერთად...




## მიხეილ სააკაშვილი:

## ტრამპის თხოვნით, ბოლო რამდენიმე წლის „მის საქართველოები“ შევკრიბეთ ბათუმში გადასაფრენად!

## როგორ „დააჯერა“ სააკაშვილმა ტრამპი, აშშ-ის პრეზიდენტი გამხდარიყო!

**გიორგი გიგაური**

**გაგრძელება იქნება**

## ბესო მიქავა:

# ზვიად გამსახურდიამ ედუარდ შევარდნაძეს ოცი ბრალდება წაუყენა, ხოლო კოკო გამსახურდიამ ხუთი პლუსით დაუწერა!

***„იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ თავმჯდომარე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის პირადი დაცვის ყოფილი წევრი ბესო მიქავა ბოლო დროს ევროპელი და ამერიკელი იმპერიალისტების მისამართით ზვიად გამსახურდიას გამონათქვამების გარშემო ატეხილ გნიასს ეხმიანება და აცხადებს, რომ, რასაც დიდი კონსტანტინე გამსახურდია თავის პუბლიცისტურ წერილებში ევროპელებისა და ამერიკელების შესახებ წერს, ზვიად გამსახურდიას იმის ნახევარიც კი არსად უთქვამს:***



— ბოლო დროს სოციალურ ქსელებში დიდი ჯახია იმის თაობაზე, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ოდესმე ახსენა თუ არა ფრაზა — **„ევროამერიკული იმპერიალიზმი“...** კოკო გამსახურდია ამტკიცებს, რომ ეს ფეიკია, რომელიც რუსებმა შეთითხნეს და ზვიად გამსახურდიას პირიდან მსგავსი რამ არასოდეს ამოსულა! იმავეს იმეორებენ კოკოს მიმდევრებიც, მაგრამ ერთია, რას ამბობს **კოკო გამსახურდია** და მეორე — სიმართლე. სიმართლე კი იმაში მდგომარეობს, რომ 1992 წლის 3 ოქტომბერს სანკტ-პეტერბურგში გამომავალ გაზეთ **„ნაროდნაია პრავდაში“** გამოქვეყნდა გროზნოში მყოფი **ზვიად გამსახურდიას** გახმაურებული ინტერვიუ — **„ეროვნება არა აქვს ცხოველს!“** — სადაც საქართველოს დევნილი პრეზიდენტი აცხადებს —

*„...ეს ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მთელი ძალით მიილტვის მსოფლიო ბატონობისაკენ. ზოგადად, მე მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებდი. მთავარ დამკვრელ ძალას მასში წარმოადგენს აშშ. შეიძლება ითქვას, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმიდან აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით!“*

**— ოპორტუნისტები სწორედ იმას ამტკიცებენ, რომ ზვიად გამსახურდიას ეს ინტერვიუ რუსებმა გააყალბეს და შიგ რაღაცები ჩაამატეს!**

— სხვათაშორის, ზვიად გამსახურდიას ამ ინტერვიუს გვერდით იმავე „ნაროდნაია პრავდაში“ გამოქვეყნებულია **ჯოჰარ დუდაევის ინტერვიუც,** სადაც ჩეჩნეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ **რუსეთი არის დასავლეთის ტყვე!** სამწუხაროდ, ამ ფაქტს არავინ ახსენებს. ცნობისათვის, 1994 წლის 23 თებერვალს, გროზნოში ზვიად გამსახურდიას დაკრძალვის დღეს, **ჯოჰარ დუდაევმა** ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გაიმეორა, რაც ვიდეოფირზეა აღბეჭდილი. მაინტერესებს, ურწმუნო თომები რა პასუხს გამცემენ დიდი კონსტანტინე გამსახურდიას გახმაურებულ პუბლიცისტურ წერილზე — **„ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი“! ესეც ფეიკია? ესეც რუსებმა მოიგონეს?** რასაც დიდი კონსტანტინე ამ წერილში ევროპელებსა და ამერიკელებზე წერს, ზვიადს მათ შესახებ იმის ნახევარიც არ უთქვამს!

**— მივუბრუნდეთ ზვიად გამსახურდიას მიერ გაჟღერებულ ფრაზას — „ევროამერიკულ იმპერიალიზმს“!**

— 1992 წლის 4 დეკემბერს **„ნაროდნაია პრავდაში“** გამოქვეყნებული ზვიად გამსახურდიას ზემოხსენებული ინტერვიუ ქართულად გადმოთარგმნა და დაბეჭდა **გაზეთმა „აღდგომამ“,** რომელიც სოხუმში გამოდიოდა. ზვიად გამსახურდიამ, რომელიც გაზეთ „აღდგომის“ დამფუძნებელი გახლდათ, ამის შემდეგ კიდევ ერთი წელი იცოცხლა, მაგრამ არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს და არსად უხსენებია, რომ „ნაროდნაია პრავდაში“ ან „აღდგომაში“ მისი ნათქვამი გაყალბდა და დამახინჯდა! შეგახსენებთ — **დევნილი პრეზიდენტი ყველაფრის საქმის კურსში იყო, ყველა ქართულ, რუსულ და უცხოურ გაზეთს ყურადღებით ეცნობოდა და გამორიცხულია, თავის მიერ დაარსებულ გაზეთში ასეთი უზუსტობა გაპარულიყო...**

2007 წელს **გაზეთმა „ქვაკუთხედმა“** მეოთხე ნომერში კიდევ ერთხელ დაბეჭდა პრეზიდენტის ზემოხსენებული ინტერვიუ, ხოლო 2013 წლის დეკემბერში **ლეილა ცომაიამ** თავის გაზეთში — **„გამათავისუფლებელი“** კვლავ გამოაქვეყნა ეს მასალა. ცნობისათვის, **ლეილა ცომაია** და **კოკო გამსახურდია** ახლო მეგობრები არიან, მაგრამ კოკოს მაშინ არსად უთქვამს, რომ ეს „ფეიკი“ იყო. უფრო მეტიც, **მაქვს ზვიადის გამოსვლის სრული ვიდეოვერსია ფინეთის სახელმწიფო ტელევიზიაში, სადაც პრეზიდენტი საუბრობს იმ საზიზღრობის შესახებ, რაც რუსებმა, ევროპელებმა და ამერიკელებმა ერთობლივად ჩაიდინეს საქართველოს წინააღმდეგ.** გამსახურდია კონკრეტულ პირებს უყენებს ბრალდებებს... ასე რომ, რაც „ნაროდნაია პრავდაში“ გამოქვეყნდა, არის სრული სიმართლე, ტექსტი თავიდან ბოლომდე ეკუთვნის ზვიად გამსახურდიას და საქართველოს პირველ პრეზიდენტს, რომელმაც ამ ინტერვიუს გამოქვეყნებიდან ერთ წელზე მეტხანს იცოცხლა, თავისი სიტყვები უკან არასოდეს წაუღია! **ე.წ. ურწმუნო თომები რას „გვიმტკიცებენ“ — რუსებმა ზვიადს ინტერვიუ გაუყალბეს და პირველმა პრეზიდენტმა ამაზე ხმა არ ამოიღო?**

**— კი მაგრამ, მაშინ რას ემსახურება ეს კამპანია და ვინ დგას ამ ყველაფრის უკან?**

— ამ ყველაფრის უკან დგას **კოკო გამსახურდია,** რომელმაც განაცხადა — **დავითგარეჯის იმ სადავო მონაკვეთის შესახებ მსმენია, რომ საქართველოს არ ეკუთვნისო!** ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა, რადგან ეროვნული მოძრაობა სწორედ **დავითგარეჯის პრობლემით** დაიწყო. ზვიად გამსახურდიას **„საქართველოს მოამბეში“** ეს საკითხი ფართოდ აქვს გაშუქებული. მოგეხსენებათ, ჩიჩხიტურის კოშკიდან 40 კილომეტრის მოშორებით იდგა საბჭოთა ჯარი და ზარბაზნებიდან სწორედ იქიდან ესროდნენ დავითგარეჯს. როცა ზვიადმა ამაზე განგაში ატეხა, რუსის გენერალმა წერილი გამოუგზავნა — **ესეც თქვენი ტერიტორიაა და ხელმძღვანელობა თუ გვეტყვის, ჯარს აქედან გავიყვანთო!**

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე ზვიად გამსახურდიამ ქართველ ერს ჰკითხა — **„თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“** საქმე ის გახლავთ, რომ საინგილო 1918 წლის 26 მაისის მდგომარეობით და მერეც, როცა „ერთა ლიგამ“ გვცნო, საქართველოს შემადგენლობაში იყო... ანუ ზვიადი იმ რეფერენდუმით საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე აპელირებდა. უფრო მეტიც, 1990 წლის 19 აგვისტოს, არჩევნებამდე ორთვენახევრით ადრე, **ზვიად გამსახურდიას ზეწოლით, საბჭოთა საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც აღიარა საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის ფაქტი და 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ ხელმოწერილი ყველა ხელშეკრულება ძალადაკარგულად გამოაცხადა,** ანუ კოკო გამსახურდიას საქართველოს სიყვარულში თვით კომუნისტებმაც კი აჯობეს და აღიარეს, რომ საინგილო საქართველოა! მოკლედ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ატაშე **კოკო გამსახურდია** დგას დავითგარეჯის გამყიდველი ნაცების გვერდით, ამ ხელისუფლებას უწოდებს „რუსულს“, „ოლიგარქიულს“, „პუტინისტურს“ და არის ნაცი! აქედან გამომდინარე, ძალიან მაინტერესებს, ბატონი კოკო გამსახურდია ამ სისტემაში რატომ მუშაობს? **ცხონებულმა ზვიად გამსახურდიამ ედუარდ შევარდნაძეს ოცი ბრალდება წაუყენა, ხოლო კოკო გამსახურდიამ ხუთი პლუსით დაუწერა!** შევარდნაძემ „კოლხური კოშკი“ რომ გადაწვა, კოკო გამსახურდიას პროტესტი არ გამოუთქვამს! ზვიადი რომ მოკლეს, კოკო არც გასვენებაში ჩამოსულა, არც სამძიმარი გამოუცხადებია და არც განცხადება გაუკეთებია. ასევე ხელთა მაქვს საქმე №510, სადაც კოკო გამსახურდია და დედამისი **დალი ლოლუა** ჩვენებას იძლევიან, რომ **ზვიად გამსახურდია დალი ლოლუას სცემდა!**

**— კოკოც იძლევა მაგ ჩვენებას?**

— **დიახ, მამის წინააღმდეგ იძლევა ჩვენებას!** ამ საქმის სხვა დეტალებს არ გავასაჯაროებ და არ ვიტყვი, თუ რა ხდებოდა კოლხურ კოშკში, სადაც კონსტანტინე გამსახურდია უკანასკნელ დღეებს ითვლიდა და ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ ვის რაზე წაასწრეს! გავიხსენებ **ცოტნე გამსახურდიას** ნათქვამსაც, როცა 2012 წლის 9 ივნისს განაცხადა — **„კოკომ ისპეკულანტა ჩემი მძიმე მდგომარეობით და ჩემი დუმილის სანაცვლოდ ხელისუფლებისგან ჯერ პარტიული დაფინანსება, ხოლო შემდეგ მაღალანაზღაურებადი თანამდებობა მოიპოვა!“**

კოკო გამსახურდიას სძულს ზვიადი და ზვიადისტები, რაც დასტურდება 2021 წლის 4 აპრილს მის მიერ გაკეთებული განცხადებით — **„ეს კომშმარეთის მკვიდრი არსებები — „ზვიადისტები“ უნდა აილაგმონ იქიდან, საზოგადოებრივი წესრიგი დაცული უნდა იქნეს სამართალდამცავთა მიერ, თუ არადა, ცალკეულმა პირებმა და ხალხმა საკუთარ თავზე უნდა აიღონ წესრიგის დამყარება!“** ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ სიგუას განცხადებებს არ ჰგავს ეს განცხადება?

**— აუცილებლად უნდა გკითხოთ სალომე ზურაბიშვილის შესახებ, ვინ არის საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი?**

— სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი კი არა, სინამდვილეში არის **„სალომანდრა!“** ზურაბიშვილი საფრანგეთის წარმომადგენელი იყო ნატოში და დღემდე ხელფასს ამერიკელებისგან ღებულობს! **სალომე ზურაბიშვილი არის მოღალატე, მან უღალატა ზვიად გამსახურდიას, თავის კაგებეშნიკ ქმართან ერთად დადგა საქართველოს მტრების მხარეს და ახლაც არის ქვეყნის მტრების ბუნაგში!** ვამბობდი, რომ ეს ქალი არის უცხო ქვეყნის აგენტი და არ შეიძლებოდა მაგის პრეზიდენტობა, მაგრამ ვინ დამიჯერა? ახლა ვხედავთ, რა განცხადებებსაც აკეთებს და როგორ ცდილობს ქვეყანაში სიტუაციის არევას, რადგან ასრულებს ამერიკელების დავალებას! გამოსავალი ერთადერთია — **მოღალატე სალომანდრა უნდა გავიტანოთ!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***





ДЕЛО № 510

НАЧАТО 6/1- 1924 г.

ОКОНЧЕНО 29/III 1924 г.

НА 60 ЛИСТАХ





**„— კოკოც იძლევა მაგ ჩვენებას?**
**— დიახ, მამის წინააღმდეგ იძლევა ჩვენებას!“**



**„ამ საქმის სხვა დეტალებს არ გავასაჯაროებ და არ ვიტყვი, თუ რა ხდებოდა კოლხურ კოშკში, სადაც კონსტანტინე გამსახურდია უკანასკნელ დღეებს ითვლიდა!“**



# მიხეილ ცაგარელი:

# აპრილი მთლიანობაში პოზიტიურ გარდაქმნებს განაპირობებს, რაც სასიკეთო იქნება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად

*— აპრილის პირველ დეკადაში დედამიწის სასიკეთო კოსმოსური ზეგავლენის ზონაში ყოფნა და ცის კაბადონზე (12 აპრილიდან) პლანეტების იუპიტერის, მერკურისა და მარსის განლაგება რას შეუწყობს ხელს, ანდა შუა თვეში უარყოფითმა ენერგეტიკულმა ზემოქმედებამ რა შეიძლება გამოიწვიოს? რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებსა და მოვლენებში მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება ვერძის ზოდიაქოდან კუროს ზოდიაქოში? როდის დაიწყება მზისა და მთვარის დაბნელებათა ორკვირიანი დერეფანი? აპრილის რომელი მონაკვეთი აღმოჩნდება მეტად მშვიდობიანი? ამ პერიოდში რის ძირეულ შეფასებას მოგვთხოვს პლანეტა მერკურის რეტროგრადულობა, ანდა რა მოვლენებს შეუწყობს ხელს პლანეტა ვენერას ტყუპის ზოდიაქოში მოძრაობა? თვის ბოლო დღეებში სასიკეთო კოსმოსური ვიბრაციებით აღსავსე საერთო ენერგეტიკა ადამიანებში რას გააღვიძებს, რას გამოავლენს და რას გააადვილებს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— რას გვიქადის „ლურჯი“ აპრილი, რას გვაუწყებენ ვარსკვლავები?**

— **აპრილის თვე მთლიანობაში საკმაოდ პოზიტიურ გარდაქმნებს გვპირდება. სასიკეთო პერიოდი იქნება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად. თუმცა, შუა თვეში სირთულეებია მოსალოდნელი. 6 აპრილის სავსემთვარეობის შემდგომ დედამიწა სასიკეთო კოსმოსური ზეგავლენის ზონაში აღმოჩნდება. 12 აპრილიდან** იღბლიანობისა და წარმატების მმართველი პლანეტა **იუპიტერი** შეუერთდება **მზეს,** ხოლო ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური ვერძის** ზოდიაქოში დაიდებს ბინას. ამავდროულად, **კირჩხიბის** ნიშანში მყოფი ენერგიისა და ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა **მარსი** ზემოთ ჩამოთვლილ პლანეტებთან ერთად გაათავისუფლებს ენერგიას, რომელიც **ოჯახის კეთილდღეობას, სასიყვარულო და პარტნიორული ურთიერთობების დალაგებას შეუწყობს ხელს. ეს დრო სასიკეთო იქნება ასევე უძრავ ქონებასთან, მიწის ნაკვეთებთან, მშენებლობასა და რემონტთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად. თუმცა, სასურველია, ყველა მნიშვნელოვანი გეგმა 13 აპრილამდე განხორციელდეს, რადგან შემდეგ სიტუაცია გაუარესდება.**

**— რას უნდა ველოდოთ 13 აპრილის შემდეგ და ამ მიმართებით რისი გათვალისწინება გვმართებს?**

— **14-19 აპრილის შუალედში უარყოფითი კოსმოსური ენერგიების ზემოქმედების გამო მოსალოდნელია დიდი ოდენობით კონფლიქტი და წარუმატებლობანი.** საზოგადოება შესაძლოა, მღელვარებამ და აგრესიულობამ მოიცვას. გამორიცხული არ იქნება მიტინგები და გაფიცვები. **თვის ამ მონაკვეთში რეკომენდებული არ არის მივლინება და შორეული მოგზაურობა, რადგან გაუთვალისწინებელი შემთხვევების, საჰაერო და სარკინიგზო მოძრაობის შეფერხების, სხვადასხვა სახის ავარიების, უმიზეზო კონფლიქტების თუ სერიოზული პრობლემების რიცხვი გაიზრდება.** სამაგიეროდ, **21 აპრილის** შემდგომი პერიოდი მეტად მშვიდი იქნება, ამიტომ, სასურველია, ყველა მნიშვნელოვანი საქმე, ჩანაფიქრის განხორციელება და მოგზაურობა ამ დროისათვის დაგეგმოთ.

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებსა თუ მოვლენებში აპრილის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება ვერძის ზოდიაქოდან კუროს ზოდიაქოს ნიშანში?**

— **მზე 20 აპრილს (12.15) გადაინაცვლებს რა კუროს ზოდიაქოში, გაამახვილებს და გააძლიერებს შეუპოვრობას, ნებისყოფას, პრაქტიკულობას, ერთგულებას, პრაგმატულობას, შრომისუნარიანობას, სტაბილურობასა და სილამაზის აღქმას და ასევე სიჯიუტეს, ეჭვიანობას** და მოქმედებას პრინციპით „შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი“. ნიშანდობლივია ისიც, რომ **20 აპრილს ცის კაბადონზე იქნება ახალმთვარეობა, პიკი — 07.16 საათზე და მზის დაბნელება,** პიკი — 08.18 საათზე და **ამ მოვლენით დაიწყება დაბნელებათა ორკვირიანი დერეფანი.** ამ დღეებში შესაძლოა, გამოჩნდნენ ისეთი ლიდერები, რომლებიც თავს კარგად იგრძნობენ წინასწარგანუსაზღვრელ სიტუაციებში. ამავდროულად, ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ **მზის გადანაცვლება კუროს ზოდიაქოში უმეტესი ზოდიაქოს ნიშნების წარმომადგენლების ფსიქოემოციურ მდგომარეობას გააწონასწორებს და ნორმის ფარგლებში მოიყვანს. შედარებით დამშვიდდება პოლიტიკური ვნებათაღელვა, ამავდროულად, 21 აპრილიდან გონებისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა მერკური კუროს ზოდიაქოში რეტროგრადულ მოძრაობას დაიწყებს,** ამიტომ ამ პერიოდში ყველა დასახული გეგმა, საქმე თუ წამოწყებანი ძირეულ და რაციონალურ შეფასებას საჭიროებს. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ **ტყუპის ზოდიაქოში მოძრავი სიყვარულისა და სილამაზის მმართველი პლანეტა ვენერა ხელს შეუწყობს ახალი იდეების გენერალიზაციას და ძველი ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელებას.** ნიშანდობლივია ისიც, რომ **აპრილის ბოლო დღეებში საერთო ენერგეტიკა მაქსიმალურად აღსავსე იქნება სასიკეთო კოსმოსური ვიბრაციებით, რაც ადამიანებში პოზიტიურ განწყობას გააღვიძებს, შინაგან ძალთა ახალ-ახალ წყაროებს გამოავლენს და ადამიანებს შორის ბიოტალღების ჰარმონიულ ცირკულირებას ხელს შეუწყობს.** შესაბამისად, აპრილის ბოლოს გაადვილდება შეხვედრების, სხვადასხვა სახის საუბრების წარმართვა. ასევე, როგორც პირად, ისე საქმესთან დაკავშირებით საკითხებზე მოლაპარაკება და შეთანხმების მიღწევა. ამგვარად, როგორც პირისპირ საუბარი, ისე ჯგუფური შეკრებანი მშვიდ ვითარებაში ჩაივლის და კონსტრუქციული და ნაყოფიერი იქნება.

*რუბრიკას უძღვება*

***მარინა მერკვილაძე***



## 3 – 9 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)

თქვენი ენერგობალანსი, ინტუიცია, შემოქმედებითი თვითგამოვლენის უნარი გაიზრდება. ხელოვნების ნებისმიერ დარგში წარმატება გელით. შესაძლოა, რომელიმე ორგანიზაციის წევრი გახდეთ. სტაბილური შემოსავალი თვითდაჯერებას შეგმატებთ. მშობლებს შესაძლოა, თქვენი თანადგომა და დახმარება დასჭირდეთ. უცხოელებთან ურთიერთობა და მოგზაურობანი მინიმუმამდე შეამცირეთ. კარგი პერიოდია საქმიანი, სასიყვარულო და ოჯახური ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.

**კურო** (21.04-20.05)

კარგი პერიოდია ახალი კავშირების დასამყარებლად, სამომავლო გეგმების შემუშავებისათვის და ძველი საქმეების დასრულებისათვის. თქვენი ფსიქოსომატური მდგომარეობა გაუმჯობესდება, რაც მეტი ურთიერთობისა და ოპტიმისტურად მოქმედების საშუალებას მოგცემთ. შეყვარებულთან უსიამოვნება, შესაძლოა, განსხვავებულმა შეხედულებებმა გამოიწვიოს, გზებზე გადაადგილებისას კი განსაკუთრებული ყურადღება გმართებთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)

თავს სანაქებოდ იგრძნობთ. ახალი იდეები გაგიტაცებთ, შესაძლოა, ახალი ჰობიც გაჩნდეს. შემოსავლის ზრდაც არ არის გამორიცხული. რადიკალურ ცვლილებებს მოერიდეთ და ძველ შეხედულებებზე უარს ნუ იტყვით, რათა დრო არ დაკარგოთ უცხო სფეროში გარკვევაში. ახალი მიზეზები და გეგმები დროულად დაისახეთ, საბუთების გაფორმებისას ყურადღება გმართებთ. მოგზაურობა კი შესაძლოა, გადაიდოს.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)

სხვათა შეცდომებს მოთმინებით მიუდექით და კონკურენტულ ბრძოლაზე უარი თქვით, რათა პრობლემა არ შეგექმნათ. კარგია დამატებითი ცოდნის მიღება და ფინანსური საბუთების მოწესრიგება. ახალი ინფორმაციის სიზუსტე თქვენს მოთმინებასა და სურვილებზეა დამოკიდებული. შვილებს მეტი დრო დაუთმეთ, რათა მათთან მეგობრული და სულიერი კავშირი შეინარჩუნოთ. თქვენი ორგანიზმისთვის აუცილებელია დასვენება, მაგრამ შორეული მოგზაურობა არ არის სასურველი.

**ლომი** (23.07-23.08)

დადებითი ემოციები კარგი განწყობისა და ჯანმრთელობის საწინდარი იქნება. ახალი შეგრძნებებისა და გამოცდილებების მიღებას, გართობასა და სასიყვარულო თავგადასავლებს მოისურვებთ. გარშემო მყოფებისადმი უნდობლობა შიშის შეგრძნებას გაამწვავებს. კრიტიკის ატანა გაგიჭირდებათ, რის გამოც უთანხმოებაა მოსალოდნელი არამარტო ოჯახის წევრებთან, არამედ კოლეგებთან, ხელმძღვანელობასთან და უცნობ ადამიანებთანაც კი.

**ქალწული** (24.08-23.09)

ენერგიული და დინამიკური იქნებით. თქვენი ინტერესი საზოგადოებრივი ცხოვრების, პოლიტიკის და რომანტიკული თავგადასავლების მიმართ გაიზრდება. ინფორმაციის მიღება არ გაგიჭირდებათ, ამიტომ გამოიყენეთ ეს დრო სამომავლო საქმეების სწორად დაგეგმვისათვის. ახალი საქმის დაწყება კი შემდეგი კვირისთვის გადადეთ. სიტყვები გააკონტროლეთ და დაცინვას მოერიდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ახლობლებთან, ნათესავებთან და შეყვარებულთან უსიამოვნებანი გელოდებათ.

## 3 – 9 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)

საქმეში წარმატების მისაღწევად კოლეგები, ახლობლები დაიხმარეთ და სხვების რჩევებს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ბიუჯეტის კონტროლი და მართვა თქვენს შემოსავალს გაზრდის, რაც საშუალებას მოგცემთ, ოჯახსა და შვილებს მეტი დრო დაუთმოთ. შეყვარებულთან მიმართებით, დაკარგულ პოზიციებს მხოლოდ გულახდილი საუბრებითა და რადიკალური ნაბიჯებით თუ დაიბრუნებთ. ხანმოკლე მოგზაურობებისა და უცხო პირებთან კონტაქტისას ნუ მოდუნდებით.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)

მოსალოდნელი დინამიკური ცვლილებანი განახლებისა და წარმატების გზაზე დაგაყენებთ, მაგრამ წინდაუხედავად ნაბიჯებს ნუ გადადგამთ და ეცადეთ, ახლობლების რჩევები და სურვილები გაითვალისწინოთ, ხელმძღვანელებთან და კოლეგებთან კამათს მოერიდეთ. უფრო მომთმენი და წინდახედული უნდა იყოთ, რათა არც საქმეს და არც ჯანმრთელობას ზიანი არ მიაყენოთ. გადაადგილებებისას კი სიფრთხილე გამოიჩინეთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)

ეს დრო ხელს შეუწყობს რომანტიკული კავშირების დამყარებას, ნიჭისა და შესაძლებლობების ახლებურად წარმოჩენას. ამის მიუხედავად, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ჯობს, გადადოთ. კარგი პერიოდია მოგზაურობისთვის და ახალი ინფორმაციის ათვისებისთვის. პირად ურთიერთობაში კი დროებითი წარუმატებლობის გამო ნუ ინერვიულებთ. შვილებთან მეტი მოთმინება გამოიჩინეთ. თავისუფალი დრო კი დასვენებისთვის გამოიყენეთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)

ხშირი ურთიერთობებისა და ახალი თანამშრომლობის პერიოდია. თუმცა, მიზნის მისაღწევად გარკვეული ძალისხმევაა საჭირო. გარშემო მყოფებმა, შესაძლოა, თქვენი იდეები და მოსაზრებანი არ გაიზიარონ, რაც ძალიან გაგანაწყენებთ. სასიყვარულო სფეროში გაუგებრობა ადვილად მოგვარდება, თუ ზედმეტად ემოციური არ იქნებით. დრო დაუთმეთ საკუთარ ჯანმრთელობასა და გარეგნობას. მოგზაურობა სასიკეთოდ ჩაივლის, მაგრამ საფულე აკონტროლეთ.

**მერწყული** (20.01-18.02)

ძველი, სტაბილური ცხოვრების წესის შენარჩუნების სურვილის მიუხედავად, მიმდინარე მოვლენები გაიძულებთ, ახლებურად იმოქმედოთ, შესაძლოა, ზოგიერთ ადამიანთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის შიშიც კი გაგიჩნდეთ. განმარტოება და ფიქრი შინაგან უთანხმოებას დაგაძლევინებთ და კრიზისიდან გამოსასვლელ გზას გაპოვნინებთ. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, შვილებს, ნათესავებსა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

**თევზები** (19.02-20.03)

ამ პერიოდში მთავარი საზრუნავი იქნება სამუშაო და შემოსავლები. პრაქტიკულობა და მოთმინების უნარი წარმატების საწინდარი იქნება. ცოდნის მიღება და პარტნიორებთან კავშირის დამყარება გაგიადვილდებათ. ეცადეთ, არ გადაიღალოთ, ხშირად დაისვენოთ, რათა ორგანიზმს ზიანი არ მიაყენოთ. საზოგადოებრივი საქმიანობისას, შესაძლოა, ახალი სასიყვარულო ურთიერთობა ჩამოგიყალიბდეთ. გადაადგილება-მოგზაურობისას კი სიფხიზლე შეინარჩუნეთ.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

### 3, 5, 6 და 8 აპრილი

**6 აპრილი – სავსემთვარეობა, პიკი – 08.37 საათზე.**
**20 აპრილი – ახალმთვარეობა, პიკი – 07.16 საათზე.**
**მზის დაბნელება, პიკი – 08.18 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 3 აპრილი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.41 საათზე, ჩადის 19.28 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 16.41 საათზე, ჩადის 4 აპრილს 05.46 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 16.51 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სასიამოვნო შენაძენის დღეა. პლანეტა მერკური გადაინაცვლებს კუროს ზოდიაქოში (11 ივნისამდე), რაც გაამახვილებს პრაგმატულობას, ორგანიზებულობას, დისციპლინისკენ და ერთგულებისკენ მიდრეკილებას, მოთმინებას, შეუპოვრობას, სილამაზის აღქმას, შემოქმედებითობას, ყაირათს და ასევე მეტ-ნაკლებად სიზარმაცეს, სიჯიუტეს, პირდაპირობასაც. დღეს კარგია სწავლა, დალაგება-დასუფთავება, საფინანსო-საბანკო ოპერაციები, აუდიტი, სამეცნიერო კვლევა. არ არის სასურველი ქორწინება, ნიშნობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სარისკო ქმედება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. შესაძლებელია სხვის მაგალითზე დაკვირვებით პრობლემების აცილება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 4 აპრილი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.40 საათზე, ჩადის 19.29 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 17.45 საათზე, ჩადის 5 აპრილს 06.07 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 18.09 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 17.50 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ინტუიციას დაეყრდენით. თავის ქება კი არ ღირს. სასიკეთო დღეა ურთიერთობებისთვის, მუსიკასთან კონტაქტისთვის. შესაძლებელია კარიერული აღმასვლა, საქმიანი საუბარი ხელმძღვანელთან. დრო ფუჭად არ დახარჯოთ. ხელი შეეწყობა უვარგისი ნივთების მოშორებას. კარგი დღეა ცხოვრების დაგეგმვისა და გადახალისებისთვის, სულიერი მდგომარეობის განახლებისთვის, ბუნებასთან კონტაქტისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, აუდიტისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის, ვაჭრობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ნიშნობა, სარისკო ქმედება, ახალი ნაცნობობა, გამოცდის ჩაბარება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, ონიქსი, აქატი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 5 აპრილი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.38 საათზე, ჩადის 19.30 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (02.00) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 18.49 საათზე, ჩადის 6 აპრილს 06.27 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 19.28 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 02.00 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მსჯელობისა და მოქმედებისას ობიექტურობა დაიცავით. პროვოკაციას არ აჰყვეთ. სხვათა აზრი და რჩევა ყურად იღეთ. ნუ გადაიღლებით, ის აკეთეთ, რაც ადვილად გამოგდით. წინასწარგანუსაზღვრელ საქციელს მოერიდეთ. თვითკონტროლი იკლებს, რაც ტრავმებსა და სხვა ნეგატიურ მოვლენებს განაპირობებს. კარგი დღეა ქორწინებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მუსიკალური აპარატურის, ავეჯის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად. შედეგიანია კბილების მკურნალობა, კოსმეტიკური პროცედურები, ზედმეტი წონისგან გათავისუფლება. ეფექტური იქნება დღეს და ხვალ წელზე, ტერფებზე, თირკმლების მერიდიანზე წერტილოვანი მასაჟი. არ არის სასურველი სხვაზე საქმის გადაბარების მცდელობა (კონფლიქტს გამოიწვევთ), ალერგიული პროდუქტებისა და ზედმეტი სითხის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ლაზურიტი, ჟადეიტი, ნეფრიტი, ციტრინი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის.

## 6 აპრილი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.36 საათზე, ჩადის 19.31 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 19.54 საათზე, ჩადის 7 აპრილს 06.47 საათზე **(სავსემთვარეობაა, პიკი** — 08.37 საათზე, ამ დროს იწყება მე-3 ფაზა). მთვარის მე-17 დღე იწყება 20.50 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 16.43 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს **სავსემთვარეობის** მძიმე კოსმოსური ენერგიების დღეა. მაღალია აგრესია-დეპრესიის გამოვლენის, კონფლიქტების, ტრავმების, ცდუნებების, შეცდომების, ავარიების და სხვა ნეგატიური მოვლენების ალბათობა. იმატებს გაორება, მერყეობა, სულსწრაფობა. ყურადღებით იყავით, სიმშვიდე დაიცავით და პროვოკაციებს არ აჰყვეთ. წარსულს ნუ მიეწებებით. ობიექტურობა გამოავლინეთ. ზედმეტ სითხეს და ალერგიის გამომწვევ პროდუქტებს ნუ მიიღებთ. არ არის სასურველი ყიდვა-გაყიდვა, ფულის სესხება-გასესხება, ალკოჰოლის მიღება. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის და მათში მონაწილეობის მისაღებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ლაზურიტი, ნეფრიტი, გიშერი, ჟადეიტი, აკვამარინი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 7 აპრილი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.35 საათზე, ჩადის 19.32 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (10.32) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 21.02 საათზე, ჩადის 8 აპრილს 07.08 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 22.15 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 10.29 საათამდე. **ტენდენციები: გილოცავთ ხარების დღესასწაულს!** იმატებს ინტუიცია, ხიბლი, წარმატების მეტი შესაძლებლობა მოგეცემათ დღის I ნახევარში. კარგი დღეა შეხვედრა-მოლაპარაკებებისთვის, აქტუალური საკითხების განხილვისთვის, მოგზაურობისთვის, მეტი იმოძრავეთ. ეფექტურია ყელ-ყურ-ცხვირის მკურნალობა, კოსმეტიკური პროცედურები. სასიკეთო დღეა თვითშემეცნებისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, მასაჟისთვის, მოერიდეთ დღეს და ხვალ ზედმეტ პირდაპირობას, ეჭვიანობას, სარკაზმს, არასასიამოვნო საუბარსა და კონფლიქტს. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ბინის შეცვლა, სესხის აღება ან გაცემა. სხივური თერაპია, ახალი თანამშრომლის მიღება. ინტიმური კონტაქტები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, ქრიზოპრაზი, იასპი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 8 აპრილი, შაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.33 საათზე, ჩადის 19.34 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 22.13 საათზე, ჩადის 9 აპრილს 07.32 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 23.45 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა.** დღეს ოჯახსა და უფროსი თაობის ახლობლებს მეტი დრო დაუთმეთ, ტრადიციებს პატივი მიაგეთ. პრობლემებს ახლებურად მიუდექით, სხვა კუთხით შეხედეთ და უფრო ადვილად გადაჭრით. პარტნიორულ ურთიერთობაში დღეს შეცდომებს თუ სწორ ნაბიჯებს უფრო ნათლად დაინახავთ. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, რეცხვისა და რემონტისთვის. მოერიდეთ პირდაპირობას, ეჭვიანობას, სარკაზმს, ეგოიზმს. მეტი დიპლომატიურობა გამოავლინეთ. არ არის სასურველი ბინის შეცვლა, სესხის აღება, ახალი საქმის დაწყება, ინტიმური კონტაქტები, სხივური თერაპია. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ონიქსი, იასპი, მარჯანი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 9 აპრილი, კვირა

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.32 საათზე, ჩადის 19.35 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (16.52) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 23.26 საათზე, ჩადის 10 აპრილს 08.01 საათზე (მთვარის მე-19 დღე გრძელდება. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 13.09 საათიდან 16.52 საათამდე. **ტენდენციები: გილოცავთ ბზობას! სასიკეთოა ლოცვა.** დღეს ყოფითი საკითხები ჰარმონიულად ჩაანაცვლეთ დასვენებით. შრომატევად საქმეს ნუ შეასრულებთ. კარგი დღეა გეგმების დასახვისთვის, ავტორიტეტულ ადამიანებთან კონტაქტისთვის, თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, ხეხილის, მარცვლეული, დეკორატიული მცენარეების დასათესად, მანქანის შესაძენად, კოსმეტიკური პროცედურებისთვის. საღამოს ხელი შეეწყობა ინტელექტუალურ განვითარებას, საიუბილეო საღამოსა და დაჯილდოებას, უცხოელებთან კონტაქტს, სპორტულ ღონისძიებებს. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ბინის შეცვლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ოპალი, ამეთვისტო, ტოპაზი, ფირუზი, იასპი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## საეკლესიო კალენდარი



✝ 3 აპრილი. ორშაბათი. ღირსისა **იაკობ აღმსარებელისა,** ეპისკოპოსისა; **კირილესი,** კატანელი ეპისკოპოსისა; **თომასი,** კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

✝ 4 აპრილი. სამშაბათი. მღვდელმოწამისა **ბასილისი,** ანკვირელი ხუცისა; **მოწამისა დროსიდასი,** ტრაიანე მეფის ასულისა; **ღირსისა ისაკ** დალმატელისა.

✝ 5 აპრილი. ოთხშაბათი. **ღირსმოწამისა ნიკონ ეპისკოპოსისა** და ასოთხმოცდაცხრამეტთა მოწაფეთა მისთა; მოწამეთა: **ფილიტისა** და **ლიდიასი** — მეუღლისა მისისა, მაკედონისა და თეოპრეპესი — ძეთა მათთა, **კრონიდესი** და **ამფილოქესი; მართლისა ბასილი მანგაზეისკელისა.**

✝ 6 აპრილი. ხუთშაბათი. **წინადღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხარებისა, ღირსისა ზაქარია მონაზონისა; არტემისა,** თესალონიკელი ეპისკოპოსისა; **ღირსისა იაკობ აღმსარებელისა,** ეპისკოპოსისა.

✝ 7 აპრილი. პარასკევი. **ხარება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.**

✝ 8 აპრილი. შაბათი. **ლაზარეს შაბათი.** ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი. **წარგზავნა ღმრთისმშობლის ხარების დღესასწაულისა.** კრება მთავარანგელოზისა **გაბრიელისა;** მღვდელმოწამისა **ირინეოსისა,** სირმიელი ეპისკოპოსისა.

✝ 9 აპრილი. კვირა. **ბზობა. უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში.** მოწამისა **მატრონა** თესალონიკელისა; მოწამეთა **მანუელისა** და **თეოდოსისა;** ღირსისა **იოანე წინამხედველისა,** ეგვიპტელისა.

**7 აპრილი – ხარება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.**


თამარისი Tamarisi

# დაინახე:




**ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38**

**571 19 93 93    598 79 40 00**

***www.facebook.com/tamarisioptics***



**შევიძენ რუმინულ წიგნის თაროებს კარგ მდგომარეობაში.**

**593-64-26-01, 574-40-78-70**







მუხიანის I მიკრორაიონის, მე-15 კორპუსის მაცხოვრებლები **მწუხარებას გამოთქვამენ** ძვირფასი მეზობლის, ყოფილი ჩარხმშენებელი ქარხნის დამსახურებული ოსტატის

**ვასილი ცალხელიშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.




# მაღაზია «ბუკვიცა»

**ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე**

***574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90***

**მისამართი: დ.უზნაძის №15, ქუთაისის №2.**


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: **1. რამზესი; 7. ვალიო; 12. პლაკატი; 13. დიუმა; 14. ტორსედო; 15. ციფრი; 16. ნეოფიტი; 17. შხამი; 18. ოტარიდი; 21. ნაივი; 23. მატანი; 26. ფიცი; 28. პომიდორი; 29. ნისლი; 30. სტუდია; 33. სუმო; 34. ქათიბი; 37. როდინი; 40. მარიაჟი; 42. იპოთეკა; 43. სანიტარია; 46. ოპერეტა; 50. ასაბია; 54. მეგობარი; 57. თვალები; 58. მერიმე; 59. მატარებელი; 61. ნეოლითი; 65. პიპინია; 68. გადია; 71. რინკი; 72. ლავრა; 73. ეპატაჟი; 74. ამარეტო.**

შვეულად: **1. რეტროსპექტივა; 2. მურწა; 3. ერესი; 4. იპონი; 5. პაგოდა; 6. სატირა; 7. ვიცინი; 8. ლიფტი; 9. ოდიში; 10. ბუნაგი; 11. სამიტი; 19. რეიდი; 20. დიონი; 22. ვესტი; 23. მის; 24. ტიული; 25. ნეი; 26. ფისი; 27. ცამეტი; 31. ტურნე; 32. არისა; 35. თაობა; 36. ბღერი; 38. დანტე; 39. ნოტიო; 40. მაო; 41. ავე; 44. რქა; 45. აპისი; 47. პრადო; 48. რიელი; 49. ტაიმი; 51. სველი; 52. ბლითი; 53. ათენი; 54. მიტრა; 55. გერბი; 56. ბობი; 60. ლაური; 62. ეარი; 63. ლინი; 64. თრია; 65. პკე; 66. პია; 67. ნია; 68. გოა; 69. დღე; 70. ალო.**

**გალიანობელინილოსიონისელაპისიგარაჟირაფიაბი**
**მალამოკიკინიანგინაგანიმედიანაბარიერისიონი**

| იტალიელი დიზაინერი | იტალიელი კომპოზიტორი | პარფიუმერმული სითხე | წყლის ძუძუმწოვარა დიდი ცხოველი | თამბაქოს ნაწარმი | გრძელკისერა ცხოველი | ტაბ-ლეტი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ცხოველების, ფრინველების სადგომი | დინამიტის გამომგონებელი | მდინარე აფრიკაში | მსახიობი ... ონიანი | მოსაწვავი ნივთიერება | რიაზანოვის ფილმი | პალმის სახეობა | ორ-წე-ვრი |
|---|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ეგვიპტის ფარაონი; 7. ფინური რძის პროდუქტების ფირმა; 12. სარეკლამო, სააგიტაციო ნახატი; 13. ფრანგი მწერალი („გრაფი მონტე კრისტო“); 14. ფეხბურთის ბრაზილიელი ფანები; 15. რიცხვის აღმნიშვნელი ნიშანი; 16. ახლად რჯულმიღებული; 17. საწამლავი; 18. მერკურის ძველი ქართული სახელი; 21. ნაივური მხატვრობა; 23. სოფელი ახმეტის რაიონში; 26. აღთქმა, მტკიცე პირობა; 28. ბოსტნეული მცენარე; 29. ჯანღი, ბურუსი; 30. მხატვრის, მოქანდაკის სახელოსნო; 33. იაპონური ჭიდაობის სახეობა; 34. ბეწვმოვლებული ქალის ზედა ტანსაცმელი; 37. სანაყი მოწყობილობა; 40. ერთი და იგივე ფერის პაპა და ქალი ბანქოს თამაშში; 42. დაგირავებული უძრავი ქონება; 43. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებები; 46. მიუზიკლი; 50. გასვენებაზე შორიდან მოსული ჭირისუფლის მხლებლები; 54. გი დე მოპასანი — „ლამაზი...“; 57. „ზღვისფერი გაქვს ... და თავად ჰგავხარ ზღვას“ (გამსახურდია); 58. ფრანგი მწერალი; 59. სარკინიგზო ტრანსპორტი; 61. ახალი ქვის ხანა; 65. აგულის მამა („არაჩვეულებრივი გამოფენა“); 68. სხვისი შვილის გამზრდელი ქალი; 71. ხის იატაკი გორგოლაჭებიანი ციგურებით სარბენად; 72. მამათა დიდი მონასტერი; 73. სკანდალური გამოხდომა; 74. იტალიური ლიქიორი.

შვეულად: 1. კინოფილმების ჩვენება-განხილვა გარკვეული თანმიმდევრობით; 2. თევზის სახეობა; 3. მწვალებლობა; 4. წმინდა გამარჯვება ძიუდოში; 5. ბუდისტური საკულტო ნაგებობა; 6. სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი ხერხი ლიტერატურასა და ხელოვნებაში; 7. რუსი კომიკოსი მსახიობი; 8. „ტრანსპორტი“ მაღალსართულიან შენობებში; 9. სამეგრელოს სამთავროს მეორე სახელი; 10. ნადირის სადგომი; 11. შეხვედრა უმაღლეს დონეზე; 19. მოულოდნელი რევიზია; 20. მომღერალი სელინ ...; 22. დასავლეთი; 23. მიმართვა გაუთხოვარი ქალისადმი აშშ-სა და ინგლისში; 24. თხელი, ბადისებრი გამჭვირვალე ქსოვილი; 25. ნაპოლეონის მარშალი; 26. წიწვოვანი მცენარეების სურნელოვანი წვენი; 27. „თარსი“ რიცხვი; 31. მოგზაურობა წრიული მარშრუტით; 32. ხორციანი კორკოტი; 35. შთამომავლობის თითოეული საფეხური; 36. მუნი; 38. იტალიელი პოეტი; 39. ნესტიანი; 40. ჩინელი ბელადი; 41. საგალობელი „... მარია“; 44. იგივეა, რაც ყანწი; 45. ღვთაებრივი ხარი; 47. მუზეუმი მადრიდში; 48. კამბოჯის ფულის ერთეული; 49. ფეხბურთის მატჩის ნახევარი; 51. ლ. თაბუკაშვილი — „მერე რა, რომ სველია, ... იასამანი“; 52. ბუბლიკი; 53. საბერძნეთის დედაქალაქი; 54. უმაღლესი სასულიერო პირის მაღალთავსარქმელი; 55. სახელმწიფოს ერთ-ერთი ემბლემა; 56. პოლიციელის მეტსახელი ინგლისში; 60. NBA-ს კალათბურთელი; 62. შარლოტა ბრონტე — „ჯეინ ...“; 63. ამერიკელი რეჟისორი; 64. ციყვების ოჯახის მღრღნელი ცხოველი; 65. ღვინის ობი; 66. მოჭადრაკე ქალი ... კრამლინგი; 67. ქართული ქალაქი „ბამზე“ ... გრუზინსკაია; 68. ინდოეთის შტატი; 69. დროის მონაკვეთი დილიდან საღამომდე; 70. სატელეფონო შორისდებული.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| სალბუნი | თხის ხმიანობა | ხახის ლორწოვანი გარსის ანთება | ზევსის მერიქიფე | ბანკში შეტანილი ფული | ჯ. ჭკუასელის ანსამბლი |
|---|---|---|---|---|---|

| ხერხე-მლის ძვალი | გაუმჯო-ბესებული მოედნი | დიდი ქვეწარმავალი | ცეცხლსასროლი იარაღი | სამკუთხედის წვერიდან მის მოპირდაპირე გვერდის შუაწერტილზე გავლებული მონაკვეთი | ზღუდე | ტაძარი თბილისში |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზვიარბიული

ასავალ დასავალი

2023 წლის 3 – 9 აპრილი №15 (1479)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი



*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*



წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**

ტელეფონები: (+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


